გაზეთი ბევრისა, „ვერსიანა" ერთი

ვერსია

№45 (801) 22 - 23 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ოცნებელი" გედევან ფოფხაძე ოპოზიციაში გადასვლით იმუქრება!

გვ. 3

„ვანოსა და მიშას დაპირისპირების შესახებ საუბარი სისულელეა — ისინი ერთ ნავში სხედან, რომელიც იძირება და ერთად ყოფნას თვითგადარჩენის ელემენტარული ინსტინქტი უნდა აიძულებდეთ, ამიტომ შეეცდებიან, ეს ნავი ნაკლებად აყირაონ და ნაპირთან რაც შეიძლება ახლოს მიაცურონ, რათა ფიზიკურად გადარჩნენ!"

უშიშროების გენერალი გიგა ბოკერიასა და თავისუფლების ინსტიტუტის საიდუმლო გეგმას შიფრავს

„დაშა ნაცვლიშვილი საკმაოდ ჭკვიანი კაცია და არ გამოვრიცხავ, რომ საქმე მის მიერ მოხაზულ სტრატეგიასთან გვქონდეს"

გვ. 7

ნუგზარ წიკლაური ნაციონალების აქციაზე პისტოლეტით მივიდა



გვ. 5

მერაბ კოსტავა: „მეგობრებო, გვინდა თუ არა ჩვენ თავისუფლება? მე გეკითხებით — გვჭირდება თუ არა თავისუფლება?!"

20 გვერდი 40 თეთრი

სოსო მანჯავიძე: „ნაძალადევის არჩევნებში ივანიშვილის მხარდაჭერას ვგრძნობ!"

გვ. 6

კომერციული ბანკები სესხების საპროცენტო განაკვეთს ამცირებენ?

რა შეღავათს მისცემს დაბალპროცენტიანი კრედიტები მოსახლეობას

გვ. 9

იმერეთის ყოფილ გუბერნატორს სამწლიანი პატიმრობა ემუქრება?!

ქუთაისის 30 საბავშვო ბაღის ყოფილი დირექტორები დაშა მაქაცარიას ბენოდაში ამხელენ და კომპენსაციას ითხოვენ

გვ. 11

„16 წლის შვილიშვილს ვეუბნები ხოლმე, პური ხვალაც ხომ გინდა და ცოტა ჭამე-მეთქი!"

სამადაშვილების ოჯახის შემაძრწუნებელი ისტორია

გვ. 10

დიცო ბელოვანი

დაკრძალვაზე დაბადებული

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

ნანული სარაჯიშვილი „მზეზე" გადაცემა „ჭორიკანა ვარსკვლავებს" წაიყვანს

გვ. 14

დიტო გელოვანი

ერთხელ მოლა ნასრედინმა ქადაგების წინ ასე მიმართა თავის მრევლს: „მართლმორწმუნენო, იცით, რაზე მინდა გესაუბროთ?“ „არა, არ ვიცით“. „რაკი არ იცით, რაღაზე უნდა გელაპარაკოთ?“ ამის შემდეგ გავიდა ხანი და მოლამ ქადაგების დაწყებამდე ისევ იკითხა: „მართლმორწმუნენო, იცით, რაზე მინდა გესაუბროთ?“ „ვიცით“, — უპასუხა მრევლმა. „თუკი იცით, რაღა საჭიროა გელაპარაკოთ“, — მიუგო მოლამ. მაშინ მრევლმა გადაწყვიტა, როცა მოლა ისევ დააპირებდა ქადაგებას, ეპასუხათ, ზოგმა ვიცით და ზოგმა არაო. მართლაც, მოლამ მესამედ დააპირა ქადაგების თქმა და ხალხს ჩვეულებისამებრ რომ ჰკითხა — იცით, რაზე უნდა გელაპარაკოთო, უპასუხეს: „ზოგმა ვიცით, ზოგმა არა“. „ჰოდა ძალიან კარგი. ვინც იცით, უამბეთ იმათ, ვინც არ იციან და გაიგებენ“, — უთხრა მათ მოლამ და მეჩეთიდან გავიდა.

(მოლა ნასრედინის ქადაგებანი)

დაკრძალვაზე დაბადებული

„იცით, რაზე უნდა გელაპარაკოთ?“ — მთელი ორი თვე ტვინი წაჭამეს ამ კითხვით და პასუხსაც თვითონ სცემდნენ — ევროპელობაზეო, ევროინტეგრაციაზეო, ევროპულ გაგებაზეო... სიურპრიზი გელოდებათო. რავი... ვინმეს შესაძლოა ეგონა, რომ კეზერაშვილის ლატარიის კომპანია მომგებიან ბილეთებს დაარიგებდა, მაგრამ იქ არც ევროპა იყო და მით უმეტეს, არც კეზერაშვილის მომგებიანი ბილეთები.

19 აპრილს, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან მოხდა დროულად გარდაცვლილი (ადრეც უნდა მომკვდარიყო) ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამოსვენება. არავის უტირია. დუმილი იყო გამაყრუებელი. მოსაგონარი და შესანდობარი არავის უთქვამს.

და იქვე, ტრიბუნაზე, ქვეყნიერებას მოევლინა „ახალი ეროვნული მოძრაობა“ — პირმშო და ნაყოფი ერთსქესიანი ქორწინებისა, ან იქნებ, ერთმანეთის ჯგუფური გაუპატიურებისა.

უფერო და უსქესო არსების მოვლინება თოფების სროლით აღინიშნა. თოფები იყო კისტის. სადღეგრძელოები არ ყოფილა. დალევით სვამდნენ, ჭამით ჭამდნენ, სხვის სისხლს მოწყურებულები ალკოჰოლს ეძალებოდნენ, ერთი რამის ჭამაში შემჩნეულები ერთმანეთს ჭამდნენ, განსხვავებას ვერ გრძნობდნენ და ასე თვრებოდნენ.

„დედაქალაქის მერის, გიგი უგულავას მეუღლეს, ლელა კილაძეს მართვის მოწმობა 1 წლით ჩამოართვეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა განუცხადა, როდესაც საპატრულო პოლიციამ ლელა კილაძე გააჩერა, აღმოჩნდა, რომ ის ავტომანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა. იქიდან გამომდინარე, რომ ლელა კილაძე პოლიციამ ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან მეორედ აღმოაჩინა, მას 1 წლით მართვის მოწმობა ჩამოერთვა“.

და ვერ გეტყვით, ნაცური ნაცების აქციის მშვიდობიანი დასასრულის გამო იყო თუ ქალაქის თავის ტვინის მეორე ნახევრისთვის მართვის მოწმობის ჩამორთმევის გამო (კანონის უზენაესობის ამბავში), მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილმა პოლიციას მადლობა გადაუხადა: „მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა რიგით პოლიციელს ოპოზიციის მიტინგის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის. საკუთარი თვალით ვნახე, რომ მათ სანიმუშოდ დაიცვეს წესრიგი და აჩვენეს მაღალი დონის ორგანიზებულობა.

ვამაყობ ასეთი პოლიციით!“

სააკაშვილს ენაზე არავინ ექაჩებოდა, გინდა თუ არა, მადლობა გადაუხადეო და შესაძლოა, ვცდები კიდეც, მაგრამ მგონია, რომ ეს ვანოს ბოსტანში ნასროლი კენჭი იყო — აქაოდა, ხომ ხედავ, სულაც არ ყოფილხარ შეუცვლელი და იქ რომ იმათ შეგცვალეს, აქ ჩვენ შეგცვლითო. „აქ“ ანუ იმ ამბავში და იმ გაგებაში, რასაც ნაციონალური მოძრაობის დასასრული და „ახალი ეროვნული მოძრაობის“ დასაწყისი ჰქვია.

მაშ, შუა მიტინგიდან, თუ რა ვიცი, რა იყო, პრეზიდენტის, თუ რა ვიცი, რა დავარქვა, სიტყვით გამოსვლისას, თუ ვერ გეტყვით, რა იყო ეს, წასვლა კარის გაჯახუნებას უფრო ჰგავდა და ჯერ არ გამიგია, რომ ვინმეს კარი გაეჯახუნებინა და არ წარმოეთქვა შელოცვა, რომლის ერთი ნაწილიც ყველამ ვიცით, მეორე ნაწილი კი იმდენად საიდუმლოებითაა მოცული, რომ იგი ყოველთვის მრავალწერტილით აღინიშნება. აი, ეს შელოცვაც — „წადით, თქვენი დედაც...“

მთელ იმ ამბავში მხოლოდ ეს იყო საინტერესო, თორემ ვიღაც რომ ხაოდა, ვიღაც რომ ჩხაოდა და ვიღაც რომ ფიქრობდა, როგორ ექცია 5 ათასი 15 ათასად, ყოველგვარ ინტერესსაა მოკლებული, ხოლო ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყებამ მილიონი სამუშაო ადგილის შექმნის სევდიანი ისტორია გაგვახსენა.

ჰო, მილიონი სამუშაო ადგილი ვერა, მაგრამ მილიონიანი სამუშაო ადგილები კი შექმნეს... რამდენიმე.

გასულ კვირაში აწგარდაცვლილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა რამდენიმე განცხადებაც შექმნეს და არც ერთი მათგანი არ ეხებოდა საქართველოს ევროპულ არჩევანს, არც ერთ მათგანში არ ყოფილა საუბარი კანონის უზენაესობაზე, დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და მედიის თავისუფლებაზე. ყოველ მათგანში ინგა ლალიაშვილის სამეზობლოს გავლენა უხვად იგრძნობოდა — „ბოზი“, „ჩათლახი“, „ქურდი“, „ჩემოდანი ასწია“ და ა.შ.

თანამედროვე ტექნოლოგიებით განცხადებების ფაბრიკაცია ძალიან ადვილია და არც ადვოკატის შეცდომაში შეყვანაა შეუძლებელიო — განაცხადა დავით დარჩიაშვილმა, როდესაც დათა ახალაიას უსტარის კომენტირება სთხოვეს. თავად უსტარს არა, მაგრამ უსტართან დაკავშირებულ მცირე ნიუსს კი აქვე შემოგთავაზებთ: „კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი დათა ახალაია მათი ოჯახის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის ინიციატორად ყოფილ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს ასახელებს. როგორც ახალაია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელებულ განცხადებაში წერს, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება სწორედ ძალაუფლებისკენ მერაბიშვილის დაუოკებელმა ლტოლვამ, ანგარებამ და უბინძურესი ფორმებით წარმოებულმა ფარულმა ომებმა შეიწირა“.

ძალიან საინტერესოა, ღმერთმანი, მაგრამ უფრო საინტერესო არის მარიკა ვერულაშვილის სიტყვები: „მე მიმაჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ ვანო მერაბიშვილი არ არის მიჩვეული სიმართლის თქმას, თუმცა უნდა გითხრათ, რომ მას ამის მოსმენა ძალიან ხშირად მოუწევს უახლოეს მომავალში. უახლოეს მომავალში, ის ძალიან ბევრ უსიამოვნო სიურპრიზს უნდა ელოდეს. მე ამ დრომდე არ გამიკეთებია განცხადება პარტიის დატოვების მიზეზებზე. ნაციონალური მოძრაობისა და ჩემი პარტიის კრახი საპარლამენტო არჩევნებში არის სწორედ მისი დამსახურება და მიმაჩნია, რომ ეს ადამიანი ამის შემდეგ აღარ უნდა ყოფილიყო გენერალური მდივანი ამ პარტიის. რადგან მაინც ასე მოხდა, გადავწყვიტე, რომ ჩემი ადგილი აღარ იყო ამ პარტიაში. ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა, რადგან დღიდან დაარსებისა ამ პარტიის წევრი ვარ“.

აბა, მართალი ყოფილა გიგი უგულავა, როდესაც ამბობდა, ამ ბრძოლაში ნერვები ბევრს უმტყუნებსო. დათა ახალაიამ მოიწერა, ლელა კილაძე დათვრა და საჭეს მიუჯდა, ხოლო მარიკა ვერულაშვილი გამოფხიზლდა და ქვეყნის ხერხემალი უდიერად მოიხსენია, თუმცა მთავარი ის კი არ არის, რომ ერთი დათვრა და მეორე გამოფხიზლდა, მთავარია, რომ ერთიც, მეორეც და სხვა ბევრიც ვანო მერაბიშვილზე წიხლებით იმიტომ კი არ შედგა, რომ აი, 26 მაისი, 7 ნოემბერი, წილები-მილები, მოსმენა-დასმენები და რამე... არამედ — არჩევნები წაგვაგებინაო.

რომ მოეგოთ, ვანოს ერთი კალთაში ჩაუჯდებოდა, მეორე ფეხებთან ჩამოუჯდებოდა და არც შვიდი გაახსენდებოდათ და არც ოცდაექვსი. არადა, რომ მოეგოთ, რის ფასად იქნებოდა და რა იქნებოდა, ჩვენც ვიცით და მათაც და რადგან ფასი ვახსენეთ, მოდი, ღირებულებებსაც შევეხოთ, ოღონდ არა ევროპულს, არამედ ნაციონალურს, მოძრავსა და ერთიანს:

ნიკოლოზ სააკაშვილის დაკვეთით, სდსს-მ 1190-ლარიანი ჩოხა შეიძინა; სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ქსენია სოკოლოვას ყელსაბამი 2765 ლარი დაუჯდა; ედუარდ სააკაშვილს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა სწავლისთვის 14 ათასი ლარი ჩაურიცხა; სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს 44 სული ცხვრის შეძენა 6 600 ლარი დაუჯდა; დოკუმენტაციის მიხედვით, 3500-ლარიანი სამკაული დეპუტატ მარიამ საჯაიას გადაეცა; პრეზიდენტმა ოქროს სამკაულით უკრაინელი მომღერალი იოანა მელაიც დაასაჩუქრა; სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა დეპუტატ თინა ბოკუჩავასთვის 1599-ლარიანი ტელეფონი — iphone 4S შეიძინა, პიანისტ ხატია ბუნიათაშვილს კი, 140-ლარიანი თაიგული უყიდა; ქართველ ხალხს სააკაშვილის მზარეულის შენახვა ნახევარი მილიონი ლარი დაუჯდა...

ამ ჩამონათვალის შემდეგ, ალბათ, ყველას ეუცნაურა დავით უსუფაშვილის განცხადება, რომ ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა, თითქოს, ქართული დემოკრატიის გადარჩენის აუცილებელი წინაპირობაა... თუმცა, თავის მხრივ, უსუფაშვილის ამ განცხადების შემდეგ ყველამ დაიჯერა, რომ პოლიტიკა ბინძური რამ არის.

რას გაიგებ, ვინ რას თამაშობს და ვინ რას ათამაშებს... რას გაიგებ, ვინ ვისას თამაშობს და ვისას ათამაშებს... გაიგე ახლა, საით მოძრაობს ვანო მერაბიშვილი და რაზე ოცნებობენ ახალაიები.

„ნეპოტიზმზე გული მერევა“, — ეს სიტყვები სააკაშვილმა მას შემდეგ თქვა, რაც გაირკვა, რომ „ნიკოლოზ სააკაშვილის დაკვეთით, სდსს-მ 1190-ლარიანი ჩოხა“ და „ედუარდ სააკაშვილს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა სწავლისთვის 14 ათასი ლარი ჩაურიცხა“.

სინამდვილეში კი, გული იმიტომ ერევა, რომ „ბათუმში პრეზიდენტისა და მისი სტუმრების კვებითი მომსახურება 39 206 ლარი დაჯდა“ და „სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს 44 სული ცხვრის შეძენა 6 600 ლარი დაუჯდა“.

მუცელს აღორტ ღორია, აქორებ ქორია.

ისევ იმ ოპერიდან: „გოგა ხაჩიძე დუბაიში, სასტუმრო SOFITEL-ში 2012 წლის 31 დეკემბრიდან 2013 წლის 3 იანვრამდე იყო რეგისტრირებული. დეპუტატ ირინა იმერლიშვილის მიერ გასაჯაროებული დოკუმენტაციის მიხედვით, 2012 წლის 31 დეკემბრიდან 2013 წლის 3 იანვრამდე გოგა ხაჩიძესთან ერთად, დუბაიში ალანა გაგლოევა, ვახტანგ ლემონჯავა, მარიამ საჯაია, დავით საყვარელიძე, გიორგი ღვინიაშვილი, კობა ხაბაზი, ნუგზარ წიკლაური, კახა ბუცხრიკიძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ტარიელ ლონდარიძე, სერგო რატიანი, დავით დარჩიაშვილი და სხვები იმყოფებოდნენ. დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული პირები სასტუმრო შჰltმში გასული წლის 31 დეკემბერს დარეგისტრირდნენ, 2013 წლის სამ იანვარს კი სასტუმროს მომსახურების თანხა, თითოეულმა გადაიხადა 8 100 დირჰემი, რომელიც დაახლოებით 2 200 დოლარს შეადგენს.

კი ბატონო, პოლიტიკა სიბინძურეა, მუცელს აღორტ ღორია, აქორებ ქორია — სწორია ეს ყველაფერი, მაგრამ ესეც სიმართლეა — აკაკუნე კედელიო, დაარიგე რეგვენიო. სხვისი არ ვიცი და, პირადად მე, გოგა ხაჩიძისთვის ჭკუის დარიგება წყლის ნაყვად მიმაჩნია. დატკბით მისი სიტყვებით: „მე დღემდე მართლა მეგონა და ამით ძალიან ვამაყობდი და ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ ახალი წლის ღამეს შევხვდი ქართულ ბაზა შუკვანზე, ავღანეთში, ქართველ ჯარისკაცებთან ერთად. დღეს გავარკვიე, რომ ახალ წელს შევხვდი დუბაიში. ერთი დეტალი გამომრჩა, საღამოთი დუბაიში ვივახშმე მართლა, პრეზიდენტთან ერთად და შემდეგ წამოვედით თბილისში. ეს არის ჩემი დუბაის ახალი წელი. არ ვიცი, ახლა ბატონმა საგანელიძემ იაროს მაგ სიმართლით. 19 აპრილს ველოდებით, ვისაც არ სჯერა ამ სისულელის“.

ნაციონალების ყველაზე ოპტიმისტური შეფასებით, „ამ სისულელის“ მხოლოდ 12 ათასმა ადამიანმა არ დაიჯერა და ვინ იცის, რამდენს ეცინებოდა მწარედ, ერთი სულელი-ცრუპენტელას იმ სიტყვებზე, რომელიც მომმე სააგენტომ ასეთი სათაურით მომაწოდა — „პრეზიდენტი მზად არის, აღლუმი არა მან, არამედ „ქართველმა ხალხმა ჩაიბაროს“.

სათაურითაც მიხვდებოდით, რაზეც იქნებოდა საუბარი, მაგრამ კედლისა და რეგვენის ამბავს თუ გავიხსენებთ, რომ „არა შეჯდა მწყერი ხესა“ და „კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს“, ისიც გავიხსენოთ, რა მოაყოლა სააკაშვილმა 26 მაისის აღლუმის ამბავს: „ამასთან, პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირისდროინდელი აღლუმიც გაიხსენა. „საბჭოთა კავშირის დროს კვირობით გვამზადებდნენ, რომ გავსულიყავით და ხელი დაგვექნია. ერთხელ ბრეჟნევი იყო ჩამოსული და მახსოვს, როგორ გაგვიშრეს სისხლი, წინ და უკან დაგვატარებდნენ ვაჟა-ფშაველაზე. მერე თქვეს, რომ მხოლოდ მაღლები უნდა ყოფილიყვნენ და მე ჩავმდაბლდი, რათა სახლში გავეშვი, რადგან ბრეჟნევის ნახვა არ მინდოდა“.

ამ ისტორიის გაგრძელება ასეთია — მიშიკო სახლში მივიდა, მაგრამ დედა მას არ ელოდა...

დასასრულის დაწერა და დასკვნის გაკეთება თქვენთვის მომინდვია და ძალიან მაინტერესებს, როგორ წარმოუდგენია მიშიკოსა და დედიკოს მოულოდნელი შეხვედრა გოგა ხაჩიძეს, რადგან გოგა უბრალო მედოლე არ გეგონოთ, მას წარმოსახვის უნარიც გააჩნია — ოპოზიციონერი დეპუტატი გოგა ხაჩიძე მიიჩნევს, რომ „საქართველოს ერთადერთი რამ დარჩა — კავკასიონის ქედზე აღმართოს რუსეთისკენ მიმართული დროშა წარწერით — „მიყვარხარ“.

სიყვარულს რა სჯობია, ხალხო! სიყვარულის გულისთვის კავკასიონზეც ავა კაცი და ჰიმალაებსაც დაიპყრობს, მაგრამ რა აუცილებელია რუსეთისთვის სიყვარულის კავკასიონიდან ახსნა, როდესაც აქვეა ახალგორი, სადაც რუსეთის დროშა ფრიალებს. ახალგორი, რომელიც რუსეთს, დიდი სიყვარულის ნიშნად, სწორედ გოგამ და მიშიკომ გადასცეს.

სიტყვას გადავცემ სხვას. დადგეს და რაც უნდა, ის ილაპარაკოს. დღეს ამით უნდა დავასრულო. გაგრძელებას აზრი არ აქვს, რადგან რამდენიც უნდა ვილაპარაკო გასული კვირის შესახებ, რამდენიც უნდა ვიჭყლიტო ტვინი, მაინც ის მახსენდება, 19 აპრილს, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ, როგორ ჩახტა რამდენიმე ათეული უფერო და უსქესო არსება უნიტაზში და როგორ ჩარეცხეს საკუთარი თავი.

მე — რა? მანამდე მე ერთი იდეა მაწუხებდა — მივსულიყავით ორნი, მიგვეტანა, და ყველაზე დრამატულ მომენტში, აი, ვაშაძე რომ იჭაჭებოდა, ახალ ეროვნულ მოძრაობას ვიწყებთო, აღგვემართა დიდი ტრანსპარანტი წარწერით „იმდენი თქვენი დედა...“

„ჩვენ, ყველანი, ქართველები ვართ და საერთო მიზანი გვაქვს. ამ საერთო მიზნისთვის უნდა გავერთიანდეთ ყველა. ახალი ეროვნული მოძრაობა ნამდვილად არ არის ის, რომ ვიღაც მოვა და თავზე დოვლათს დაგვაყრის. ეს არის 24-საათიანი მუხლჩაუხრელი მუშაობა. ჩვენ უნდა შევიდეთ ყველა ოჯახში და ეს ახალი მოძრაობა უნდა გავაცნოთ. ეს არის მოძრაობა, რომელიც ჩვენ ახალ, განვითარებულ საქართველომდე მიგვიყვანს“, — ვაშაძის გამოსვლიდან ყველას ყველაზე მეტად ეს სიტყვები დაამახსოვრდა.

შარშან, როდესაც კარი გავაღე და „ტაბულა“ დამხვდა, ნაცებს ვუთხარი, ჩემს კართან ნაგავს ნუ დაყრით-მეთქი. ახლა, ვაშაძეს ვეუბნები: ჩემს კართან არ დაგინახოთ, თორემ სათქმელს ისე გეტყვით, არც ტრანსპარანტი დამჭირდება და არც მრავალწერტილი.

ახლა კი მართლა წავედი. მივდივარ მაკა გვარამიას დაბადების დღეზე. მაკა ჯერ ჩემი მამიდაშვილია და მხოლოდ ამის შემდეგ არის ცნობილი ქართველი თავისუფალი დემოკრატი და საზოგადო მოღვაწე.

ს.შ. (სკრიპტუმის შემდეგ) ერთმა კაცმა მოლას ჰკითხა: „რა მოგცე საოსტატო, რომ ჩემს შვილს წერა-კითხვა ასწავლო?“ „ექვსი თუმანი!“ „რას ამბობ, მოლავ! ექვს თუმნად ექვს ვირს ვიყიდი“. „ჰოდა, ეგ უფრო კარგი იქნება მაშინ, შენი შვილიანად შვიდი ვირი გეყოლება“, — უპასუხა მოლამ.

(მოლა ნასრედინის ქადაგებანი)

„ოცნებელი“ გედევან ფოფხაძე ოპოზიციაში გადასვლით იმუქრება!

„საერთოდ, ვანოსა და მიშას დაპირისპირების შესახებ საუბარი სისულელეა — ისინი ერთ ნავში სხედან, რომელიც იძირება და ერთად ყოფნას თვითგადარჩენის ელემენტარული ინსტინქტი უნდა აიძულებდეთ, ამიტომ შეეცდებიან, ეს ნავი ნაკლებად აყირაონ და ნაპირთან რაც შეიძლება ახლოს მიაცურონ, რათა ფიზიკურად გადარჩნენ!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

უმრავლესობის ლიდერები სტრასბურგსა და ბრიუსელში არიან „გადანაწილებულნი“. „ოცნების“ ბორჯომის მაჟორიტარი გედევან ფოფხაძე კი ლამის ერთადერთია, ვინც 19 აპრილის აქციის მერე დედაქალაქში „გამოვიჭირეთ“. ერთი სიტყვით, დეპუტატი „ვერსიასთან“ მხოლოდ ნაციონალების აქციის შედეგებსა და პრემიერ ივანიშვილისა თუ „ოცნების“ შეცდომებზე კი არ საუბრობს, არამედ, იმუქრება, რომ ერთი წლის შემდეგ პოლიტიკიდან წავა ან ოპოზიციაში გადავა.

— 19 აპრილი ერთი ჩვეულებრივი მიტინგი იყო — ნაციონალებმა კონსტიტუციური უფლებით ისარგებლეს, აქცია ჩაატარეს, იყვირეს... ეროვნული მოძრაობა, მეტ-ნაკლებად, მახსოვს და როცა თავს მეორე ეროვნულ მოძრაობად აცხადებ, ამ მოძრაობასთან სულიერ-ემოციური თანხვედრა ცოტა მაინც უნდა გქონდეს... მოკლედ, შეიკრიბნენ, იყიყინეს და დაიშალნენ ანუ ამ აქციას არც მათთვის და არც ჩვენთვის არაფერი მოუტანია.

— არსებობდა მოლოდინი, რომ აქციაზე ვანო მერაბიშვილის, როგორც ნაციონალური მოძრაობის ნომერპირველი ლიდერის ინაუგურაცია მოხდებოდა...

— და მერე, პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო? ეს ზღაპრებია, ვანოს კი ლიდერის არანაირი თვისება არ აქვს!

საერთოდ, ვანოსა და მიშას დაპირისპირების შესახებ საუბარი სისულელეა — ისინი ერთ ნავში სხედან, რომელიც იძირება და ერთად ყოფნას თვითგადარჩენის ელემენტარული ინსტინქტი უნდა აიძულებდეთ, ამიტომ შეეცდებიან, ეს ნავი ნაკლებად აყირაონ და ნაპირთან რაც შეიძლება ახლოს მიაცურონ, რათა ფიზიკურად გადარჩნენ!

— თქვენთვის რას ნიშნავდა ვანო მერაბიშვილის ფრაზა — „ოცნების“ მთავრობას 4 წელი ვერ დაველოდებითო?

— ეტყობა, ემიგრაციაში აპირებს წასვლას! აბა, გადატრიალება უნდა მოაწყოს, ვერ გავიგე?!

ნაციონალურ მოძრაობას რევანშისტული გეგმების განხორციელების რესურსი არ აქვს, თორემ რევანშისტული იდეებით შეპყრობილნი, ცხადია, არიან: აქციაზე შეკრებილთაგან ბევრმა დაკარგა თანამდებობა, სამსახური, პრივილეგიები, ვიღაცას „ბრასლეტებს“ ვეღარ აჩუქებენ. შესაბამისად, ყველაფერ ამის აღდგენა უნდათ!

— პრეზიდენტის ხარჯების გამოქვეყნებამ მოსახლეობას ახალი არაფერი უთხრა, უკრაინიდან კი ოფიციალური წერილი მოგვივიდა, სააკაშვილის მიერ იუშჩენკოს სტუმრობისას დახარჯულ 400 დოლარს ჩვენ აგინაზღაურებთო!

— იუშჩენკოს ნაწილში ამ დოკუმენტის გასაჯაროება ნამდვილად არ იყო საჭირო, თუმცა ამაში ცუდი არაფერია, საგანგაშოს ვერც სამაჯურების ჩუქებაში ვხედავ... ისე, კონსტიტუცია პრეზიდენტის ფავორიტების ასაკობრივი ბარიერის გამო შეიცვალა, რათა ისინი პარლამენტში მოხვედრილიყვნენ... ობიექტური რომ ვიყო, ეს თემები არ მაინტერესებს, სამაგიეროდ, ეს უფრო დიდ აჟიოტაჟს საზოგადოებაში იწვევს — ალბათ, ხალხს ასეთი საკითხები უფრო ახალისებს, ვიდრე, ვთქვათ, შრომის კოდექსი!

19 აპრილის აქციას რომ დავუბრუნდეთ, ბევრი ისაუბრეს ქუჩაში გასული ხალხის რაოდენობაზე, მე კი ხალხის რაოდენობაზე იმის თქმა შემიძლია, რომ 9 წლის განმავლობაში, ხელისუფლებაში მყოფმა ძალამ, რომელსაც ჰყავს პრეზიდენტი და დიდი ფრაქცია პარლამენტში, პლუს, დიდი ფინანსური რესურსი აქვს, ქუჩაში 10 ათასი კაცი უნდა გამოიყვანოს! როცა ლევან გაჩეჩილაძე ოპოზიციაში იყო, მაშინ ავსებდა სტადიონებს, თუმცა მაშინ მესმოდა, რა სურდათ აქტივისტებს, ახლა კი ვერ გავიგე...

— ევროპისკენ სვლა და ევროპული კურსის დაფიქსირება.

— ჰოდა, ევროპისკენ სვლას რა საფრთხე ექმნება, ეგ ვერ გავიგე სწორედ. მეც მინდა ევროპული ორიენტაცია და სვლა ევროპისკენ, მერე?

— სხვათა შორის, ბევრმა გაგაკრიტიკათ თავისმართლების პოზაში ჩადგომის გამო — როცა რუსთაველზე აქცია მიდიოდა, პარალელურ რეჟიმში, საპარლამენტო „ოცნება“ იფიცებოდა, არ ვართ პრორუსებიო!

— თავს არ ვიმართლებდით! საერთოდაც, თუ დასავლურ ორიენტაციას რამე საფრთხე შეექმნება, ჩვენ უფრო მეტ ხალხს შევკრებთ და უფრო დიდ აქციას ჩავატარებთ! ევროპისკენ ჩვენს სვლას ვერაფერი შეაჩერებს! პირველი ოქტომბრის მერე ქვეყანაში, როგორც რუსეთთან ურთიერთობის, ისე ადამიანების დაცვის კუთხით, მხოლოდ დადებითი ნაბიჯები იდგმება.

— ისე, სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს პარლამენტში მხოლოდ ხუთი დეპუტატი რატომ უსმენდა?

— პირადად მე, ორჯერ მოვუსმინე — საპარლამენტო უმრავლესობის ფორმატსა და კომიტეტის სხდომაზე. მოხსენებაც წავიკითხე. პარლამენტში ჯერ უჩა ნანუაშვილის ანგარიშის საბოლოო მოსმენა არ ყოფილა. შესაძლოა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტზე მართლაც 5 კაცი იჯდა, მაგრამ იქ სულ 12 წევრი ვართ, ან ვიღაცამ რაღაც არასწორად დათვალა. ჩემთვის ძალზე აქტუალურია სახალხო დამცველის მოხსენება, რომელშიც 2012 წლის უამრავი დარღვევაა შესული და პირველი, რაც ამ დასკვნის მოსმენის შემდეგ მინდა ვთქვა, ისაა, რომ თუ გაისად სახალხო დამცველის დასკვნაში იგივე პრობლემები იქნება ასახული, რაც 2012 წლის დასკვნაშია, ან პოლიტიკიდან წავალ ან ოპოზიციაში გადავალ!

— მაშინ, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი კომიტეტის წევრმა, შემიფასეთ პრემიერის სიტყვები, სახალხო დამცველის ინსტიტუტი აქტუალური აღარ იქნება, რადგან ისეთი მინისტრთა კაბინეტი მყავს, ყველა თავადაა ომბუდსმენი თავის სამინისტროშიო. რა ხდება, მოხვედით ხელისუფლებაში და ადამიანების უფლებები აღარ ირღვევა?

— ასე არ ვფიქრობ. ეს პრემიერის პოზიციაა და მიაჩნია, რომ დღეს ისეთი ტენდენციებია ქვეყანაში, რაც სახალხო დამცველის საჭიროებას ამცირებს. ეს ძალიან ოპტიმისტური პოზიციაა. მე კი ვფიქრობ, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი ძალიან ძლიერი უნდა იყოს და გვჭირდება კიდეც! ომბუდსმენის ინსტიტუტი აქტუალობას არ კარგავს, თუმცა ისიც ცალსახაა, პირველი ოქტომბრის მერე, ადამიანის უფლებების დაცვა მკვეთრად გაუმჯობესდა.

— ადამიანის უფლებების გაუმჯობესებას იმას უწოდებთ, რომ სამსახურებიდან, როგორც ნაციონალები ამბობენ, 5 ათასი ადამიანი გაათავისუფლეთ?

— ამას ვინ ამბობს, ჩიორა თაქთაქიშვილი? უკეთესი მოწმეა საჭირო! ჯერჯერობით, ეს საჩივრები ჩვენამდე არ მოსულა, არც კომიტეტისთვის მოუმართავთ. ჰოდა, რომ დარბიან, ვისთან მირბიან, ეგებ, ჩვენთანაც მოიტანონ ხოლმე ეს ინფორმაცია! თუ ვიღაც მართლა ნეპოტიზმის გამო უშვებს ხალხს სამსახურიდან, ვფიქრობ, ეს ხალხი სწორედ ჩვენთან უნდა მოვიდეს და განცხადება შემოიტანოს. ისე, რამდენიმე განცხადება გვაქვს, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რასაც ჩვენი ოპონენტები აცხადებენ.

— ვიდრე ყველა 19 აპრილის აქციით იყო დაკავებული, პარლამენტში პროცესები ერთობ ხმაურიანად ვითარდებოდა: უმრავლესობა კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა კობა დავითაშვილს და იმის გამო, რომ თეა წულუკიანი საქართველოში არ იყო, მისი ინიციატივის განხილვა გადადო. არადა, „ოცნება“ ძალიან დიდი ხნის წინ ამბობდა, პროკურატურა და იუსტიციის სამინისტროს ერთმანეთისგან უნდა გამოიყოსო...

— კობას არაფერს ვერჩი. ჩვენი ფრაქციის წევრებმაც ვაგრძნობინეთ, რომ მართალია, ძალიან ბევრ საკითხში ჩემი და კობას პოზიციები თანხვედრაშია, რაც შეეხება მის ინიციატივას, აქამდეც ვამბობდით, რომ პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო ცალ-ცალკე უნდა იყოს. ეს თემა არჩევნებამდეც დადგა! კობამ ეს ინიციატივა ძალიან ადრე მოამზადა და შემოიტანა, ნაციონალები კი აყვირდნენ, ამას იმიტომ აკეთებთ, რომ თქვენს მინისტრს იურისტის დიპლომი არ აქვსო. ინიციატივის განხილვა კი სწორედ იმ კოლეგიალობის გამო გადაიდო, რაც კობა დავითაშვილის მიმართ უნდა გამოგვეჩინა — იუსტიციის მინისტრი ქვეყანაში არაა და აზრი მასაც უნდა ვკითხოთ, როცა რაღაც პრინციპულ ცვლილებას ვიღებთ.

— წულუკიანის პრინციპული პოზიცია თავიდანვე ისაა, რომ ამ ორი უწყების გაყოფას დადებითად აფასებდა...

— პრინციპული მომენტი ისაა, რომ მთავარი პროკურორი გამოვა იუსტიციის მინისტრის უშუალო ზედამხედველობიდან, იუსტიციის მინისტრს არ ექნება მისი აქტების გაუქმება-გაბათილების შესაძლებლობა, თუმცა ექნება საერთო ზედამხედველობა პროკურორებზე, რაც მხოლოდ კონტროლს მოიცავს. მიმაჩნია, რომ ამით თავიდან ავიცილებთ ახალი ადეიშვილებისა და მონსტრების შექმნას!

თენგიზ გუნავა ხელისუფლებას მოუწოდებს, ანაკლიას მეტი ყურადღება მიაქციოს

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

19 აპრილის ნაციონალური მოძრაობის აქციას, „ვერსიასთან“ საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი თენგიზ გუნავა აფასებს და ამასთან, აქცენტს იმ პროექტებზეც აკეთებს, რომელთა განხორციელებაც მისი, როგორც გუბერნატორის ინტერესსა და კომპეტენციაში შედის:

— კმაყოფილი ვარ და შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ აქცია შედგა — უამრავი ადამიანი მოვიდა და ჩვენს მთავარ გზავნილსა და არჩევანს, ევროპულ გზას მხარდაჭერა გამოუცხადა.

— 19 აპრილმაც ჩაიარა. ამის შემდეგ რას გეგმავთ?

— მუშაობას ჩვეულებრივად გავაგრძელებთ. რუსეთთან მიმართებაში დღევანდელი ხელისუფლების კურსი კითხვის ნიშნებს ბადებს და ისიც მიუღებელია, რომ ამბობს, 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყოო. ომის დაწყებამდე 10-15 დღით ადრე, რუსებმა აფხაზეთში, დაახლოებით, 6 500 დამატებითი ჯარისკაცი შეიყვანეს.

— ბატონო თენგიზ, რა ამის პასუხია და, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, ანაკლიის პროექტებთან დაკავშირებით რას გეგმავთ?

— მე და ჩემი პოლიტიკური გუნდი ოპოზიციაში ვართ, თუმცა ყველა ხერხს ვიყენებთ, რათა მოქმედი ხელისუფლება ვაიძულოთ, ანაკლიის განვითარებას მეტი ყურადღება მიაქციოს, მაგრამ რატომღაც ხელსაც არ ანძრევს... შპს ,,ანაკლიის“ თანამშრომლებს კი, რამდენიმე თვეა ხელფასს არ უხდიან...

— რა ხდება ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით?

— ვერაფერს გეტყვით. ვიცი, რომ მთავრობა იქაურ მოსახლეობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს და, ჯერჯერობით, შეთანხმებისთვის არ მიუღწევიათ.

— მოსახლეობას მშენებლობის დასრულება უნდა თუ არა?

— როგორც ვიცი, მოსახლეობას სხვადასხვაგვარი პოზიცია აქვს. ბევრი ფიქრობს, რომ ჰესის აშენების შემთხვევაში, მიმდებარე ტერიტორია დაიტბორება და კლიმატი შეიცვლება... ჩემი აზრით კი, ყველანაირი მშენებლობა უნდა გაგრძელდეს, რადგან რაც ბევრი ობიექტი აშენდება, მით მეტი ადამიანი დასაქმდება...

ნუგზარ წიკლაური ნაციონალების აქციაზე პისტოლეტით მივიდა

19 აპრილის მიტინგის უცნობი დეტალები

რუსუდან შელია
ქრისტინა მალანია

19 აპრილს, ნაციონალური მოძრაობის მიერ ორი თვით ადრე დაანონსებული აქცია — „ევროპული არჩევანი“, არაევროპული პუნქტუალობით ანუ 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. როგორც აქციის წამყვანმა, გიორგი ვაშაძემ რუსთაველის გამზირზე შეკრებილ მხარდამჭერებს განუმარტა, დაგვიანების მიზეზი რეგიონებიდან წამოსული კოლონა იყო... საბოლოო ჯამში, ნაცმოძრაობის მიტინგზე, დაახლოებით, 7 ათასი ადამიანი შეიკრიბა. აღსანიშნავია, რომ მიტინგს პოლიციელების გაძლიერებული კორდონი იცავდა. აქციის უსაფრთხოების მიზნით, რამდენიმე ქუჩა და მოედანიც გადაიკეტა. ამასთან, შსს-მ აქციის მონაწილეთა ავტომანქანებისთვის პარკინგი გამოყო.

აქციის დაწყებისთანავე, გიორგი ვაშაძემ ახალი ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბება დააანონსა და იმ პრინციპებზეც ომახიანად ისაუბრა, რომლითაც ყოფილი სახელისუფლებო გუნდი ოპოზიციაში იხელმძღვანელებს: **„ახალი ეროვნული მოძრაობა სამ მნიშვნელოვან პრინციპზე დაფუძნებული მოძრაობაა: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, პიროვნულ-ეკონომიკური თავისუფლება და განვითარება. ჩემთვის ახალი ეროვნული მოძრაობა საკუთარი ქვეყნის საქმის კეთებასთან ასოცირდება. ეს არ არის, უბრალოდ, გულზე მჯიღის ცემა, არც მხოლოდ ლამაზი სადღეგრძელოს თქმაა, ეს ჩვენი სამშობლოს მომავალზე გულწრფელი ფიქრი და დამოკიდებულებაა, ამასთან, უდიდესი კულტურული მემკვიდრეობის მთელ მსოფლიოში გატანა და ჩვენი ღირებულებების, ღირსებების, ტრადიციების მთელი მსოფლიოსთვის გაცნობა და გაზიარებაა. ახალი ეროვნული მოძრაობა — სიყვარული, შენდობა და ურთიერთპატივისცემაა, რაც მხოლოდ ეთნიკურად ქართველთა მოძრაობას არ გულისხმობს, ჩვენ, ყველანი ქართველები ვართ და ულამაზეს სამშობლოს ერთად ვაშენებთ. ახალი ეროვნული მოძრაობა არც რუსეთის სიძულვილს გულისხმობს, ეს არის პრინციპული პოლიტიკა ჩვენ ჩრდილოელ მეზობელთან, რომელმაც პარტნიორად უნდა გვაღიაროს და რომელმაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობამდე უნდა მიგვიყვანოს. დიდი მორიდებითა და თავმდაბლობით გთხოვთ: მოდით, ყველანი საქვეყნო საქმის კეთებაში დავიხარჯოთ და მჩქეფარე და ბობოქარი თერგივით, განვითარებულ საქართველომდე მშვიდობიანად მივიდეთ“.**

გიორგი ვაშაძის შემდეგ, ახალი ეროვნული მოძრაობის პრინციპებზე ნაციონალური მოძრაობის სხვა ლიდერებმაც ვრცლად ისაუბრეს.

ნუგზარ წიკლაური: „ახალი ეროვნული მოძრაობა რეგიონებშიც ფართოდ გაიშლება, კერძოდ, წინააღმდეგობის ფრონტები ჩამოყალიბდება. სულ მოკლე ხანში ხელისუფლებას ვაჩვენებთ, რომ ვინც საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ ხელს აღმართავს, ხალხისგან უკიდეგანო რისხვას მიიღებს. ამიტომ, დროა, ხელისუფლება გონს მოეგოს“.

სხვათა შორის, ნუგზარ წიკლაური აქციაზე პისტოლეტით მივიდა, რომლის დამალვასაც საგულდაგულოდ ცდილობდა. „ვერსიის“ შეკითხვაზე, რატომ მოვიდა მშვიდობიან აქციაზე ცეცხლსასროლი იარაღით, ორაზროვნად განაცხადა, დილიდან სხვაგან ვიყავი და იქიდან გამომყვაო.

ამასობაში, აქციას ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავაც შეუერთდნენ, თუმცა სცენას სხვადასხვა ფლანგიდან მიუახლოვდნენ. მერაბიშვილის ყურადღება სცენის უკან მდგომმა ნიკა რურუამ და მიხეილ მაჭავარიანმა მიიქციეს — ორივეს ტრიბუნაზე ასვლისკენ მოუწოდა. რურუა ყოფილ პრემიერს სცენაზე აჰყვა, მიხეილ მაჭავარიანი კი აქციის დასრულებამდე სცენის უკან იდგა და პროცესებს „კულისებიდან“ აკვირდებოდა. განსაკუთრებით კარგ ხასიათზე ჩანდა **გოგა ხაჩიძე**, რომელიც მიშა მშვილდაძისა და გიგა ნასარიძის კამპანიაში პოლიტიკაზე ხუმრობდა. გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრს იუმორის გრძნობა არც ჟურნალისტებთან დაუკარგავს: **„არ ფიქრობთ, რომ 9 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციურ აქციაზე საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ აქციით ყველას ვაჩვენეთ, რომ რუსთაველის გამზირზე ფარების, გალიებისა და ხელკეტების გარეშე შეკრებაც შესაძლებელია. რაც შეეხება მომავალ გეგმებს, იმაზე მეტი სიახლე რა გინდათ, რომ ვანო მერაბიშვილი რუსთაველის გამზირზე მიტინგზე დგას, თუმცა ისიც კარგად იცის, რას აკეთებს ამ დროს ქვეყნის უშიშროების სამსახური და პოლიცია?!“**

ნაციონალური მოძრაობის აქციაზე ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის, ბელგიის ცხრა სხვადასხვა მთავრობის პრემიერ-მინისტრისა და ევროპის ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკოსის, ვილფრედ მარტენსის მიმართვა წაიკითხეს, რომელმაც ნაციონალებს მხარდაჭერა გამოუცხადა და ხელისუფლებას ევროპასთან დასაახლოებლად რამდენიმე ძირითადი ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდა.

ამასობაში მიტინგზე **გიგა ბოკერია**, მეუღლესთან ერთად გამოჩნდა, რომელმაც „ვერსიასთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობის მომავალ გეგმებზე ინფორმაცია არ აქვს, თუმცა პარტიამ სწორი არჩევანი გააკეთა, როცა აქციის პრიორიტეტად თავისუფალ ერთა ოჯახში გაწევრიანება დაასახელა: **„ამ იდეას ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ დასავლეთის კურსისგან ვერავინ წაგვაჩოჩებს. ეს არჩევანი მხოლოდ ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებას არ გულისხმობს, ამაზე ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობაა დამოკიდებული.“**

სხვათა შორის, მცირე ინციდენტი ბოკერიას მეუღლესაც შეემთხვა: თამარ ჩერგოლეიშვილთან ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ყოფილი პატიმარი მივიდა და სამსახური სთხოვა. აქციაზე საკმაოდ აქტიურობდა რუსი ჟურნალისტი **ოლეგ პანფილოვიც**: **„ბევრი ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას რუსეთისკენ მიაქანებს და ეს პროცესი საქართველოს განვითარებას დიდ საფრთხეს უქმნის. მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, ნაციონალებს იმიტომ შევუერთდი, რომ ხმამაღლა ვთქვა — საქართველო ევროპული ქვეყანაა და მას რუსეთთან არაფერი ესაქმება!“**

მიტინგზე, მოულოდნელად, პრეზიდენტის დაცვა გამოჩნდა და კობა ხაბაზის მიერ ორგანიზებული ცოცხალი დერეფნის საშუალებით, **მიხეილ სააკაშვილი** სცენაზე ავიდა, თუმცა მხარდამჭერებს მოგვიანებით, ვანო მერაბიშვილის განცხადების შემდეგ მიმართა: **„მოვისმინეთ განცხადებები, რომ ახალ მთავრობას ოპოზიციაში ნინო ბურჯანაძის ხილვა სურს, რომელიც პუტინის მეგობარია. ამიტომ დღეს ხალხს ხელოვნურად ორ არჩევანს უტოვებენ — არჩევანი გააკეთოს მხოლოდ ცუდსა და უარესს შორის ანუ კრემლის მეგობარი ბურჯანაძესა და კრემლის ნახევრად მეგობარ მთავრობას შორის. მინდა, ყველას ვუთხრა, ქართველი ხალხი არჩევანს გააკეთებს არა მოღალატეებსა და ნახევრად მოღალატეებს შორის, არამედ, პატრიოტებსა და კიდევ უფრო პატრიოტებს შორის. თუ ჩვენ ავირჩევთ უღირსობას, მივიღებთ სრულ ოკუპაციას, თუ ღირსებას დავიცავთ, ქვეყანას მთლიანად გავათავისუფლებთ!“**

პრეზიდენტს გამოსვლა დასრულებული არ ჰქონდა, რომ ვანო მერაბიშვილმა ტრიბუნა დატოვა და პარლამენტის მარჯვენა კუთხესთან, ჩიტაძის ქუჩის შესახვევთან, დაცვის წევრებთან ერთად „დაბანაკდა“. ითქვა, რომ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი პრეზიდენტს ელოდებოდა, საიდანაც ერთად წასვლას გეგმავდნენ, თუმცა როგორც კი სააკაშვილმა მიმართვა დაასრულა, მოულოდნელად, სცენიდან პირდაპირ ხალხში გაერია. მხოლოდ ამის შემდეგ დატოვა ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა პარლამენტის ტერიტორია, ჟურნალისტებისთვის კი რამდენიმე სიტყვა გაიმეტა, აქციით ძალიან კმაყოფილი ვარო.

აქციის დასრულების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისგან ყველაზე ბედნიერი კობა ხაბაზი ჩანდა, რომელმაც პარტიის ახალგაზრდა აქტივისტები შემოიკრიბა და შაბათ-კვირას ლაშქრობაში წაყვანას შეპირდა.

მერაბ კოსტავა: „მეგობრებო, გვინდა თუ არა ჩვენ თავისუფლება? მე გეკითხებით – გვჭირდება თუ არა თავისუფლება?!“

ომარი შათირიშვილი



19 აპრილს, რუსთაველზე ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყება დაანონსდა. ეს, ალბათ, ლოგიკური სურვილი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ბატალიებით გულგატეხილი საზოგადოების მხრიდან, რომ არა ერთი უცნაურობა — ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე პრეტენზია გაუჩნდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომელმაც 4 ათასამდე აქტივისტი ძლივს შეკრიბა იმ რუსთაველის გამზირზე, მრავალათასიანი მიტინგები და საპროტესტო აქციები რომ ახსოვს 1988 წლის ნოემბერსა თუ 1989 წლის აპრილში. ახსოვს, ასეულ ათასობით მგლოვიარე ქართველი, რომელიც მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ცხედარს მთაწმინდისკენ, გია ჭანტურიას ნეშტს კი ქაშუეთისკენ მიაცილებდა. არადა, დაინახა რა იდეის „ჩავარდნის“ საფრთხე, ლიდერობა, როგორც სჩვევია, მიხეილ სააკაშვილმა იკისრა და მიტინგზე მივიდა. მისვლით კი მივიდა და თავისებურად დასჭექა, მაგრამ მისი ომახიანი ხმა აქციიდან სასწრაფოდ გარიდებულ ვანო მერაბიშვილს, 100-ათასიან „ჯიპში“ ჩახტომისას წამოეწია. რას ემსახურებოდა 19 აპრილის აქცია? — ალბათ, მხოლოდ იმას, რომ ნაციონალურ მოძრაობას დაენახა, როგორ გაფლანგა ლამის 80%-იანი რეიტინგი, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რომ ჰქონდა, 0,1%-მდე და კიდევ ის, რომ მიხვდა (იმედი გვაქვს, რომ მიხვდა) 0,1%-იანი რეიტინგით ეროვნული მოძრაობა არ იწყება და ვერც უგულავა და მერაბიშვილი გახდებიან ლიდერები და ვერც სააკაშვილი დაიკავებს ზვიად გამსახურდიას ადგილს.

გასული საუკუნის 90-იანებში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დიდი გამარჯვებით დასრულდა – 1990 წლის 28 ოქტომბერს, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა – „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, რასაც 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, 9 აპრილს — საქართველოს სახელმწიფოებრივი აქტის აღდგენა, ხოლო 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევა მოჰყვა. ეროვნული მოძრაობის გამარჯვებისთანავე ამუშავდა რუსული აგენტურა, რომლის გაგრძელება 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალება იყო, ხოლო შედეგი – კომუნისტური ნომენკლატურის დაბრუნება უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს სათავეში. მას შემდეგ ტერმინი „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“ აღარავის უხსენებია. იგი შეიცვალა ტერმინით **„კანონიერების აღდგენისთვის ბრძოლა“,** რაც სავსებით გასაგები იყო. შევარდნაძის რეჟიმის 12-წლიანი ეპოქის შედეგები ქვეყნისთვის დამანგრეველი აღმოჩნდა: 1992 წელს საქართველოს იურისდიქციიდან გავიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთი, 1993 წელს დაიკარგა აფხაზეთი, ქვეყანაში გაჩნდა საძმო სასაფლაოები, საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა ნახევარ მილიონამდე ადამიანი, ციხეები გაივსო პოლიტიკური ნიშნით დევნილი უკანონო პატიმრებით, ქვეყნის ეკონომიკური, სამხედრო და საგანმანათლებლო პოტენციალი თითქმის განადგურდა, უაღრესი გაჭირვება სუფევდა სოფლად და ქალაქად, რასაც თან სდევდა მასობრივი კორუფცია და ტერაქტები. სწორედ ამ მდგომარეობამ და სამხედრო გადატრიალების შემდეგ არჩევნების ტოტალურმა გაყალბებამ გამოიწვია დასავლეთის საერთაშორისო წრეებისა და საქართველოს მოსახლეობის მღელვარება, რომელსაც მოჰყვა 2003 წლის 14-23 ნოემბრის **მშვიდობიანი საპროტესტო აქციები** დემოკრატიის სახელით, შევარდნაძე გადადგა და ხელისუფლებაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოვიდა. 2004 წლის 4 იანვარს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდა. ტერმინი „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა“ კვლავ უახლესი ისტორია იყო.

ნაციონალური მოძრაობის მმართველობა შევარდნაძის ეპოქაზე 3 წლით ნაკლებხანს გაგრძელდა, თუმცა ძალიან ჰგავდა წინამორბედ მოქალაქეთა კავშირს არა მხოლოდ ელიტის ცნობილი სახეებით, არამედ მმართველობის სტილითაც: საქართველოს იურისდიქციიდან გასულ ე.წ. სამხრეთ ოსეთს კიდევ რამდენიმე სოფელი მიემატა, აფხაზეთს — „ზემო აფხაზეთად“ წოდებული კოდორის ხეობა, გაიზარდა დევნილებისა და საძმო სასაფლაოების ოდენობა, ციხეები კვლავ გაივსო პოლიტიკური მოწინააღმდეგეებით, დარეკეტებული ბიზნესმენებით, გაიზარდა დარბეული ობიექტებისა და მიტინგების რაოდენობა, გაურკვეველ გარემოებაში გარდაცვლილ ცნობილ სახეებს ღიად დახვრეტილი უცნობი სახეები დაემატნენ, ერთი ეგაა – აღარ არსებობდა შუქისა და გაზის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა, თვეობით დაგვიანებული ხელფასები და პენსიები, საღამოს 6 საათის შემდეგ ქუჩაში გასვლის შიში და კიდევ სხვა უამრავი რამ. სამაგიეროდ, მასობრივი კორუფცია ელიტურ კორუფციად იქცა, რამაც ნულოვანი ტოლერანტობის პირობებში, კვლავ მოამწიფა საზოგადოების უკმაყოფილება. პოლიტიკურ არენაზე ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, თავისი უზარმაზარი ფინანსური ფონდით. ამ უკანასკნელმა გარს შემოიკრიბა უკვე თითქმის უიმედოდ დარჩენილი ოპოზიცია და მათთან ერთად 2012 წლის 1 ოქტომბერს პოლიტიკური მოძრაობა „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა... და ჰოი, საოცრებავ – ოპოზიციაში გადასულმა ნაციონალებმა ტერმინი „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“ გაიხსენეს!

ამხელა შესავალი სწორედ ამისთვის დამჭირდა, რომ მკითხველმა კიდევ ერთხელ გადახედოს უახლეს ისტორიას და გაიხსენოს მხოლოდ ფაქტები, რომლებიც, როგორც ჩანს, დღეს ოპოზიციასაც და მმართველ გუნდსაც დავიწყებული აქვს. ის, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მმართველობის მანძილზე არაერთხელ უხეშად დაარღვია ის პრინციპები, რაზედაც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იდგა, საკამათო არ არის. ამას უხერხულად, მაგრამ მაინც, თავადაც აღიარებენ. ცხადია, არც აკო მინაშვილია ზვიად გამსახურდია და არც გიგა ბოკერია – მერაბ კოსტავა, მაგრამ ასევე საოცარია, რომ ჩემს ერთ-ერთი კოლეგას, გადაცემაში მისაყვანად ძველი ეროვნული მოძრაობის რომელიმე წარმომადგენელზე ფიქრისას, კახა კუკავა ახსენდება და არა, ვთქვათ, ირაკლი წერეთელი ანდა ნოდარ ნათაძე ან თამარ ჩხეიძე. ცხადია, სასიამოვნო არ არის ნაციონალური მოძრაობის ლიდერების დანახვა იმ ადგილზე, სადაც, ცოტა ხნის წინ, მათ ადამიანების სისხლი დაღვარეს, თუმცა ნუ გვექნება მოკლე მეხსიერება – ეს ის ადგილია, რომელიც ცოტა ხნის წინ, ბარბაროსულად მოაოხრეს და ამის ბევრ მონაწილესა თუ მხარდამჭერს სულაც არ რცხვენია ამაყად იქ დგომა. დღეს ამაზე აღშფოთებით საუბარი, უბრალოდ, არ არის საჭირო.

ცხადია, არჩევნებში გამარჯვება საამაყოა და გასახარი, მაგრამ სულაც არ არის, პირდაპირ ვიტყვი, გაუზრდელების საფუძველი. როცა კობა დავითაშვილი ყურებზე ხახვის ვერდაჭრასა და ფეხების ვერმოჭმაზე კამერის წინ ლაპარაკობს, ხოლო ოდესღაც ორიგინალური ლევან ბერძენიშვილი პლაგიატ „მკვდრების ცოცხალ კედელს“ ახსენებს, ერთსაც და მეორესაც ავიწყდებათ, რომ ეს მათ მოიყვანეს ქვეყნის სათავეში მიხეილ სააკაშვილი, დღეს უკვე სხვა ოპონენტებთან ერთად, მათ მისცეს განუზომელი ძალაუფლება და სულ ცოტათი, მათი ბრალიცაა ის, რასაც ყოფილი მმართველი გუნდი 9 წლის მანძილზე აკეთებდა და არც ერთ 26 მაისს, თუნდაც სიმბოლურად არასდროს მისულან მთაწმინდაზე მერაბ კოსტავას საფლავზე ნიშნად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის მემკვიდრეობაზე აქვთ პრეტენზია!

ტელეეკრანებიდან კი არ უნდა იუზრდელონ, რაც მაყურებლის შეურაცხყოფაა და არა – მოწინააღმდეგის, მინიმუმ, ბოდიში მაინც უნდა მოუხადონ საზოგადოებას ამისთვის! მათაც და მათ კოლეგებსაც, სამწუხაროდ, შეხსენება სჭირდებათ ხოლმე, რომ თუ არა ბიძინა ივანიშვილი, საკუთარი თითქმის ნულრეიტინგიანი და არცთუ სუფთა იმიჯის მქონე პარტიებით ვერასოდეს მოვიდოდნენ ხელისუფლებაში. ცხადია, საზოგადოება, შეხსენების გარეშეც, შესანიშნავად ხედავს სხვაობას მერაბ კოსტავასა და ვანო მერაბიშვილს, ზვიად გამსახურდიასა და გიგი უგულავას შორის, მაგრამ იმ უხერხულობასაც მშვენივრად გრძნობს, როცა პოლიტპატიმარ გამსახურდიასა და პოლიტპატიმარ კოსტავას დღეს სტატუსით ბევრი ისეთი ადამიანი გაუტოლდა, რომელთა გვარებიც ხალხს უკვე აღარ ახსოვს.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა კომუნისტურ რეჟიმს ებრძოდნენ საქართველოში, მაგრამ როდესაც პირველი დამოუკიდებელი უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა, სადაც ამომრჩეველთა თითქმის 69%-იდან მიღებული ხმების 30%-ითა და 65 მანდატით საკანონმდებლო ორგანოში კომუნისტური პარტია შევიდა, ზვიად გამსახურდიას აზრადაც არ მოსვლია, ეთქვა, რომ ეს ადამიანები უნდა მოისპონ და კომუნისტური პარტია აიკრძალოს, თუმცა სწორედ კომუნისტურმა ნომენკლატურამ გააძევა და იმსხვერპლა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ნურავინ შემახსენებს ტერმინს „წითელი ინტელიგენცია“, რომელიც მაშინ ხშირად ისმოდა. ეს კასტა დღემდე განაგრძობს არსებობას და არც არასოდეს იყვნენ დაჩაგრულები.

არც ყოფილა და არც მოქმედი ხელისუფლების უმრავლესობაში არიან ადამიანები, ვისაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ხსენების, მათით მანიპულირების უფლება აქვთ. მათგან განსხვავებით, ბევრს გამოუვლია ტყვიების წვიმა შუა ქალაქში, ბევრს, შუა იანვარში, სახანძრო მანქანებიდან გამოსროლილი წყლის სიცივეც ახსოვს და ტყვიით მოცელილი თანატოლებიც, მაგრამ ამით თავმოწონება არ დაუწყია და არც სტატუსები მოუთხოვია. ბევრი რამე და ბევრი ვინმე ახსოვთ, მაგრამ პოლიტიკოსობანას არ თამაშობენ, თავის საქმეს აკეთებენ. შეეშვით გმირობის ძიებასა და ირონიას, დატოვეთ რაღაც სუფთა და ხელშეუხებელი, საქმეს მიხედეთ და ხანდახან მერაბ კოსტავას სიტყვებიც გაიხსენეთ ხოლმე, რომელიც უნივერსიტეტში წარმოთქვა: „მეგობრებო, გვინდა თუ არა ჩვენ თავისუფლება? მე გეკითხებით – გვჭირდება თუ არა თავისუფლება?! ამისთვის საჭიროა, ნებისმიერი ჩვენი მოქმედება იყოს ღირსეული და ამავე დროს, გონიერი. უღირსებს ღვთის მიერ გონება ყოველთვის წართმეული აქვთ!“

პატრიარქი მრევლს არსებული ბოროტების სიკეთით შეცვლას უსურვებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მრევლს ქვეყანაში არსებული ბოროტების სიკეთით შეცვლას უსურვებს.

„მინდა, გისურვოთ, რომ ბოროტება, რომელიც თქვენშია, თუ არის ეს ბოროტება და საერთოდ, ქვეყანაშია, შეიცვალოს სიკეთით და თუ ჩვენ გვექნება რწმენა, სიყვარული, სასოება და თავმდაბლობა, ღმერთი აუცილებლად მოგვცემს ძალას, რომ სიკეთემ სძლიოს ბოროტს“, — განაცხადა პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას.

„პირველი“



ევროსაბჭოში ქართულ-რუსული დელეგაციების შეხვედრა ქართული მხარისთვის საზიანოა

რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პირველად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში, რუსული და ქართული დელეგაციების სრული შემადგენლობით შეხვედრა იგეგმება.

ევროპის საბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩი მამუკა ჟღენტი მიიჩნევს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (PACE) ქართული და რუსული დელეგაციების ფორმალური შეხვედრები საქართველოს ინტერესებისთვის საზიანოა. მისივე განცხადებით, PACE-ს პრეზიდენტის თანდასწრებით, საქართველოს დელეგაცია, პეტრე ცისკარიშვილის ხელმძღვანელობით, აქამდეც არაერთხელ შეხვდა რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარეს ალექსეი პუშკოვს, საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის დასწრების გარეშე, პუშკოვს დელეგაციის ახალი ხელმძღვანელი თედო ჯაფარიძეც შეხვდა. **„რაც შეეხება იმას, თუ რატომაა არასასურველი დელეგაციებს შორის ფორმალური შეხვედრის გამართვა, რუსეთი ისედაც ცდილობს ჟენევის ფორმატის დაკნინებას, ამ შეხვედრებს PACE-ს ფარგლებში თუ ფორმალური და რეგულარული ხასიათი მიეცა, არის საშიშროება, რომ რუსებმა ის განიხილონ, როგორც ჟენევის ფორმატის ალტერნატივა. PACE-ს რეზოლუციებსა და მონიტორინგის კომიტეტის გადაწყვეტილებებში რუსეთსაც და საქართველოსაც კონკრეტული ვალდებულებები დაეკისრა და რუსეთს არც ერთი მათგანი არ შეუსრულებია. PACE-ს ფარგლებში დელეგაციებს შორის ამ შესაძლო დიალოგს რაიმე ლოგიკური დატვირთვა რომ გააჩნდეს, რუსულმა მხარემ თუნდაც რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია შეასრულოს, ფორმალური შეხვედრისას კი არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი დაიწყებს მტკიცებას, თითქოს მინიმალური მოთხოვნები რუსეთმა დააკმაყოფილა; მეორე ინტერპრეტაცია კი შეიძლება ის იყოს, რომ PACE და ქართული მხარე რუსეთისგან ამ რეკომენდაციების შესრულებას აღარ ითხოვს“,** — აცხადებს მამუკა ჟღენტი.

მისივე თქმით, 2011 წლის იანვარში PACE-ს მონიტორინგის კომიტეტმა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო, როგორ გაგრძელდეს PACE-ს მიერ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების მონიტორინგი და ამ ახალი ფორმატის ნაჩქარევად, მოუმზადებლად „შემოგდებითა“ თუ მასზე დათანხმებით, შესაძლებელია, 2011 წლის იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებას მიადგეს ზიანი. ევროპის საბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩი ვარაუდობს, რომ დაგეგმილი შეხვედრის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება, სიმართლეს არც შეესაბამებოდეს და რუსეთის დელეგაციეს მიერ იყოს შემოგდებული.

„პირველი“

სოსო მანჯავიძე: „ნაძალადევის არჩევნებში ივანიშვილის მხარდაჭერას ვგრძნობ!“

რუსუდან შელია
557-100-768

დარწმუნებულია, რომ 27 აპრილს ნაძალადევის შუალედურ არჩევნებში გაიმარჯვებს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ გარკვეულმა ძალებმა არჩევნების ჩაშლა სცადონ. ამასთან, ითხოვს, კახა კუკავამ ბოდიში მოუხადოს... მოკლედ, „ვერსიის“ კითხვებს ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარდგენილი სოსო მანჯავიძე პასუხობს.

— ნაძალადევის რაიონში წინასაარჩევნო კამპანია ნორმალურად მიმდინარეობს. დიდი ხანია, მოსახლეობას ვხვდები და შტაბებიც აქტიურად მუშაობენ. ჩვენი ინიციატივით, 21 აპრილს, კიკვიძის ბაღში გრანდიოზული კონცერტიც გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ნაძალადევის რაიონში ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების მიმართ იმედგაცრუება მატულობს, რაც, პირველ რიგში, ქვეყანაში არსებულ უსამართლობას უკავშირდება, ამიტომ ორმაგად მოტივირებული ვარ, მოსახლეობისთვის მიცემული ყველა პირობა შევასრულო. საერთოდ, სხვებისგან განსხვავებით, ჩვენი გუნდი ლაპარაკთან ერთად, მოქმედებს კიდეც, შესაბამისად, უკვე შემუშავებული გვაქვს გეგმა, როგორ გამოვიდეს ქვეყანა არსებული პოლიტიკური კრიზისიდან.

— ცოტა ხნის წინ, ნაძალადევის რაიონში დამოუკიდებელმა კანდიდატმა ზურა ქადაგიძემ კანდიდატურა თამარ კორძაიას სასარგებლოდ მოხსნა და აღნიშნა, რომ პრაიმერის მიხედვით, ნაძალადევში სწორედ „ოცნების“ წარმომადგენელი ლიდერობს...

— ნაძალადევის რაიონში პრაიმერი არ ჩატარებულა. შესაბამისად, არ მესმის, რომელი რეიტინგის საფუძველზე დაასკვნა ზურა ქადაგიძემ, რომ ნაძალადევის რაიონში უპირობო ლიდერი თამარ კორძაიაა? სხვათა შორის, ჩვენგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად, სამი გამოკითხვა ჩატარდა და ტელეკომპანია „კავკასიის“, „კვირის პალიტრისა“ და „ობიექტივის“ შედეგების მიხედვით, ნაძალადევში სწორედ მე ვლიდერობ. არ მინდა, ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ დიახ, გამარჯვებაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

— ისე, სხვა კანდიდატებთან შედარებით, ტელევიზიით ნაკლებად ჩანხართ. ეს იმის ბრალია, რომ პასიურ წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებთ?

— არა, ეს იმის ბრალია, რომ ე.წ. ნაციონალური ტელევიზიები სააკაშვილისდროინდელ პოლიტიკას განაგრძობენ. დიახ, მაშინ, როცა აბსოლუტურად ყველა კანდიდატის შეხვედრები შუქდებოდა, ტელევიზიით ჩემ სახელსა და გვარს არ აჟღერებენ, არადა, სხვა კანდიდატებთან შედარებით, ყველაზე ხშირად მოსახლეობას მე ვხვდები. ვფიქრობ, ეს პრობლემა ამ ეტაპზე ნაკლებად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ნაძალადეველებისგან სიყვარულსა და მხარდაჭერას ყოველდღე ვგრძნობ. საბედნიეროდ, მოსახლეობაზე დამახინჯებული ინფორმაცია გავლენას ვერ ახდენს.

— კახა კუკავას განცხადებას გულისხმობთ?

— დიახ... სხვათა შორის, ბატონი კახაბერისგან ახსნა-განმარტებებს მოვითხოვ!

— ცესკო-ში, პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილა, რაც იმას ნიშნავს, რომ შუალედური არჩევნები ძველი სიებით ჩატარდება. მახსოვს, ამ სიებს თავის დროზე უნდობლობას უცხადებდით. ამ ფონზე, ხომ არ ფიქრობთ, რომ 27 აპრილს არჩევნები გაყალბდება?

— გვაქვს ინფორმაცია, რომ გარკვეულმა ძალებმა შესაძლოა, არჩევნების გაყალბება სცადონ, თუმცა თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, ორგანიზატორები საკადრის პასუხს მიიღებენ.

არჩევნების გასაყალბებლად ხელი არავის წაუცდეს, რადგან მსგავსი ფაქტი ხელისუფლებას უზარმაზარ პოლიტიკურ დარტყმას მიაყენებს და მმართველი გუნდისადმი მოსახლეობის ნდობაც საბოლოოდ დასამარდება. სხვათა შორის, ინფორმაცია იმის შესახებაც გვაქვს, რომ გარკვეული ადამიანების კასტა, სხვადასხვა მანიპულაციის გზით, არჩევნების ჩაშლის გეგმასაც განიხილავს.

— არჩევნების ჩაშლას თამარ კორძაიას მხარდამჭერები გეგმავენ? — ცნობილია, რომ „ოცნების“ კანდიდატმა შტაბი დაითხოვა. ხომ არ იცით, თამარ კორძაიასა და მის აქტივისტებს შორის რა მოხდა?

— არჩევნების ჩაშლის მცდელობა ბევრს აქვს, თუმცა ყველამ უნდა გაიგოს, რომ დღეს სხვა რეალობაში ვცხოვრობთ და ნაციონალური მოძრაობის მეთოდებით ფონს ვერავინ გავა. რაც შეეხება თამარ კორძაიას შტაბს, ბუნებრივია, ამ თემით დაინტერესებული დიდად არ ვარ, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, მან ძველ კადრებს უნდობლობა გამოუცხადა, რის შემდეგაც თავად შტაბმა გადაწყვიტა ქალბატონი თამარისგან წასვლა.

თამარ კორძაიას კანდიდატურა ნაძალადევის რაიონში ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან „რესპუბლიკელების“ კადრია. „რესპუბლიკელების“ იდეოლოგია ჩემთვისაც მიუღებელია, რადგან ნეოლიბერალურმა მიდგომამ საქართველო დაქცევის პირას მიიყვანა.

— კოალიციისგან განსხვავებით, პრემიერ ბიძინა ივანიშვილი თქვენი პარტიისადმი სიმპათიას საჯაროდაც არ მალავს. ერთ-ერთ შეხვედრაზე ისიც კი განაცხადა, კარგი იქნება, თუ ირმა ინაშვილი საკუთარ პარტიას გააძლიერებსო...

— ბიძინა ივანიშვილისგან ჩვენდამი მორალური მხარდაჭერა ნამდვილად შესამჩნევია, თუმცა მისი განცხადების მიზეზი ქუთაისის საკრებულოში მიმდინარე პროცესები გახდა — ძალებს საკმაოდ აქტიურად ვიკრებთ და ქუთაისის საკრებულოში ათკაციანი ფრაქციის ჩამოყალიბებაც შევძელით. ქუთაისის მერის გადაყენებაც ჩვენი გუნდის დამსახურებაა. პარალელურად, აქტიურად ვმუშაობთ სხვა რეგიონებშიც და გარწმუნებთ, ნაციონალური მოძრაობის რღვევის პროცესი მალე დასრულდება.

— ბიძინა ივანიშვილთან ერთად, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ნომინანტად დასახელდით. პრემიის მიღების შანსი რეალურად გაქვთ?

— ნობელის კომიტეტმა ბიძინა ივანიშვილი და „ობიექტივის“ ჯგუფი ნომინანტებად გვცნო. დაჯილდოება 2013 წლის 11 ოქტომბერს გაიმართება. ისე, ნომინანტად დასახელებაც დიდი წარმატებაა, მით უმეტეს, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი ნომინაციაში წარადგინეს.

თუ ჩვენ საქმეს — ციხის კადრების ოპერაციას პირუთვნელად განიხილავენ, ამასთან, მოვლენის მასშტაბს, პერიპეტიებსა და ამ ოპერაციაში ჩართული ადამიანების პირად რისკებს კარგად განსაზღვრავენ, ვფიქრობ, ნობელის პრემიის მიღების შანსი საკმაოდ მაღალია.

უშიშროების გენერალი გიგა ბოკერიასა და თავისუფლების ინსტიტუტის საიდუმლო გეგმას შიფრავს

„დაშა ნაცვლიშვილი საკმაოდ ჭკვიანი კაცია და არ გამოვრიცხავ, რომ საქმე მის მიერ მოხაზულ სტრატეგიასთან გვქონდეს“

ირუსუდან შელია
557-100-768

19 აპრილს, რუსთაველის გამზირზე, ნაციონალებმა, როგორც თვითონ ამბობენ, ახალი ეროვნული მოძრაობა დაიწყეს, თუმცა პოლიტიკურ წრეებში არ გამორიცხავენ, რომ ყოფილ მმართველებს არაერთი უსიამოვნო სიურპრიზი ელის. ვინ შექმნა ნაციონალური მოძრაობის დასამარების სტრატეგია და გაიმეორებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი მუბარაქის გზას? — „ვერსიას“ საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია ესაუბრა:

— სიმართლე გითხრათ, 19 აპრილის აქციის არსი ვერ გავიგე — როგორც მოსალოდნელი იყო, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა ქუჩაში ბევრი ისაუბრეს და მალევე დაიშალნენ. არ ვფიქრობ, რომ ეს აქცია ნაცმოძრაობის გადარჩენას შეძლებს.

— 19 აპრილის აქციამდე, დათა ახალაიამ ნაციონალებს საკმაოდ უსიამოვნო სიურპრიზი მოუწყო, მარიკა ვერულაშვილმა კი პარტიის ყოფილი ლიდერებისგან აღიარებითი ჩვენებების ტენდენციის გაგრძელება დააანონსა. რატომ დაიწყო ნაციონალურ მოძრაობაში ერთმანეთის „ჩაშვების“ პროცესი?

— ნაციონალური მოძრაობის ყოფილი ლიდერებისგან აღიარებითი წერილები საკმაოდ ლოგიკურად მეჩვენება. მეტიც, ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით დათა ახალაიას წერილს აბსოლუტურად ვეთანხმები, რადგან მან, სააკაშვილთან ერთად, საკუთარი უგნურებით პარტიაც დაღუპა და ქვეყანაც. ყოველგვარი დანაშაული და უბედურება სწორედ ამ ერთი ადამიანისგან მოდიოდა და ნამდვილად არ მესმის, რატომ მიიჩნეოდა იგი კარგ მენეჯერად ან უბადლო ორგანიზატორად.

— რამდენად საფუძვლიანია ვერსია, რომ ვანო მერაბიშვილის გარიყვას თავად სააკაშვილი ახალაიების დახმარებით ცდილობს?

— რა თქმა უნდა, თუ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურ მომავალზე ფიქრობს, პირველ რიგში, ვანო მერაბიშვილი უნდა მოიშოროს და მართლმსაჯულებას გადასცეს. ადრე მერაბიშვილი მხოლოდ იმიტომ ითვლებოდა ყოვლისშემძლე მინისტრად, რომ აბსოლუტურად ყველაფერი გასდიოდა, არადა რეალურად, საკმაოდ სუსტი პიროვნებაა. თუნდაც აგვისტოს ომის მოვლენები გავიხსენოთ, როცა ქვეყნიდან გაიქცა და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როცა რუსებმა უკან დაიხიეს... ამიტომაც ვამბობ, თუ ნაციონალური მოძრაობა თვითგადარჩენაზე ფიქრობს, ვანო მერაბიშვილი უნდა გარიყოს. მასთან ერთად, გუნდიდან სასწრაფო გარიცხვას კიდევ რამდენიმე პირი იმსახურებს.

— ყველაფრის ვანო მერაბიშვილისთვის გადაბრალებით ნაციონალები რეაბილიტირებას შეძლებენ?

— ნებისმიერ შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობის გადარჩენის შანსი ნულია, რადგან ამ პარტიაში სეგრეგაციის პროცესი მიმდინარეობს — ძალიან მალე ნაციონალები რამდენიმე წვრილ-წვრილ ჯგუფებად დაიშლებიან და ასე შეძლებენ პოლიტიკურ ასპარეზზე ფეთქვის გახანგრძლივებას. ისე, ზურაბ ადეიშვილი დროულად მიხვდა, რომ ქვეყანა უნდა დაეტოვებინა და საკუთარ თავზე ზრუნვა დაიწყო. ვანო მერაბიშვილი იმდენად უსინდისოა, რომ თავის შველას კი არ ცდილობს, პირიქით, მოსახლეობას დიდაქტიკური ტონით ელაპარაკება და მმართველ გუნდს ჭკუას ასწავლის.

— ამ შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ კვალს ვერ ხედავთ? ერთ-ერთი კულუარული ინფორმაციით, ამ პროცესებს გია ხუხაშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი მართავენ.

— ლაშა ნაცვლიშვილი საკმაოდ ჭკვიანი კაცია და არ გამოვრიცხავ, საქმე მის მიერ მოხაზულ სტრატეგიასთან გვქონდეს, თუმცა არ მგონია, ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის გარეშე ხდებოდეს.

— ანუ ნაციონალური მოძრაობისა და „ოცნების“ მიერ ერთობლივად დაგეგმილ თამაშს ვუყურებთ?

— ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ბრძოლაა, რომლის სულის ჩამდგმელად ლაშა ნაცვლიშვილი წარმომიდგენია. არ გამოვრიცხავ, ეს პროცესი იმით დასრულდეს, რომ ნაციონალურ მოძრაობას გიგა ბოკერია გამოეყოს, რომელიც სხვებისგან განსხვავებით, საკმაოდ ჭკვიან პოლიტიკოსად მესახება. სავარაუდოდ, ის, თავისუფლების ინსტიტუტის სხვა წევრებთან ერთად, საკმაოდ საინტერესო გუნდს შემოგვთავაზებს, რასაც ვანო მერაბიშვილის მსგავსი ჰაბიტუსის მქონე პოლიტიკოსისგან ნამდვილად არ ველოდები — ის უკვე წარსულს ჩაბარდა.

— სააკაშვილი სად წარმოგიდგენიათ?

— სააკაშვილი, ალბათ, დასავლეთში წავა და მასაჟების კურსს გააგრძელებს. ზოგადად, მას უყვარს მსგავსი პროცედურები, თუმცა თუ სააკაშვილს აგვისტოს ომთან დაკავშირებით დაკითხავენ, დაახლოებით, მუბარაქის სასამართლო პროცესს ვიხილავთ. მმართველი გუნდი ვალდებულია, აგვისტოს ომის გამოძიების საკითხი ბოლომდე მიიყვანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, თვითნებურად ომის წამოწყება მომავალმა ხელისუფლებამაც სცადოს, რაც საბოლოოდ, ქვეყანას დაღუპავს. ვინც სიმართლეს არ ამბობს, საბოლოო ჯამში, თავად ზარალდება. მსგავს მდგომარეობაში მეც ვიყავი, როცა ვამტკიცებდი, რომ გილაევი პანკისის ხეობაში იმალებოდა. მაშინ მითხრეს, ამ ინფორმაციას ნუ ახმაურებ, ქვეყნის იმიჯს აზიანებო, მაგრამ საკმაოდ მშვიდად ვიკითხე, თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ ამერიკამ ან თუნდაც რუსეთმა ამის შესახებ იცის და თუ ყველამ ყველაფერი იცის, მათ შორის, პანკისის მოსახლეობამაც, მე რატომ უნდა ვიყო ჩუმად-მეთქი? ახლაც, დაახლოებით, იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე — ყველამ ყველაფერი იცის და პოლიტიკურ და იურიდიულ შეფასებას ელის. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს უკიდურესობა ხშირად სჭირთ. მაგალითად, პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილი და მერაბიშვილი 2008 წელს რუსეთთან შეთანხმებით მოქმედებდნენ, არადა, რუსეთი მიხეილ სააკაშვილთან ხელის მარტივ მოძრაობებზე არასოდეს შეთანხმდებოდა, ამიტომ კარგი იქნება, პაატა ზაქარეიშვილმა ბავშვური ანალიზისგან თავი შეიკავოს, რაც ალბათ, მისი გამოუცდელობის ბრალია. ახლა მოსკოვის შუაგულში ვიმყოფები და ნეტა განახათ, როგორ არ აინტერესებს რუსეთს საქართველო.

— ბატონო ვალერი, ვინ დაგიჯერებთ, რომ რუსეთს საქართველოში მიმდინარე პროცესები არ აინტერესებს?

— არ ვიცი, ვინ დაიჯერებს, მაგრამ ფაქტია: ამ თემით მხოლოდ კინკილა პოლიტიკოსები არიან დაკავებულნი.

> **ნუ გვგონია, რომ დედამიწა საქართველოს ირგვლივ ტრიალებს. ამ მიმართულებით მხოლოდ ჩვენ ვაქტიურობთ და მუდმივად ეპიცენტრში ყოფნას ვცდილობთ. სხვათა შორის, სააკაშვილის განცხადებაზე, ამერიკელები როკის გვირაბის დაბომბვას გეგმავდნენო, ბევრი ვიცინე. ძნელად წარმომიდგენია იმდენად სულელი ამერიკელი, რომელიც მაშინ როკის გვირაბის აფეთქებაზე დაფიქრდა. რეალურად, გვირაბის აფეთქება აგვისტოს ომში გარდატეხას ვერ მოახდენდა, ბოლოს და ბოლოს, რუსები ზღვიდან ან აფხაზეთიდან შემოვიდოდნენ.**

უბრალოდ, 2008 წელს, სააკაშვილს, ომის ფონზე, ოლიმპიადის გადაფარვა უნდოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. რუსის ჯარი მითითებულ 12-კილომეტრიან ზოლს არ გასცდენია. შემოხაზული რადიუსი მხოლოდ ხაშურთან და ფოთთან დაარღვია. თუ თბილისზე წამოსვლა უნდოდათ, ვინ შეუშალა ხელი — მიშას მიერ ორგანიზებულმა კონცერტმა? ევროპელი ლიდერების ჩამოსვლა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც სააკაშვილმა გაიგო, რომ რუსები თბილისისკენ არ მოდიოდნენ. ვინც საბრძოლო ტაქტიკაში ერკვევა, აგვისტოს ომის სქემას მარტივად გაშიფრავს.

— სხვათა შორის, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოში თქვენი ჩამოსვლა ბევრმა ნაციონალების დახმარებად აღიქვა.

— არ მესმის, მსგავს სისულელეებს ვინ ავრცელებს, რადგან ნაციონალებთან საერთო არასოდეს მქონია და არც მომავალში მექნება. ვინც კარგად მიცნობს, წარმოუდგენელია, მსგავსი ინფორმაციები დაიჯეროს. საქართველოში მხოლოდ მესამე ცენტრის ჩამოსაყალიბებლად დავბრუნდი.

— და სადაა ეს მესამე ცენტრი? — შეთანხმება ვერც ნინო ბურჯანაძესთან მოახერხეთ და ვერც — კახა კუკავასთან...

— ვინ თქვა, რომ ვერ მოვახერხე? უბრალოდ, არსად გვეჩქარება. ჩემი ძირითადი სამიზნე ადგილობრივი არჩევნებია, რომელშიც წარმატებას აუცილებლად მივაღწევ. ამ ეტაპზე, პროცესებს ვაკვირდები, პარალელურად, პოლიტიკურ კონსულტაციებსაც ვაწარმოებ. ამ მიზნით, 30 აპრილს საქართველოში ჩამოსვლასაც ვგეგმავ. ქართული პოლიტიკა მხოლოდ ნინო ბურჯანაძესა და კახა კუკავას არ მოიცავს, ახალ სახეებს მოვძებნი. მთავარია, რომ იდეოლოგიური საწყისი გაგვაჩნია და მთლიანად რუსეთზე ორიენტირებულები ვართ. იცით, ნაციონალური მოძრაობა რატომ დასამარდება? მას იდეოლოგიური საწყისი არ აქვს და დასავლურ ცხოვრებასა და დემოკრატიაზე მხოლოდ ხელოვნურად საუბრობს.

ვერსიანიუსი

ავღანეთიდან სამშობლოში ქართველი სამხედროების კიდევ ერთი ნაკადი დაბრუნდა

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მესამე ქვეითი ბრიგადეს 32-ე ბატალიონის სამხედროები, ავღანეთში 6 თვის განმავლობაში, ISAF-ის მისიის ფარგლებში წარმატებით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას.

სამშვიდობოებს აეროპორტში საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი პირები და მესამე ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი დახვდნენ.

სამინისტროს ინფორმაციით, ავღანეთის საერთაშორისო მისიიდან დაბრუნებულ უმცროს სერჟანტს ალექსანდრე თეთვაძეს, რომელიც ოჯახში მოულოდნელად მივიდა, ოჯახის ახალი წევრი დახვდა. პატარა ნინი მამის ავღანეთში ყოფნისას დაიბადა და დღეს პირველად შეხვდა მას. ალექსანდრე თეთვაძის მსგავსად, ოჯახის წევრებს სიურპრიზი რიგითმა ხვიჩა ქოქოშვილმაც გაუკეთა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქართველი სამხედროების სამშობლოში დაბრუნება ეტაპობრივად მოხდება და 23 აპრილამდე ბატალიონი სრულად დაბრუნდება საქართველოში. აღნიშნული ბატალიონი ავღანეთში როტაციის წესით მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონმა ჩაანაცვლა.

„ინტერპრესნიუსი“

გიგი უგულავას ცოლს მართვის მოწმობა ჩამოართვეს

დედაქალაქის მერის, გიგი უგულავას მეუღლეს, ლელა კილაძეს მართვის მოწმობა ერთი წლით ჩამოართვეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა განუცხადა, როდესაც საპატრულო პოლიციამ ლელა კილაძე გააჩერა, აღმოჩნდა, რომ იგი ავტომანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა.

იქიდან გამომდინარე, რომ ლელა კილაძე პოლიციამ ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან მეორედ აღმოაჩინა, მას 1 წლით მართვის მოწმობა ჩამოერთვა. აღნიშნული ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა.

„ინტერპრესნიუსი“

თბილისში 47 წლის მამაკაცი დაჭრეს

შემთხვევა ვაჟა-ფშაველას №20-თან, ერთ-ერთი სადარბაზოს ლიფტთან მოხდა. დაყაჩაღების მიზნით 47 წლის რამაზ ალოიანს ჭრილობა მარცხენა წვივის მიდამოში მიაყენეს.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, დაჭრილი მამაკაცი ვაჟა-ფშაველაზე არ ცხოვრობს, იგი ჩანთით, ერთ-ერთ ოჯახში, მიცვალებულისთვის ბალზამის გასაკეთებლად მიდიოდა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებმა მამაკაცს პირველადი დახმარება ადგილზე გაუწიეს, რის შემდეგაც ემერჯენსის კლინიკაში გადაიყვანეს. დაზარალებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მომხდართან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება.

„ინტერპრესნიუსი“

დიტერ ბოდენი ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა

გაერო-ს გენერალური მდივნის ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, „რობერტ ბოშის ფონდის“ კონსულტანტი დიტერ ბოდენი აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტს, ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა. ამის შესახებ აფხაზური მედია წერს. მათი ინფორმაციით, დიტერ ბოდენმა ანქვაბს მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ თვალს ადევნებს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობებს. ალექსანდრე ანქვაბმა აღნიშნა, რომ აფხაზეთი საქართველოს ახალი ხელისუფლებისგან საკვანძო საკითხებზე პოზიციების ცვლილებას არ ელის.

„თავიდან უნდა მოხდეს ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერა, თუმცა ამის პერსპექტივებს ჯერ ვერ ვხედავ“, — აღნიშნა ანქვაბმა.

შეხვედრის ბოლოს, ანქვაბმა ბოდენი აფხაზეთში დასასვენებლადაც დაპატიჟა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში გამგზავრებამდე, დიტერ ბოდენი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა.

„ინტერპრესნიუსი“

სამხედრო პირს გირაო, მიმალვაში მყოფს კი პატიმრობა შეეფარდა

14 აპრილს ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში მომხდარ ინციდენტში მონაწილე სამხედრო პოლიციის ორ თანამშრომელს — მალხაზ მამფორიას და პაატა გვილიას 15-ათასლარიანი გირაო, ხოლო მიმალვაში მყოფ ონისე ხუბულავას პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაკავებულებს გირაოს გადახდა 15 დღის ვადაში დააკისრა. სასამართლოს სხდომას დაკავებული მამფორია და გვილიაც ესწრებოდნენ.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, პროკურატურის სამხედრო დეპარტამენტის თანამშრომლებმა საჯარო ადგილას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა.

ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში სტუმრად მყოფმა პაატა გვილიამ, მალხაზ მამფორიამ და ონისე ხუბულავამ რამდენიმე ავტომანქანა გააჩერეს, მოითხოვეს საბუთები და გაჩხრიკეს. შეამოწმეს საბარგულები. მოქალაქეებს კი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მათ უწოდეს „თათრები“ და ჯვრის ჩვენება მოსთხოვეს. ხუბულავამ ერთ-ერთ მოქალაქეს კისერთან პისტოლეტი მიადო და შუბლის გახვრეტით დაემუქრა.

„მედიანიუსი“

როგორი იქნება თბილისის რესტავრირებული პარლამენტი

რამდენი იხარჯება სხდომათა დარბაზის რემონტზე და აპირებენ თუ არა ნაციონალები ახალ „ძველ პარლამენტში“ მუშაობას

ეკა სეხნიაშვილი

საакაშვილის რეგიონული განვითარების იდეა და ამ მოტივით პარლამენტის თბილისიდან იმერეთში გადატყორცნა, ბიძინა ივანიშვილის კოალიციას არ მოსწონს. ამიტომაც, საკანონმდებლო ორგანო ქუთაისიდან დედაქალაქში ბრუნდება და როგორც უმრავლესობაში ამბობენ, ყველა საჭირო დოკუმენტში შევა შესაბამისი ცვლილება, სადაც მითითებული იქნება, რომ ქუთაისი არ არის პარლამენტის ფუნქციონირების ერთადერთი ადგილი, თუმცა ვიდრე კანონმდებლები მუშაობას თბილისში დაიწყებენ, ყოფილი პარლამენტის შენობა უნდა გარემონტდეს. თავდაპირველად, დარბაზების რეკონსტრუქციაა დაგეგმილი — პარლამენტის სასესიო და კიდევ ორი დარბაზის რეკონსტრუქციისთვის 5 მილიონი ლარია გამოყოფილი. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სარემონტო სამუშაოები სამ თვეში უნდა დაასრულოს...

პარლამენტის აპარატმა ტენდერი თბილისის პარლამენტის შენობის სარემონტო სამუშაოებზე მიმდინარე წლის იანვარში გამოაცხადა. ტენდერში 21 ორგანიზაცია მონაწილეობდა, რომელთაგან შპს „ორნამენტი“ შეირჩა.

თბილისში, რუსთაველის №8-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლის შენობა 2012 წლის ნოემბრამდე სს „საპარტნიორო ფონდის“ ბალანსზე იყო, ნოემბრიდან კი საკანონმდებლო ორგანოს ბალანსზე გადავიდა. შენობის მოწყობაზე ტენდერი საქართველოს პარლამენტის აპარატმა 2013 წლის 28 იანვარს გამოაცხადა.

როგორც სატენდერო დოკუმენტაციიდან ირკვევა, დაგეგმილია შენობაში შიდა სამუშაოების ჩატარება და „პრეტენდენტს არ აქვს უფლება, წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება“.

პარლამენტის შენობა სამი კორპუსისგან შედგება. ტენდერის პირობების თანახმად, ჩასატარებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ითვალისწინებს სამივე შენობაში კედლებისა და ჭერის სამღებრო სამუშაოებს, დაზიანებული პარკეტის იატაკის დემონტაჟს, არსებული პარკეტის იატაკის მოხვეწა-ლაქის წასმას, დაზიანებული კარების დემონტაჟსა და წაბლის მასალისგან ახლის მოწყობას, მინის კარისა და ნიშებ მწყობრში მოყვანის სამუშაოებს.

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ახალი პარლამენტის სხდომათა დარბაზის დიზაინი პირადად პრემიერ-მინისტრთანაა შეთანხმებული. ახალი დიზაინის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სხდომათა დარბაზში ნაწილობრივ მოიშლება ხის ფერი და მის ადგილს თეთრი დაიკავებს, ასევე თავიდან დამონტაჟდება აკუსტიკური და ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობები. შესაძლოა, შეიცვალოს სპიკერების შემაღლებული ტრიბუნის ფასადური დიზაინიც.

„ვერსიას“ პარლამენტის ახალი სხდომათა დარბაზის ესკიზს აწვდიან და ირწმუნებიან, რომ ამ ვარიანტში მხოლოდ მინიმალური ცვლილებები შევა.

პარლამენტის უმცირესობის შეფასებით, სხდომათა დარბაზის ფერი და დიზაინი მეორეხარისხოვანია, რადგან ნაციონალები, ზოგადად, პარლამენტის თბილისში გადმოტანის იდეას ემიჯნებიან. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, უმცირესობამ თბილისში დაბრუნებული პარლამენტის სხდომებს, პროტესტის ნიშნად, მცირე ხნით ანუ, სიმბოლურად, შესაძლოა, ბოიკოტი გამოუცხადოს, თუმცა თბილისში, პარლამენტის სასესიო სხდომების ბოიკოტის საკითხი, ჯერჯერობით, ნაციონალების შიდაგანხილვის პროცესშია.

ვერსიანიუსი

წელს სტუდენტის სტატუსისთვის 42 ათასი აბიტურიენტი იბრძოლებს

ბოლო წლებთან შედარებით, წელს აბიტურიენტთა უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა, — ამის შესახებ ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა.

მისი ინფორმაციით, სტუდენტის სტატუსისთვის 42 000-მდე აბიტურიენტი იბრძოლებს.

დარეგისტრირებულ აბიტურიენტებს აგვისტოს ბოლომდე აქვთ საშუალება, სურვილის შემთხვევაში, მათ მიერ მითითებული უნივერსიტეტი და ფაკულტეტი შეცვალონ.

დასრულდა ასევე სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე რეგისტრაციაც, სადაც 9 000-მდე სტუდენტი დარეგისტრირდა.

„პირველი“

ჩინეთში მიწისძვრამ 180 ადამიანი იმსხვერპლა

ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით, სიჩუანის პროვინციაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად, გარდაცვლილთა რაოდენობა 180-მდე გაიზარდა. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.

მათივე ინფორმაციით, დაშავებულია 11 ათასი ადამიანი, ხოლო 24 ამ დრომდე დაკარგულად ითვლება. ძლიერმა მიწისძვრამ, საბოლოო ჯამში, 1,5 მილიონი ადამიანი დააზარალა.

სტიქიური უბედურების ზონაში მაშველებისა და სამედიცინო დახმარების ბრიგადების რაოდენობა იზრდება. ზოგიერთ დასახლებულ პუნქტთან კი მიახლოება ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

სამაშველო სამუშაოებში 10 000-მდე მაშველი, სამხედრო და ექიმია ჩართული.

„მედიანიუსი“

კომერციული ბანკები სესხების საპროცენტო განაკვეთს ამცირებენ?

რა შეღავათს მისცემს დაბალპროცენტიანი კრედიტები მოსახლეობას

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, რეფინანსირების განაკვეთი, 4,75%-ის ნაცვლად, უკვე 4,50%-ია. საერთოდ, კარგა ხანია, ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკაში რეფინანსირების განაკვეთის კლების ტენდენცია შეინიშნება. მაგალითად, 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 6,50% იყო, ახლა კი 4,50%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ კომერციულმა ბანკებმა სხვადასხვა სესხსა და კრედიტზე საპროცენტო განაკვეთები უნდა შეამცირონ. საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა, ზურაბ გვასალიამ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს საბანკო სექტორში, სესხებისა და კრედიტების საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია დაწყებულია და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

— კრედიტებისა და სესხების საპროცენტო განაკვეთები მოზიდული რესურსების ფასსა და კომერციული ბანკების პასივებზეა დამოკიდებული. საერთოდ, ჩვენნაირი ტიპის ქვეყნებში საკრედიტო რესურსების მაღალი მაჩვენებელი იმიტომაა, რომ ჩვენ სტაბილური დემოკრატიის ქვეყანა არ ვართ. სესხების საპროცენტო განაკვეთების მაჩვენებელზე დიდ გავლენას ახდენს რისკებსა და კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული უპასუხისმგებლო მიდგომებიც, რაც დღეს განეიტრალებულია. აშკარაა, რომ საქართველო დირექტიული ეკონომიკის ქვეყანა არ არის და იმ პრინციპებზეა დაფუძნებული, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა უნდა ეფუძნებოდეს.

კრედიტების ფასზე მონეტარული პოლიტიკაც დიდ გავლენას ახდენს, რომელსაც ეროვნული ბანკი განსაზღვრავს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთებზე კი, დიდი ხანია, შემცირების ტენდენცია შეინიშნება.

— ბატონო ზურაბ, მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებს მაღალი საპროცენტო განაკვეთები აქვთ და ამ მხრივ პოზიტიურ ძვრებს ვერ ხედავენ...

— განვითარებადი ქვეყნების საბანკო სექტორებს ახასიათებს, რომ განვითარების პროცესში ახალი ტექნოლოგიები დანერგონ. ეს კი მომსახურების ხარჯებსა და თვითღირებულებას ამცირებს, რაც ღირებულებაზეც აისახება. მეტსაც გეტყვით, ეს ექსპერტები რაღაცას ითვლიან და, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სესხის საპროცენტო განაკვეთი დაბალი, პირობითად, 8 ან 9%-ია, მაინც ამბობენ, წლიური 20-22%-იაო. ოღონდ, ნამდვილად არ მესმის, ყველაფერ ამას როგორ ითვლიან?! თუკი კომერციული ბანკი სესხის საპროცენტო განაკვეთად 8%-ს აცხადებს, მაინტერესებს, წლიური 22% როგორღა გამოდის? ეს 8% წლიური განაკვეთია, აბა, რა არის?

ექსპერტები იმასაც ამბობენ, საქართველოს საბანკო სექტორში კონკურენცია არაა. მართალია, ეს პროცესი გარედან არ ჩანს, მაგრამ რეალურად, ბანკებს შორის საკმაოდ მძაფრი კონკურენციაა და ამ კონკურენციის პირობებში, საპროცენტო განაკვეთები კლებისკენ მიდის. ამ ტენდენციას სახელმწიფომ ხელი ყველანაირად უნდა შეუწყოს, რაც საკანონმდებლო ბაზის ლიბერალიზაციაში გამოიხატება. სხვათა შორის, ეს ტენდენცია სახეზეა.

გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალურად აცხადებენ, რომ ბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობენ და სახელმწიფოს ნება აქედანაც ჩანს. ზოგადად, საბანკო სექტორი ცალკე, დამოუკიდებლად ვერ განვითარდება, ამიტომ საპროცენტო განაკვეთების დაწევა და აწევა რამდენიმე კომპონენტისგან შემდგარი პროცესია.

იმასაც ამბობენ, რომ ბანკებმა ეს პროცესი დირექტივის შედეგად დაიწყეს ანუ ახალმა ხელისუფლებამ თითქოს საპროცენტო განაკვეთების დაწევა მოითხოვა, მაგრამ ეს მოსაზრება აბსურდია. ღმერთმა დაგვიფაროს, დირექტივაზე დამყარებული ეკონომიკა გვქონდეს! როგორ გგონიათ, მთავრობამ გააკეთა განცხადება, მერე, ბანკებმა მოილაპარაკეს და კრედიტზე საპროცენტო განაკვეთები დაწიეს? უკვე გითხარით, რომ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია დიდი ხნის წინ დაწყებული პროცესია და ამ ტენდენციას ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებამ სერიოზული ბიძგი მისცა.

როცა ბიზნესი წნეხის ქვეშ იყო, ბუნებრივია, ეს რისკებს აძლიერებდა, მაგრამ ახლა, როცა სახელმწიფო გარანტიას გაძლევს, რომ ბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობს, ეს საპროცენტო განაკვეთების დაწევაზე ზეგავლენას, რა თქმა უნდა, ახდენს.

— უკაცრავად, მაგრამ როდესაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შექმნის აუცილებლობაზე ვსაუბრობთ, ყველაზე ნათელი მაგალითი ნავთობპროდუქტების ბაზარია, სადაც საწვავის ფასს კომპანიები ერთდროულად უმატებენ და აკლებენ, რაც კონკურენცია არაა. იგივე შეიძლება ითქვას საბანკო სექტორზეც, რადგან სხვადასხვა სესხზე საპროცენტო განაკვეთებს ბანკები ერთდროულად აკლებენ. იქნებ ესაა მიზეზი, რის გამოც კომერციულ ბანკებს შორის კონკურენციის არარსებობაზე საუბრობენ?

— არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ნავთობკომპანიები ერთდროულად აძვირებენ და აიაფებენ საწვავს. ჩვენ ნავთობის მწარმოებელი ქვეყანა არ ვართ და, შესაბამისად, ფასზე ზეგავლენას როგორ მოვახდენთ? საქართველოში მოქმედ ნავთობკომპანიებს საწვავი ერთი და იგივე ქვეყნიდან შემოაქვთ და როგორ შეიძლება, ერთ კომპანიას შემოტანის მეტი ხარჯი ჰქონდეს, მეორეს კი
— ნაკლები? ეს არის მიზეზი, რის გამოც ნავთობკომპანიები საწვავის ფასს ერთდროულად უმატებენ და აკლებენ, თან იმდენი მარაგი არ აქვთ, ფასზე გავლენა მარაგის საშუალებით მოახდინონ. ჩვენ რომ ნავთობის მწარმოებელი ქვეყანა ვიყოთ, მაშინ დავეთანხმებოდი მოსაზრებას, რომ ნავთობკომპანიებს სხვადასხვა ფასი უნდა ჰქონდეს.

რაც შეეხება საბანკო სექტორს, ევროპის რომელიმე ქვეყნის 5 სხვადასხვა ბანკში რომ მიხვიდეთ, ერთი და იგივე სახეობის სესხზე ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთი იქნება, რადგან ყველა იმ კომპონენტის მიხედვით, რაც ჩამოგითვალეთ, იქაც ერთნაირად ითვლიან სესხის საპროცენტო განაკვეთს.

ბანკებს შორის ისეთი მძაფრი კონკურენციაა, თითოეული ბანკი ცდილობს, მომხმარებელს უკეთესი სერვისი შესთავაზოს, რომ სხვა ბანკიდან თავისთან წამოიყვანოს და არ მესმის, ამაზე მეტი კონკურენცია რა უნდა იყოს?

ხშირად ამბობენ, საბანკო სექტორი დაინტერესებულია, სესხი გაცილებით მაღალ საპროცენტო განაკვეთში გასცესო და ამის დასტურად, პიროვნული მაგალითები მოჰყავთ — თუ ფულს გასესხებთ, ვეცდები, მაღალ პროცენტში გასესხოთ, რომ უფრო მეტი შემოსავალი მივიღოო, მაგრამ ბანკებში ასე არაა. მოგების მარჟა, რომლიდანაც კომერციულმა ბანკმა შემოსავალი უნდა მიიღოს, სესხების რაოდენობასა და საკრედიტო პორტფელის გაზრდაზეა დამოკიდებული და არა საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე. ტენდენცია და სურვილი, საპროცენტო განაკვეთს დააკლონ, ბანკებს ნამდვილად აქვთ, რადგან დაბალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, ეკონომიკის დიდი აქტივობა დაფიქსირდება და იმ კლიენტურის რაოდენობაც გაიზრდება, რომელსაც სესხის აღების სურვილი აქვს. ევროპის ქვეყნებში ბანკების მიერ მოზიდული სესხების რაოდენობა გაცემულს აჭარბებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ცხოვრების მაღალი დონეა. საქართველოში კი მოზიდულსა და გაცემულ სესხს შორის სხვაობა პირველად ახლა დაფიქსირდა 103%, ადრე ეს მაჩვენებელი 131% იყო. ეს ტენდენცია იმას ნიშნავს, რომ ბანკი სრულად გასცემს იმ სესხს, რა რაოდენობასაც იზიდავს. აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონის აწევა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეინიშნება.

დავით ონოფრიშვილი აშშ-ს კონგრესისა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდა

აშშ-ში, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, რომელიც ამავე დროს, საქართველო-აშშ-ის პარლამენტებს შორის მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელია, ამერიკის კონგრესის წარმომადგენლებს — საგარეო ურთიერთობის კომიტეტის ევროპისა და ევრაზიის ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს დანა რორაბახერს, ამერიკა-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის წევრებს — პიტერ როსკამს, აარონ შოკს, ადრიან სმიტს და შონ დაფის შეხვდა.

ასევე გაიმართა შეხვედრა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც განიხილეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, საქართველოს მთავრობის მიერ პირველ ხუთ თვეში გატარებული რეფორმების მიმდინარეობა, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ამერიკა-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყების პერსპექტივებს.

„ფორ.გე“

„მსოფლიო ბანკი მზადაა, საქართველოსთვის დახმარება გააგრძელოს“

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტად მყოფმა საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრებმა ერთობლივი შეხვედრები გამართეს.

ნოდარ ხადური და გიორგი კვირიკაშვილი ისრაელის ბანკის მმართველს, სტენლი ფიშერს შეხვდნენ. როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, სტენლი ფიშერს მსოფლიო ბანკსა და სსფ-ში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა და გასულ წლებში ქვეყანაში სწორედ მისი დახმარებით განხორციელდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები.

„სტენლი ფიშერი მალე ტოვებს ისრაელის ბანკის მმართველის თანამდებობას და მზადაა, გაგვიწიოს დახმარება. მისი გამოცდილება მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს მინისტრებმა ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან ფილიპ ლე რუსთან შეხვედრისას. მხარეებმა დეტალურად ისაუბრეს მსოფლიო ბანკის პროექტების მიმდინარეობაზე საქართველოში, სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის გაგრძელების აუცილებლობაზე. მსოფლიო ბანკის იმ პროგრამებზე, რომელიც მიმართულია ქვეყნის კონკურენტუნარიანობს გაზრდაზე; იმსჯელეს მსოფლიო ბანკის მხრიდან საპენსიო რეფორმის მხარდაჭერაზე. აღინიშნა, რომ კვლავ გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, მათ შორის, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის მიმართულება, რეგიონული ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი სხვა პროექტები.

„მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ბანკი ადასტურებს იმას, რომ საქართველოს მთავრობა ახორციელებს სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას და მზადაა, გააგრძელოს დახმარება საქართველოსთვის“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

„მნიშვნელოვანია, დონორებს უშუალოდ პირველი პირებისგან, საქართველოს ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებისგან მიეწოდოთ ინფორმაცია თუ რა პრიორიტეტები და გეგმები აქვს ახალ ხელისუფლებას. მსოფლიო ბანკის მხრიდან არის პოზიტიური განწყობა. ვფიქრობ, ეს ვიზიტი დადებითად წაადგება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

„მედიანიუსი“

„16 წლის შვილიშვილს ვეუბნები ხოლმე, პური ხვალაც ხომ გინდა და ცოტა ჭამე-მეთქი!“

სამადაშვიდების ოჯახის შემაძრწუნებელი ისტორია

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

32 წლის მაია სამადაშვილი, წელიწადზე მეტია, დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებს. უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს ჯანდაცვის სამინისტრომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მოუხსნა. „ვერსიას“ მაიას დედა, მარინა მაისურაძე-სამადაშვილი ესაუბრა.

— გადაუხდელობის გამო, არც შუქი მაქვს და არც — გაზი. ერთ წელიწადში შინიდან ორი მიცვალებული გავასვენე: ჯერ მეუღლე დამეღუპა ინფარქტით, 8 თვის შემდეგ კი — შვილი... მაია 32 წლისაა, 16 წლის ვაჟი ჰყავს. მამისა და დედმამიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის ტვირთი მთლიანად მაიას დააწვა. კაზინო „აჭარაში“ მუშაობდა და კარგი ხელფასიც ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელად, ყელზე სპაზმები დაეწყო, მკურნალობდა, მაგრამ ხმა მაინც დაეკარგა. ამის გამო სამსახურიდან გამოუშვეს. ონკოლოგმა ეჭვი პაპილომატოზაზე მიიტანა, თუმცა რომ გამოგვეკვლია, ფული არ გვქონდა... ერთხელ, დაეცა და იმ დღიდან ფეხზე აღარც ამდგარა — ძვლის ტუბერკულოზი დაუდგინდა და ორი თვე ტუბდისპანსერში იწვა. ისე, ექიმებმა თქვეს, ყელის პრობლემა ფეხიდან იყო გამოწვეულიო... მაიას სუნთქვა ძალიან უჭირდა. მკურნალმა ექიმმა, ონკოლოგმა მიშა რობიტაშვილმა ტრაქეოსტომიის გაკეთების გადაწყვეტილება მიიღო — ყელში მილი აქვს ჩადგმული, თითი უნდა მიიდოს და ისე ისაუბროს... ოპერაცია სოციალურად დაუცველთა დაზღვევით გაკეთდა. 9 თვე ტუბერკულოზზე ვმკურნალობდით და საკვების შესაძენად 20-ლარიანი ვაუჩერი იყო გამოყოფილი, მაგრამ ეს ვაუჩერი მხოლოდ სამი თვე მოგვცეს, ახლა სოციალურად დაუცველის სტატუსიც მოგვიხსნეს... ორი თვეა, საცხობიდან პური ნისიად მომაქვს. ტრაგედიაა, როცა შვილიშვილს ეტყვი, ხვალაც ხომ გინდა და ერთი ნაჭერი პური აღარ შეჭამო, ხვალისთვის შეინახეო. ერთი შვილი უკვე დავკარგე და ძალიან მეშინია, მეორეც არ დავკარგო!

მაიას კომპიუტერული ტომოგრაფია და ბრონქოსკოპია სჭირდება, მაგრამ ამის საშუალება არ გვაქვს. ასეთი მძიმე ავადმყოფის უწამლოდ და უექიმოდ ყოფნა როდემდე შეიძლება?! თუკი რამე გამაჩნდა, გავყიდე. სახლში, ათას ადგილას წყალი ჩამოდის, არადა მაიასთვის არც სინესტე შეიძლება... მთელი ზამთარი სიცივეში გავატარეთ. ჩემი მდგომარეობა ყველა ნაციონალმა და „ოცნების“ ხალხმა იცოდა, მაგრამ არავინ დამეხმარა.

— სოციალური დახმარება რატომ მოგიხსნეს?

— დღემდე ვერ გაარკვიეს, რატომ მოვხვდი „შავ სიაში“. ჯანდაცვის სამინისტროდან ვინმე ერეკლე მოვიდა და მითხრა, კაზინო „აჭარიდან“ ცნობა მომიტანოს, რომ აღარ მუშაობსო. არადა, ჩემი შვილი წელიწადზე მეტია, ლოგინსაა მიჯაჭვული. მაიამ ყოფილ თანამშრომლებს სთხოვა, ცნობა მომიტანეთო, მაგრამ „აჭარის“ ხელმძღვანელობამ შეუთვალა, შენ თვითონ მოდიო. ადამიანი, რომელიც ფეხზე ვერ დგება, იქ როგორ მივა?!

კომპიუტერის საშუალებით ყველაფერს იგებენ და ის არ იციან, ჩემი შვილი რომ უმუშევარია? ხომ შეიძლება, ჯანდაცვის სამინისტრო დამეხმაროს და ეს საქმე მაინც გამიკეთოს?! მინდა, ჯანდაცვის მინისტრმა იცოდეს: ჩემი ოჯახისთვის სოციალურად დაუცველის სტატუსს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს!

— რამდენი წელია, მაია ლოგინსაა მიჯაჭვული?

— 2011 წლიდან... კაზინო „აჭარაში“ ადმინისტრატორად 6 წელი მუშაობდა. იქაც არაჯანსაღი გარემო იყო — სიგარეტის კვამლი, მტვერი, უჰაერობა... ოჯახური მდგომარეობის გამო, სანერვიულოც ხშირად ჰქონდა.

— რით არსებობთ?

— თუ ვინმე ფულს გვაჩუქებს... მეზობლებიც მეხმარებიან — ორჯერ ფული ააგროვეს... გაზის ბალონის დასატენი ფულიც კი არ მქონდა და 3 დღეა, კარტოფილს მეზობელთან ვხარშავ. 56 წლის ვარ და პენსიაც არ მაქვს. მაიას არც სამსახურიდან დაეხმარნენ, არდა, წესი ჰქონდათ, თუ ვინმე ავად გახდებოდა, ეხმარებოდნენ.

— მაიას ვაჟი 16 წლისაა, სკოლაში რატომ არ დადის?

— შარშან მაია ძალიან ცუდად იყო, ბავშვი ჩემს ძმასთან, სამაჩაბლოში გავუშვი. სკოლა რომ გაუცდა, გამოცდები ვერ ჩააბარა. მეცოდება — დათუნას მათემატიკის ნიჭი აქვს, მაგრამ წიგნებსაც ვერ ვყიდულობდით. „ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში იყო ჩაბმული. სამაჩაბლოში „მერცხალას“ ეძახდნენ.

რა მაქვს დასამალი: წინასაარჩევნოდ მერაბ სამადაშვილს ვეხმარებოდი — ხმებს ვუგროვებდი. მერაბმა ჩემი მდგომარეობა ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ არ დამეხმარა, დედაქალაქის მერიასაც მივმართე, მაგრამ უშედეგოდ...

ელექტროენერგია მეზობლიდან მაქვს გამოყვანილი — რამდენიმე საათით ტელევიზორი მაინც რომ ჩავრთოთ, მაგრამ მეზობლისაც მრცხვენია — თვითონაც უჭირს და ადრე წვება, რომ ბევრი შუქი არ დაწვას... სანთელზე ვართ. ხანდახან, ამდენი ანტიბიოტიკი და წამალი რომ აქვს მიღებული, მაიას გვიანობამდე არ ეძინება — თვეში 300 ლარის წამალი სჭირდება, მაგრამ ამის საშუალება არ გვაქვს.

— დათუნას მამა არ ეხმარება?

— არა. ერთხელ 50 ლარი მისცა და მორჩა. მაია ქმართან სასამართლოთია გაყრილი — სცემდა, გვინდოდა, მისთვის მამობის უფლება ჩამოგვერთმია და სასამართლოზე ალიმენტი ამიტომაც არ მოგვითხოვია.

სხვათა შორის, ყოფილმა ქმარმა მაიას რამდენჯერმე ხელი ყელში წაუჭირა და სიმსივნე შეიძლება ამანაც გამოიწვია... ქმართან ორი წელიც არ უცხოვრია — შვილი მარტომ გაზარდა. სხვათა შორის, ბავშვის მამა სააკაშვილის დაცვაშია...

რა ცვლილებები შედის სამშენებლო კოდექსში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2011 წლიდან მოყოლებული, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო GIZ-თან ერთად, სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსზე მუშაობს. 2012 წელს, GIZ-ის მხარდაჭერით, სამშენებლო კოდექსის შემუშავებაში ქართველი და საერთაშორისო სამართლის ექსპერტებიც ჩაერთნენ, რომლებმაც სამშენებლო და სივრცითი დაგეგმარების სფეროების შემდგომი განვითარებისთვის გარკვეული რეკომენდაციები და შენიშვნები შეიმუშავეს. ექსპერტების გუნდში შედიან: ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი, გერდ ვინტერი, რომელიც ამჟამად მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთი თანაავტორია, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი პაატა ტურავა და ბრემენის უნივერსიტეტის დოქტორანტი კობა ყალიჩავა.

„სამშენებლო კოდექსთან დაკავშირებით, ძირითად პუნქტებს გამჭვირვალე, დემოკრატიული პროცედურის გზით ვათანხმებთ. 2013 წლის მარტში, კოდექსის პროექტი და რეკომენდაციები საჯარო განხილვაზეც გავიტანეთ, რომელსაც ყველა დაინტერესებული უწყება და არასამთავრობო ორგანიზაცია დაესწრო. საჯარო განხილვაზე გამოთქმულ შენიშვნებს კი, კოდექსის პროექტის შემუშავების პროცესში გავითვალისწინებთ. ამჟამად, სამშენებლო და სივრცითი დაგეგმარების საკანონმდებლო დოკუმენტები რამდენიმე კანონსა და კანონქვემდებარე აქტშია მიმოფანტული, რომლებიც უკვე მოძველდა და პრაქტიკაში აღარ გამოიყენება. აქედან გამომდინარე, ეს კოდექსი ხელს სამშენებლო და სივრცითი კანონმდებლობის ოპტიმიზაციას, კონსოლიდაციასა და ძირითადი პრინციპების კოდიფიკაციას უწყობს, პროცედურები და ტექნიკური ხასიათის წესები კი კანონქვემდებარე აქტებში გაიწერება. კოდექსი შემუშავების პროცესშია და ბევრი საკითხი უნდა შეთანხმდეს, როგორც პოლიტიკოსებთან, ასევე სპეციალისტებთან. სამუშაო შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ კოდექსის ფარგლებში მოწესრიგდება სივრცითი მოწყობა, განაშენიანების გეგმა, მშენებლობის ხარისხის კონტროლი, სამშენებლო ნებართვები, სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობა და პროფესიული საქმიანობა. შესაბამისად, ექსპერტების რეკომენდაციებიც სწორედ ამ საკითხებს ეხება“, — განუცხადა „ვერსიას“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა, თამარ რუხაძემ.

მისივე თქმით, სამშენებლო კოდექსი დაგეგმვის სახეებს, დონეებს, საზოგადოების ჩართულობისა და ინტერესთა დაბალანსების ინსტრუმენტებს განსაზღვრავს. თამარ რუხაძე ამბობს, რომ დაგეგმარებაში ახალ ინსტრუმენტებს შემოიღებენ, მათ შორის, ლანდშაფტურ დაგეგმარებას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ინტეგრირებას პროექტის დაგეგმარების პროცესში:

„სამშენებლო კოდექსის სივრცითი დაგეგმარების ნაწილი მოწესრიგებულ და სტრუქტურირებულ განაშენიანებას განავითარებს. კოდექსის მოსალოდნელი დადებითი ეფექტები რამდენიმე პუნქტადაა გაწერილი: განვითარდება დაგეგმარების იმგვარი ინსტრუმენტები, რომლებიც საზოგადო ინფრასტრუქტურის ხარჯებს დაზოგავს; მესაკუთრე მიიღებს სარგებელს, რაც სამართლებრივად გამართულ და სტაბილურ მშენებლობას, დაგეგმვის ხარჯის შემცირებას, შენობის ხელმისაწვდომობასა და გაქირავების უკეთეს შესაძლებლობებს გულისხმობს. რაც მთავარია, სამშენებლო კოდექსი მშენებლობის ხარისხს უზრუნველყოფს, ენერგოეფექტურობის ნორმებს გაითვალისწინებს და თბილისში აქტუალურ, პარკირების საკითხსაც მოაწესრიგებს. მეტიც, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდება როგორც მშენებლობის ფორმა, ასევე საშენი მასალების ზემოქმედება ჯანმრთელობასა და გარემოზე, ტექნიკური რეგულირების საკითხები კი კანონქვემდებარე, სამართლებრივ აქტებში დარეგულირდება“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, თამარ რუხაძემ ისიც აღნიშნა, რომ სამშენებლო კოდექსის მოსალოდნელი ეფექტი მაღალი ხარისხის მშენებლობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ენერგიის დაზოგვა, საცხოვრებელი ან სხვა ტიპის შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის ხარჯების შემცირება, ქალაქში პარკირებასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაა. მეტიც, კოდექსი სამშენებლო ზედამხედველობის, არქიტექტორთა და ინჟინერთა პროფესიული საქმიანობის საკითხებსაც მოაწესრიგებს:

„ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სანებართვო წარმოების გამარტივებას მოიცავს, რომლის შედეგადაც, ადმინისტრაციული ხარჯები დაიზოგება. ისიც აღსანიშნავია, რომ სამშენებლო მოსაკრებელი გადაიხედება, შემუშავდება მშენებლობის კატეგორიასთან მისადაგებული მოსაკრებლის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რაც ადმინისტრაციის მიერ გაწეულ ხარჯებთან შესაბამისობაში იქნება. სამშენებლო კოდექსის პროექტის რეკომენდაციები, სამშენებლო ზედამხედველობისა და პროფესიული სერტიფიცირების საკითხებსაც განიხილავს. არქიტექტორებისა და მშენებელ-ინჟინრების პროფესიული სერტიფიცირება, ერთი მხრივ, მათ პროფესიულ საქმიანობას მოაწესრიგებს, მეორე მხრივ კი, ამ პროფესიების უფლებამოსილება გაფართოვება. მაგალითად, ექსპერტების წინადადებით, მეორე კლასის მშენებლობისთვის კვალიფიციური შეტყობინების ვალდებულება დაწესდება, თუ სამშენებლო პროექტი სერტიფიცირებული არქიტექტორის მიერაა შედგენილი. შედეგად, ადმინისტრაციული ორგანოები ზედმეტი ფუნქციებისგან განიტვირთება“.

თამარ რუხაძის განმარტებით, პროფესიული სერტიფიცირება ფინანსური სოლიდარობის პრინციპების გათვალისწინებას მოითხოვს და პროფესიული დაზღვევის ინსტრუმენტების განვითარებასთანაა დაკავშირებული.

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

„ნაციონალებს შორის განხეთქილება ახლა კი არა, წლების წინ დაიწყო და შეკრული გუნდის იმიჯს ხელოვნურად ქმნიდნენ“, — აცხადებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე და „ვერსიას“ კომპრომატების შესახებ ესაუბრება, რომლებიც ყოფილი სახელისუფლებო პარტიის ლიდერებს ერთმანეთზე აქვთ. ამასთან, მჟავანაძე იმ სქემასაც შიფრავს, რომლითაც ზურაბ ადეიშვილი ლევან ვარშალომიძის ჩაძირვას ცდილობდა.

„ნაციონალები ერთმანეთზე ისეთ ფაქტებს დადებენ, ციხის კადრებზე საშინელი სანახავი იქნება!“

— ადეიშვილი ივანიშვილსა და მის ხელისუფლების კი არა, ნაცმოძრაობას ემალება, რადგან კომპრომატები ნაციონალების ყველა წევრზე აქვს და საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაშიც, საფრთხე სწორედ მათგან ელის. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ინვესტიციები აღარ შემოდიოდა და გუნდის წევრების მხრიდან სხვადასხვა პრობლემის წარმოქმნის საფრთხე შეიქმნა, ყოფილმა ხელისუფლებამ ცეზარ ჩოჩელზე, მიხეილ მაჭავარიანზე, ლევან ვარშალომიძესა და სხვებზე კომპრომატების შეგროვება დაიწყო, ამ პროცესს ზურაბ ადეიშვილი ხელმძღვანელობდა. კომპრომატების მიზანი ის იყო, რომ ადამიანებისთვის, რომლებმაც ძალიან დიდი ფული იშოვეს, ამ თანხის გარკვეული ნაწილი წაერთმიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისგებაში მისცემდნენ. ეს რეპრესიები პრეზიდენტის ოჯახის წევრებზე, მერაბიშვილსა და ახალაიების კლანზე არ ვრცელდებოდა.

რაც შეეხება კომპრომატებს, რომელიც ადეიშვილს ლევან ვარშალომიძეზე აქვს, ბათუმში სამშენებლო კომპანია „ნიაკა“ ფუნქციონირებდა, რომელსაც ირაკლი ანანიძე ხელმძღვანელობდა. „ნიაკამ“ ტენდერში გაიმარჯვა და აჭარაში საავადმყოფოებსა და საცხოვრებელ სახლებს აშენებდა, სადაც სააკაშვილი ლენტებს ჭრიდა. ადეიშვილმა, მთავარი პროკურატურის თანამშრომლის, გიორგი ლომთათიძის მეშვეობით, ირაკლი ანანიძეს მოსთხოვა ეთქვა, ტენდერში აღებული ფულის ნაწილი, „ატკატის“ სახით, თითქოს ჯერ ბათუმის მერ რობერტ ჩხაიძესთან, იქიდან კი, ლევან ვარშალომიძესთან მიჰქონდა. ანანიძე ამ გარიგებაზე არ წავიდა და ამიტომ 2011 წელს დააკავეს, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და 170-ათასლარიანი ჯარიმა გადაახდევინეს. ამავე მოტივით, „ბათუმის წყლის“ ხელმძღვანელი ალექსანდრე მიქელაძე და „ნიაკას“ დირექტორი არჩილ ბოლქვაძეც დაიჭირეს, თუმცა საბუღალტრო ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ამ ადამიანებს ბრალი არაფერში მიუძღვოდათ.

ნაციონალები ერთმანეთზე კომპრომატების გამოაშკარავებას მალე დაიწყებენ და ისეთი ფაქტები დაიდება, რომლებიც ციხის კადრებზე საშინელი სანახავი იქნება.

— ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ?

— თავის დროზე, პროკურატურაში ვმუშაობდი, საიდანაც საკუთარი გადაწყვეტილებით წამოვედი, რადგან რის გაკეთებასაც მთხოვდნენ, ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო.

— მაინც, რას გთხოვდნენ?

— ამის შესახებ ახლა ლაპარაკი არ მინდა, თუმცა ერთს ვიტყვი: ადეიშვილი ქვეყანას ავადმყოფური ზრახვებით მართავდა...

იმერეთის ყოფილ გუბერნატორს სამწლიანი პატიმრობა ემუქრება?!

ქუთაისის 30 საბავშვო ბაღის ყოფილი დირექტორები დაშა მაქაცარიას ზეწოლაში ამხელენ და კომპენსაციას ითხოვენ

თორნიკე ხურცილაძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში სარჩელი შევიდა — ქუთაისის 30 ბაგა-ბაღის ყოფილი დირექტორები თანამდებობაზე აღდგენას, ფინანსურ კომპენსაციასა და ფსიქორეაბილიტაციას ითხოვენ. საქმე სამი წლის წინ ჩატარებულ სპეცოპერაციას ეხება, რომელსაც რამდენიმე ბაღის ხელმძღვანელის დაპატიმრება, ოცდაათისა კი გათავისუფლება მოჰყვა. ყოფილი ხელმძღვანელები ამბობენ, რომ მათზე ზეწოლა იმერეთის მაშინდელი გუბერნატორის, ლაშა მაქაცარიას ბრძანებით მოხდა.

ქუთაისის მე-11 ბაგა-ბაღის ყოფილი დირექტორი ნინო გორგიძე იმ 30 ხელმძღვანელიდან ერთ-ერთია, რომელსაც გათავისუფლებაზე განცხადება ქუთაისის მერიაში იძულებით დააწერინეს. გორგიძე იხსენებს, რომ ქუთაისის განათლების განყოფილების უფროსი მაია პაქსაძე ფინანსური პოლიციით დაემუქრა.

ნინო გორგიძე, მე-11 ბაგა-ბაღის ყოფილი დირექტორი: „2010 წლის 18 დეკემბერს ყველა ბაღის დირექტორი ქალაქის მერიაში დაგვიბარეს — გვითხრეს, რომ თათბირი იყო და ერთ-ერთ დარბაზში შეგვიყვანეს, რომლის კარიც ჩაკეტეს და განათლების განყოფილების უფროსმა მაია პაქსაძემ გვიბრძანა, რომ სამსახურიდან წასვლაზე განცხადებები დაგვეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენით ფინანსური პოლიცია დაინტერესდებოდა. ერთ-ერთი ბაღის დირექტორს გული წაუვიდა... ქალბატონმა პაქსაძემ განცხადების ფორმა დაგვიდო და გვიბრძანა, ხელი მოგვეწერა. ბუნებრივია, დავინტერესდით, მიზეზი რა იყო, თუმცა პასუხს დღემდე არავინ გვცემს. წარმოიდგინეთ, ათეული წელია, ბაღის დირექტორები ვართ, ნახევარი ქალაქი ჩვენთან გაიზარდა, ყველა პატივს გვცემს და ერთ დღეში კრიმინალები გამოგვიყვანეს, საქვეყნოდ შეგვარცხვინეს! ისე შეგვაშინეს, რომ იძულებულნი გავხდით, სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებები დაგვეწერა — მერიის წინ უშიშროების თანამშრომლები იდგნენ და თუ განცხადებას არ დავწერდით, შეიძლება, ყველა დავეჭირეთ“.

ნინო ფხაკაძე, მე-9 ბაგა-ბაღის ყოფილი დირექტორი: „სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი დღემდე არ ვიცით. ყველა ბრალდება, რაც წაგვიყენეს, აბსოლუტურად უსაფუძვლოა“.

2010 წლის 24 ნოემბერს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქუთაისში 5 ბაგა-ბაღის დირექტორი, 7 ბუღალტერი და ერთი კონსულტანტი ქრთამის აღება-მიცემის ფაქტზე დააკავეს. გამოძიების ოფიციალური ვერსიით, ბაგა-ბაღების დირექტორები თანხებს ინდმეწარმეებისგან უკანონოდ იღებდნენ. ხმაურიან სპეცოპერაციას იმერეთის იმჟამინდელი გუბერნატორის, ლაშა მაქაცარიას მხრიდან მყისიერი რეაგირება მოჰყვა: „მიმდინარეობს გამოძიება, ჩვენ დაველოდებით შედეგებს, მანამდე კი, ყველა ბაღის დირექტორი გათავისუფლდება“.

ლაშა მაქაცარია გამოძიების დასრულებას არ დაელოდა და 30 ბაგა-ბაღის დირექტორი, საკუთარი განცხადების საფუძველზე, ერთ დღეში გაათავისუფლა.

ციცინო გაგელაშვილი, მე-16 ბაგა-ბაღის ყოფილი დირექტორი: „დარწმუნებულები ვართ, რომ სწორედ ლაშა მაქაცარიას ბრძანებით გაგვათავისუფლეს. რაც შეეხება გამოძიებას, ვფიქრობთ, არაობიექტურად მიმდინარეობდა, რადგან ჩვენი ინფორმაციით, ერთი ინდმეწარმეც არ დაკითხულა და არც სისხლის სამართლის საქმე აღძრულა. თუკი საქმე ქრთამის აღებას ეხებოდა, დამნაშავეები მხოლოდ ბაღის დირექტორები იყვნენ? მათ ბაღებში თავისუფალი ადგილები სჭირდებოდათ, სადაც ჩვენი გათავისუფლების შემდეგ, ყოველგვარი კონკურსის გარეშე, თავიანთი ახლობლები დანიშნეს“.

ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი მაია პაქსაძე ყოფილი დირექტორების ბრალდებას უარყოფს და ამბობს, რომ თანამდებობიდან წასვლის შესახებ მათ განცხადება საკუთარი ნებით დაწერეს.

მაია პაქსაძე, ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი:

— ყოფილი დირექტორები არავის გაუთავისუფლებია, მათ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერეს, რაც შეეხება ზეწოლას, ეს აბსურდია.

— ყველამ ერთ დღეს გადაწყვიტა განცხადების დაწერა, თანაც ერთნაირი ტექსტით?

— როგორც ჩანს, ასეა. მათზე ზეწოლა არავის მოუხდენია. როგორც ჩანს, შეეშინდათ, რადგან მანამდე სამართალდამცავებმა, ქრთამის აღება-მიცემის ფაქტზე, რამდენიმე ბაღის დირექტორი და თანამშრომელი დააკავეს.

პროკურატურაში არ გამორიცხავენ, რომ ამ საქმეზე ქუთაისის მერიის იმდროინდელი მაღალი თანამდებობის პირები დაიკითხონ.

„გამოძიება სისხლის სამართლის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს და თავისუფლების სამ წლამდე აღკვეთით ისჯება. ამ ეტაპზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვას ვერაფერს გეტყვით“, — **განუცხადა „ვერსიას“ საოლქო პროკურორის მოადგილე გიორგი გვარაკიძემ.**

იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ლაშა მაქაცარია დღეს თბილისის მერიაშია დასაქმებული. „ვერსიამ“, მცდელობის მიუხედავად, მასთან დაკავშირება ვერ მოახერხა, თუმცა newpress.ge-სთვის მიცემულ ინტერვიუში ყოფილი გუბერნატორი არ მალავს, რომ ბაღის დირექტორების გათავისუფლების გადაწყვეტილება მართლაც მიიღო და აცხადებს, რომ საბავშვო ბაღებში არსებული კორუფციიდან ფული იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის ჯიბეში მიდიოდა:

„ზოგადი პოლიტიკური კუთხით, საბავშვო ბაღების დირექტორების გათავისუფლების გადაწყვეტილება მე მივიღე, მაგრამ ეს მოხდა კანონის სრული დაცვით. ახლა ყიჟინა, რომ მათზე ვიღაც ზეწოლას ახდენდა, სასაცილოა, საერთოდ არ ვიცნობ ამ ადამიანებს... ეს გადაწყვეტილება კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე მივიღეთ, თუმცა რეორგანიზაციის შემდეგ, ძალიან ბევრი დაბრუნდა სამსახურში, ვინც არ დაბრუნდა, მისი გათავისუფლების საფუძველი არსებობდა. ჩვენი მიზანი ბაღებში მაქსიმალური წესრიგის დამყარება იყო. მაშინ სამართალდამცავებს კითხვები ჰქონდათ საკრებულოს წევრის, მარინე ცირეკიძის მიმართაც, რომელიც ბაღების საკითხს კურირებდა. ცირეკიძე კი უერთგულესი თანამებრძოლია იმ პოლიტიკურ პარტიაში, რომელიც ყოფილმა ვიცე-გუბერნატორმა, გოჩა თევდორაძემ შექმნა, ფული დირექტორებს კი არ მიჰქონდათ სახლში, ისინი ანგარიშვალდებულები იყვნენ კონკრეტული თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც იმხანად, პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენდნენ“.

ქუთაისის ბაგა-ბაღების ის ყოფილი ხუთი დირექტორი, რომელიც სამართალდამცველებმა სამი წლის წინ დააკავეს, ჟურნალისტებთან გამოჩენას ერიდება. ქუთაისის მერიასთან დაპირისპირებულ ყოფილ ხელმძღვანელებს კი, ობიექტური სასამართლოს იმედი აქვთ.

ჩეჩენმა პოლიციელებმა ინგუში კოლეგები სცემეს

„ეხო პეტერბურგას“ ცნობით, ჩეჩენმა და ინგუშმა პოლიციელებმა ორი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკის საზღვართან, სოფელ არშტისთან იჩხუბეს, რის შედეგადაც, 6 ინგუში პოლიციელი ჰოსპიტალიზებულია.

ჩეჩენ პოლიციელთა 300-კაციანი რაზმი ინგუშეთის საზღვრის გადალახვას თითქოს სპეცოპერაციის გამართვის მიზნით ცდილობდა, მაგრამ ინგუში კოლეგების წინააღმდეგობას წააწყდა. როგორც ინგუშეთის უშიშროების საბჭოში აცხადებენ, ჩეჩენთა შორის მოსაზღვრე ჩეჩნური სოფლის ხელმძღვანელებიც იმყოფებოდნენ და მათი სოფელში შესვლის მიზანი სპეცოპერაცია კი არა, არასანქცირებული მიტინგის გამართვა იყო, სადაც უნდა გაჟღერებულიყო სოფელ არშტის მოსახლეობის სურვილი ჩეჩნეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში გადასვლის შესახებ.

„ნიუპოსტი“

კანადის ორი ქალაქი დაიტბორა

კანადის ონტარიოს პროვინციის ორ ქალაქში — ჰანტსვილსა და ბრეისბრიჯში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულის მიზეზი თოვლის დნობა და გადაუღებელი წვიმები გახდა, რის გამოც, ორივე ქალაქში წყლის დონემ საგრძნობლად მოიმატა და მოსახლეობას საფრთხე შეუქმნა.

მდინარეებმა — მუსკოვამ და ბლეკმა 500 საცხოვრებელი სახლი და მიმდებარე მაღაზიები და ოფისები დატბორა. უსაფრთხოების მიზნით, გამორთულია ელექტროენერგია. ევაკუირებულია 100-ზე მეტი ადამიანი.

ჰანტსვილის მერის განცხადებით, ქალაქისთვის მიყენებული ზიანი 1 მილონ დოლარს აღემატება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

15-დან 19-წლამდე გოგონებში აბორტის რიცხვმა მოიმატა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, აბორტების მატების ტენდენცია ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა: ამ მაჩვენებლით, პირველ ადგილზე შვილოსნობისთვის ყველაზე აქტიურ პერიოდში, 20-44 წლამდე ასაკის ქალბატონები არიან. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მსურველთა რიცხვი 5 წლის განმავლობაში 9200-მდე გაიზარდა და 28 760-ს მიაღწია.

1 037-დან 1 681 ერთეულამდე მოიმატა აბორტებმა 15-დან 19-წლამდე გოგონებში, 116-დან 134 ერთეულამდე კი — ასაკოვან, 45 წელს გადაცილებულ ქალბატონებში.

აღსანიშნავია, რომ გინეკოლოგიურ კაბინეტებს, შვილოსნობის შეწყვეტის მიზნით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 15 წლამდე ასაკის 15-მა მოზარდმაც მიმართა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ქრთამის აღების ფაქტზე ქარელის გამგებელი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელი ივანე ოსაძე დააკავა.

ბრალდების მიხედვით, მან სოფელ ყინწვისში მდებარე ერთ-ერთი შენობის იჯარით გადაცემის სანაცვლოდ, მოქალაქისგან ქრთამის სახით, 7 000 აშშ დოლარი აიღო.

ოსაძე თანამდებობაზე რამდენიმე თვის წინ დაინიშნა.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილითაა აღძრული და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთა ემუქრება.

„პირველი“

მსოფლიოს ატომური ინტრიგები

ზურაბ გამრეკელი

ამას წინათ, ირანში ორი მძლავრი მიწისძვრიდან ერთ-ერთი, რუსეთის „როსატომის“ მიერ აშენებული „ბუშერის“ ატომური სადგურის ახლოს მოხდა. იქვეა სომხეთის მოძველებული ატომური მონსტრი „მეცამორიც“. ორივე ტრადიციული, საბჭოთა ტექნოლოგიებით შექმნილი სადგურია. ეს მოვლენა ორი წლის წინ, 2011 წლის მარტში მომხდარ თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს კატასტროფას — „ფუკუსიმას“ ატომური სადგურის ავარიას გვახსენებს. მაშინ ავარიის გამომწვევ მიზეზად ბუნებრივი კატაკლიზმები — მიწისძვრა და ცუნამი მოგვევლინა... საქართველო სამხრეთ კავკასიის სეისმურად აქტიურ ზოლშია — ამ გეოგრაფიულ კოორდინატებზე საკმაო რაოდენობის ატომური ელექტროსადგურია და აქედან ზოგიერთი დიდი ხანია მოძველებულია...

„ფუკუსიმას“ თავისებურებანი

2011 წლის მარტში, იაპონიის მიაგისა და ფუკუსიმას პრეფექტურებში, მიწისძვრის დროს მიღებული დაზიანებების გამო, რამდენიმე ატომურ სადგურზე განგაში გამოცხადდა. იაპონიის პრემიერმა ნაოტო კანმა განაცხადა, რომ ატომურ სადგურ „ფუკუსიმა1“-ის მე-2 და მე-4 რეაქტორებზე მომხდარი ავარიით გარსაცმი დაზიანდა, რასაც რადიაციის გამოფრქვევა მოჰყვა. ატომური სადგურის პირველ და მესამე ენერგობლოკებზე, გაგრილების სისტემის გამორთვის პირობებში, დაიწყო რეაქტორის ატომური ბირთვის დნობა. რამდენიმე დღეში, ექვსიდან სამ რეაქტორზე გამაგრილებელი სისტემები მწყობრიდან გამოვიდა და ბირთვული ელემენტების დნობა დაიწყო. ატომური სადგურების ირგვლივ, 20 კმ-იან ზონაში, გამოცხადდა მასობრივი ევაკუაცია. „ფუკუსიმა1“-ის ატომურ სადგურზე მომხდარმა ორმა აფეთქებამ იაპონიის კუნძულებზე რადიაციული სიტუაცია მკვეთრად დაამძიმა — რადიაციამ სამხრეთისა და სამხრეთდასავლეთის პროვინციებს მიაღწია. გამოცხადდა 30 კმ-იანი არასაფრენი ზონა. „ფუკუსიმას“ სადგურზე განვითარებული კრიზისული მოვლენები 1986 წლის ჩერნობილის ავარიას დაემსგავსა. ფრანგი სპეციალისტების შეფასებით, ეს იყო მე-6 დონის შემთხვევა — „სერიოზული ავარია“, რაც ორი საფეხურით აღემატება 1979 წელს აშშ-ში, კერძოდ, პენსილვანიაში, Three Mile Island-ის ატომურ სადგურზე მომხდარ ავარიას. ჩერნობილისა და პენსილვანიის ავარიების მსგავსად, „ფუკუსიმა 1“-საც მთელი რიგი ტექნიკური ნაკლოვანებები აღმოაჩნდა.

ამ მოვლენების გამო, შვეიცარიის, გერმანიის, უკრაინისა და სხვა ევროპული ქვეყნების პარლამენტების, ასევე, ევროკომისიის ხელმძღვანელობის მიერ დაისვა საკითხი ატომური ენერგეტიკის უსაფრთხოების გაზრდის, ძველი სადგურების გაჩერებისა და ასევე, ახლების აგების შეჩერების შესახებ. ბრიუსელის მიერ ჩატარებულმა, ევროკავშირის ატომური სადგურების „სტრეს-ტესტებმა“ 40 წლის ხანდაზმულობის სახიფათო ესპანური ატომური სადგური გამოავლინა, რომელიც „ფუკუსიმას“ პირველი რეაქტორის პროექტითაა შექმნილი. ამასთან, აღმოჩნდა, რომ სანკტ-პეტერბურგთან და კოლის ნახევარკუნძულზე არსებული რუსული ატომური სადგურები, იაპონურ „ფუკუსიმა1“-ზე არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ. ამის შემდეგ, ევროპის ქვეყნების უმრავლესობა ხურავს ძველ ატომურ სადგურებს, ზოგან კი, საერთოდ უარს ამბობენ ატომურ ენერგეტიკაზე. ასე, მაგალითად, გერმანიაში მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 2022 წლისთვის ქვეყნის 17-ვე ატომური ელექტროსადგური გაჩერდება. დადგინდა, რომ მსოფლიოს ატომური ელექტროსადგურების 80% ოცი წლისა და მეტის ხნოვანებისაა. ბევრი ოპერატორი ცდილობს, სადგურები, „ფუკუსიმას“ მსგავსად, საპასპორტო ვადაზე მეტ დროს ამუშაოს.

არსებობს საპირისპირო გამონაკლისიც, კერძოდ, 2020 წლისთვის რუსეთს ატომური ენერგეტიკის სიმძლავრის გაორმაგება აქვს დაგეგმილი. წელს, რუსეთის „როსატომთან“ ერთად, ყაზახეთში ახალი ატომური სადგურის აგება დაიწყო, რომლის ტიპიც წლის ბოლომდე განისაზღვრება. ჩვენი მეზობელი თურქეთი კი, რუსეთის დახმარებით, ერთბაშად, ორი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას გეგმავს.

„როსატომის“ ცნობით, პირველი თურქული ატომური სადგურის — „აკუიუს“ საპროექტო კომპანია, რომელსაც ხუთი დამფუძნებელი ჰყავს, თურქეთში 2010 წლის 13 დეკემბერს დარეგისტრირდა. არსებული შეთანხმებით, ხუთივე კომპანია, პირველ ეტაპზე, რუსული უნდა იყოს და მათ აქციების 100% უნდა ჰქონდეთ. ეს კომპანიებია: Атомстройэкспорт, Росэнергоатом, Интер РАО, Атомтехэнерго და Атомэнергоремонт. „აკუიუს“ ატომურ ელექტროსადგურზე პირველი ბლოკი, სავარაუდოდ, შვიდი წლის შემდეგ უნდა გაიხსნას. თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა, ტანერ ილდიზმა განაცხადა, რომ თურქეთის „აკუიუს“ ატომური სადგური პირველ დენს 2019 წელს გამოიმუშავებს. ილდიზის განცხადებითვე, თურქეთის ენერგეტიკული უსაფრთხოება ატომურ ენერგეტიკაზეა დამოკიდებული. ამ წლის ბოლომდე, რფ-ს დახმარებით, „აკუიუს“ ატომურ სადგურთან ერთად, „სინოპის“ ატომური სადგურის მშენებლობაც დაიწყება.

წელს, სტამბოლში, სინოპის ატომური სადგურის მშენებლობაში რუსული „როსატომის“ შესაძლო მონაწილეობაზე, რფ-ს ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრ ნოვაკისა და თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ ტანერ ილდიზის მოლაპარაკებები გაიმართა. თურქმა მინისტრმა აღნიშნა, რომ ანკარა ჯერ იაპონიის, სამხრეთ კორეის, კანადისა და ჩინეთის ოთხი კომპანიის წინადადებებს განიხილავს, შემდეგ კი რუსული კომპანიის პროექტის განხილვას დაიწყებს. 2012 წლის ბოლოს, თურქეთის პრემიერმა, რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა კი განაცხადა, რომ დაიწყო რუსული კაპიტალის ინვესტირება ატომურ ელექტროსადგურ „აკუიუში“ და პროექტზე 20 მლრდ დოლარი დაიხარჯება. საწყის ეტაპზე, ინვესტიციის მოცულობა 2.5 მლრდ დოლარითაა განსაზღვრული. უკვე ინვესტირებულია 700 მლნ დოლარი და უახლოეს მომავალში, კიდევ 800 მლნ დოლარის დაბანდებაა მოსალოდნელი. პრემიერის ინფორმაციით, „აკუიუს“ პროექტში დაბანდება ყველაზე მსხვილი პირდაპირი კაპიტალდაბანდებაა, რაც კი ოდესმე, ერთი ცალკეული პროექტის ფარგლებში, თურქეთის მასშტაბით მომხდარა. სადგურის თითოეული ბლოკის სიმძლავრე 1200 მვტ იქნება, ოთხივე ბლოკის კი – 4800 მვტ ბლოკები ერთი წლის ინტერვალით შევლენ მწყობრში. თურქული მხარის ინფორმაციით, ეს სადგური პირველ დენს 2019 წელს გამოიმუშავებს, 2023 წელს კი ახალი — „სინოპის“ ატომური სადგურის მშენებლობა დაიწყება. თურქული კომპანია Akkuyu NGS A.Ş.-ის რუსმა გენდირექტორმა, ალექსანდრ სუპერფინმა განაცხადა, რომ თურქეთის პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ოთხი რუსული ბლოკისგან იქნება დაკომპლექტებული, 2014 წელს დაიწყება. სამუშაოს უახლოესი ეტაპი 2013 წლის მაისში ეკოლოგიური შეფასების წარდგენაა.

თუ თურქეთში ატომური სადგურების მშენებლობა ახლა იწყება, სომხეთში დიდი ხანია ფუნქციონირებს ბირთვული საფრთხის შემცველი ობიექტი — „მეცამორის“ ატომური ელექტროსადგური. აზერბაიჯანელი ექსპერტების აზრით, სანამ ექსპლოატაციის ვადაგასული „მეცამორის“ სადგური მუშაობს, რეგიონში რადიაციის გამოფრქვევის დიდი საფრთხე იარსებებს. მიუხედავად ამისა, რფ-სომხეთის სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომაზე, რომელიც 2011 წლის ივლისში, როსტოვში გაიმართა, დაამტკიცეს კომისიის ოქმი, რომელშიც დადასტურდა ორი ქვეყნის განზრახვა, რომ „ფუკუსიმას“ ავარიის მიუხედავად, საჭიროა, სომხეთის ატომურ სადგურზე ახალი ენერგობლოკი აიგოს.

„მეცამორის“ სადგური 1993 წლის შემდეგ არ გაჩერებულა და ეს მაშინ, როცა „მაგატე“ მსოფლიოში ყველაზე დიდი საფრთხის მქონედ მიიჩნევს — სამხრეთ კავკასიისა და ირან-თურქეთის მოსახლეობა, როგორც ჩერნობილის დროს, შეიძლება მისგან გამოტყორცნილი რადიაციის ქვეშ აღმოჩნდეს. აზერბაიჯანელი ექსპერტების აზრით, „მეცამორის“ ატომური სადგურის ფუნქციონირება სახიფათოა, რადგან მისი რეაქტორი 25 წელია, შეუჩერებლად ფუნქციონირებს და ის მოძველებული ტექნოლოგიებითაა აგებული: ერთი ბლოკი ექსპლოატაციაში 1976, მეორე კი 1980 წელსაა შესული. სადგურის მოქმედების ვადა 2001 წელს ამოიწურა. მისი უსაფრთხოების დონე იაპონური „ფუკუსიმას“ დაცულობას ბევრად ჩამორჩება და რეგიონის ყველა ქვეყანას ემუქრება. სხვათა შორის, ახალი რეაქტორის აგების, ანუ „მეცამორის“ სადგურის სიმძლავრის 1060 მვტ-მდე გაზრდისთვის გამართულ ტენდერში, რუსულმა კომპანიებმა გაიმარჯვეს.

ატომური ენერგეტიკის ბუნდოვანი მომავალი

რუსეთის პრემიერობისას, 2010 წლის აპრილის ბოლოს, ვლადიმერ პუტინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთს შესწევს ძალა, მსოფლიო ატომური ელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლოატაციის ბაზრის მეოთხედი დაიკავოს. აღნიშნული განცხადება იმავე წლის აპრილის დასაწყისში, ბალტიკაზე „ჩრდილოეთის ნაკადის“ გაზსადენის მშენებლობის დაწყებისა და აპრილის ბოლოსთვის, „სამხრეთის ნაკადის“ პროექტზე ბალკანეთის ქვეყნების თანხმობის შემდეგ, ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისადმი სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

დღეს ენერგეტიკის ატომური სექტორი ისეთ ქვეყნებშია განვითარებული, როგორებიცაა: საფრანგეთი, ბელგია, ფინეთი, შვედეთი, ბულგარეთი და შვეიცარია, ანუ ძირითადად იმ სახელმწიფოებში, სადაც ბუნებრივი რესურსები არასაკმარისია. ამ ქვეყნებში ხდება მთელი გენერირებული ელექტროენერგიის 1/4-დან 1/2-მდე ატომურ სადგურებზე მიღება. აშშ-ში „მშვიდობიანი ატომით“ მიიღება მთელი ელექტროენერგიის, დაახლოებით, 1/5 — ეს ისეთი დიდი ოდენობაა, რომელიც მთელი მსოფლიოს ატომური გენერაციის მეხუთედს შეადგენს.

გასაგები მიზეზების გამო, ამ სფეროში წამყვანი ქვეყნები რუსეთი და აშშ იყო. მოგვიანებით, მათ შეუერთდა გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ჩეხოსლოვაკია. ატომური ენერგიის მქონე დანარჩენი ორი ათეული ქვეყანა იყენებს ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში შექმნილ ტექნოლოგიებს.

მსოფლიოს ატომურ მანქანათმშენებლობაში სულ 34 კომპანია მუშაობს, აქედან 30 ძირითადი მოწყობილობის წარმოებითა და სერვისითაა დაკავებული, უშუალოდ რეაქტორებს კი 4 კომპანია — ფრანგულ-გერმანული კონსორციუმი Areva NP, იაპონური Toshiba Corp (რომელიც ამერიკული Westinghouse-ის აქციების 77%-ს ფლობს), General Electric/Hitachi-ის კონსორციუმი და რუსული „Росатом“ აწარმოებს.

აღნიშნულ 34 კომპანიაზე მოდის მსოფლიო ბირთვული ბიზნესის 40%. კიდევ 32 კომპანია დაკავებულია ატომური ობიექტების მშენებლობით, ბირთვული საწვავის წარმოებითა და ელექტროენერგიის მიღებით და მათზე მოდის ამ ბიზნესის დარჩენილი 60%.

ბირთვული ბაზრებისთვის ბრძოლა

ენერგომოხმარება მხოლოდ ე.წ განვითარებულ კი არა, განვითარებად ქვეყნებშიც მატულობს. ნახშირწყალბადები, ბუნებრივია, ენერგოდამოუკიდებლობის ერთადერთი საფუძველი ვერ იქნება. ამ პირობებში მძაფრდება ატომური ენერგეტიკის პოტენციური ბაზრებისთვის ბრძოლა, ერთი მხრივ, რუსეთს, ზოგიერთ ევროპულ ქვეყნებსა და კომპანიებს და, მეორე მხრივ, აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერილ იაპონურ, ამერიკულ და ევროპულ კორპორაციებს შორის. ამასთან, რუსეთი და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები, შესაძლოა, განხილულ იქნას როგორც ტანდემი. ასე, მაგალითად, „როსატომი“ ვიეტნამში, საფრანგეთის სახელმწიფო ენერგოკომპანია EDF-თან ატომური ელექტროსადგურის ასაშენებლად ერთობლივ საწარმოს ქმნის. ასეთი თანამშრომლობით რუსული მხარე ინაზღაურებს გარკვეულ ჩამორჩენას ტექნოლოგიაში.

EDF-ს „როსატომსა“ და სხვა რუსულ კომპანიებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს. ეს ფრანგული კომპანია, წლების განმავლობაში, ურანს ამდიდრებს რუსულ კომპანია Техснабэкспорт-ში. ასევე, ენერგოეფექტიანობის პროექტში მონაწილეობდა რუსულ Интер РАО-სთან ერთად. 2009 წელს კი რუსულ კომპანიას საშუალება მიეცა, გამოეყენებინა კონფლიქტი ფრანგულ კომპანია Areva-სა და გერმანულ Siemens-ს შორის და ეს უკანასკნელი თავის მხარეს გადაებირებინა (გერმანული კომპანია 2010 წლის იანვარში ერთობლივ საწარმო Areva NP-ში თავისი წილის გაყიდვასაც კი აპირებდა).

2009 წლის მარტში, „როსატომმა“ და „სიმენსმა“ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლითაც გამოითქვა სურვილი, შექმნილიყო ერთობლივი საწარმო. ეს ფირმა უნდა ყოფილიყო ВВЭР ტიპის რუსული ატომური რეაქტორებისთვის ახალი პროექტების შემქმნელი, ასევე, ახალი სადგურების მარკეტინგისა და მათი აშენებისა და რემონტის განმახორციელებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „როსატომის“ სურვილი — ფრანგულ EDF-თან ერთად შექმნას ატომური რეაქტორების წარმოებისა და მათი რეალიზაციის საწარმო — ერთი მხრივ, ინტეგრაციის დასაჩქარებლად „სიმენსზე“ ზეწოლაა, მეორე მხრივ კი, მცდელობა, რომ „როსატომი“ ამ ბიზნესში არ ჩამორჩეს Areva-ს. Росатом-EDF-ს ტანდემის მიერ მსოფლიო ბაზარზე გასატანი ВВЭР ტიპის რუსული რეაქტორი წარმოადგენს მეორე ფრანგული კომპანიის, Areva-ს EPR ტიპის რეაქტორის ანალოგს და, მაშასადამე, მის პირდაპირ კონკურენტს. იგივე შეიძლება ითქვას ურანის გამდიდრებაზეც: EDF-მა დაადასტურა, რომ ამ მიმართულებით ურჩევნია, იმუშაოს რუსულ კომპანიასთან, ვიდრე ასეთივე გამამდიდრებელი ქარხნის მქონე Areva-სთან.

ზემოაღნიშნულმა მაინც ვერ ჩაშალა Areva-სა და Siemens-ის ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დაწყებული თანამშრომლობა. Areva NP ფრანგებისა და გერმანელების 2001 წელს დაფუძნებული ერთობლივი კონსორციუმია. ახლახან ამ ორმა კომპანიამ შექმნა ახალი კონსორციუმი სლოვაკეთის Mochovce-ს ატომური სადგურის მე-3 და მე-4 რეაქტორების აღჭურვის მიზნით. ამჟამად Areva NP კონსორციუმმა უნდა აღჭურვოს ატომურ სადგურ Loviisa-ს პირველი და მეორე ბლოკები ფინეთში. სავარაუდოდ, ეს კონსორციუმი განახორციელებს, ასევე, რუსეთში სადგურ Novovoronesh-2-ის აღჭურვასაც.

ატომური ენერგობაზრის ახალი მოთამაშეები

ამჟამად ბევრი პოსტკომუნისტური ქვეყანა აქტიურადაა ჩართული ზემოაღნიშნულ ბიზნესში. მაგალითად, მონღოლეთსა და ყაზახეთში ბევრი ურანია. მისი ფასები იზრდება, თანაც სხვაობა მის მოპოვებასა და ატომურ სადგურებში მოხმარებას შორის, უკანასკნელ ათწლეულში, სტაბილურად, 40-45%-ის ფარგლებშია შენარჩუნებული. International Nuclear Inc-ის მონაცემებით, 1985-2007 წლებში, მსოფლიოში ურანის კომერციული მარაგი 50%-ით შემცირდა, ურანის მსოფლიო მოპოვების 87%-ს შვიდი ქვეყანა უზრუნველყოფდა — აქედან, მოპოვების ნახევარს კანადა და ავსტრალია იძლევა. რუსეთს, ყაზახეთისა და ნიგერის შემდეგ, მეხუთე ადგილი უკავია ამასთან, ურანზე ფასი დიდი ხნის განმავლობაში არა მოთხოვნა-მიწოდებით, არამედ ექსპორტიორებისა და მომხმარებლების საწყობებში არსებული მარაგების სიდიდით განისაზღვრებოდა. ზოგ ქვეყანას იმდენი მარაგი ჰქონდა, რომ იმპორტს ათწლეულები არ საჭიროებდა. ცივი ომის დასრულების გამო, ამ მარაგების მასობრივი გაყიდვა დაიწყო, რამაც ურანის წარმოებების დახურვა და ამ ნედლეულის გაუფასურება გამოიწვია: 1 ფუთი დაეცა 6.26 დოლარამდე და, შესაბამისად, ამ საწვავის მწარმოებლები გაკოტრდნენ, თუმცა მოკლე დროში გაჩნდა დეფიციტი და თუ 2000 წელს ურანის ფასი 7 დოლარამდე იყო, ბოლო წლებში გაიზარდა და 2008 წელს 60 დოლარი გახდა.

კონკურენცია

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, იზრდება კონკურენცია და ნედლეულისთვის ბრძოლა. რუსეთში, მაგალითად, ბუნებრივი ურანის მოპოვება მასზე მოთხოვნის 20%-ია, რის გამოც, რუსეთს ავსტრალიიდან იმპორტი სჭირდება. ამ ქვეყანას 2020 წლისთვის, წელიწადში, 14-15 ათასი ტონა ურანი დასჭირდება, მაგრამ როგორც წესი, რეაქტორების მქონე ქვეყნებს, მათ შორის რუსეთს, საკუთარი ურანი არ ჰყოფნით. ამის შედეგია რუსეთისა და ჩინეთის კონკურენციის გამწვავება ცენტრალურ აზიაში. ეროვნულმა კომპანია „ყაზატომმა“ ჩინურ კომპანიებთან China Guandong Nuclear Power Company-სა (CGNPC) და China National Nuclear Corporation-თან (CNNC) ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ. ამით ჩინეთს შეუძლია პირდაპირი ხელშეკრულება გააფორმოს ყაზახეთთან ურანის ნედლეულზე. მონღოლეთმა ასეთივე კონტრაქტი გააფორმა რუსეთთან. ექსპერტების აზრით, ამ ორი ქვეყნის შემდგომი დაპირისპირების სფერო, სავარაუდოდ, აფრიკაში ნიგერიის საბადოები იქნება.

ფრანგული Areva ორი წელი, ნამიბიის „ტრეკოპიეს“ საბადოს ამუშავებს და წლის ბოლოს დაიწყებს მადნის კომერციულ მოპოვებას. რუსეთსაც ამავე მაღალრენტაბელურ საბადოზე უნდა ხელშეკრულების გაფორმება, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ჰოლდინგი Атомредметзолото დიდი ოდენობით საკუთარ მოპოვებასაც ეწევა. მას მთავრობისაგან დავალებული აქვს ურანის წარმოებაში რუსეთის, როგორც მსოფლიოს ლიდერის, როლის დაბრუნება. Атомредметзолотоში არ მალავენ, რომ საუბარია ახალი, „გაზპრომის“ მსგავსი, ურანის რუსული მონოპოლიის შექმნაზე. მისი მიზანი იქნება არა მარტო „როსატომის“ ან უცხოეთის სადგურების ნედლეულით უზრუნველყოფა, არამედ ის ურანის ბაზარზე მსოფლიოს წამყვან მოთამაშედ უნდა იქცეს.

ამჟამად სერიოზული კონკურენციის სფეროა, ასევე, ე.წ. თბოგამომყოფი ელემენტები (ТВЭЛ) რეაქტორებისთვის. ამერიკული Westinghouse და რუსული კომპანია ТВЭЛ ერთმანეთს უპირისპირდებიან ამ ნედლეულის მიწოდებაში უკრაინის, ჩეხეთის, ფინეთის, სლოვაკეთის ატომურ სადგურებზე. როგორც წესი, რუსული წარმოების სადგურებზე ამერიკული თბოელემენტები, ტექნიკური თავისებურებების გამო, ნაკლებეფექტურია, ვინაიდან აღნიშნულ ქვეყნებში ძირითადად ყოფილი საბჭოთა, ან რუსული წარმოების სადგურებია, ამიტომ აღმოსავლეთ ევროპაში რუსული „თბოგამომყოფი ელემენტები“ კონკურენციის გარეშეა. საყურადღებოა, რომ უკრაინა-რუსეთის ამჟამინდელი დაახლოების შედეგად, რუსეთს როვნოსა და ხმელნიცკის ატომურ სადგურებში ორი ახალი ბლოკის აგების შესაძლებლობა მიეცა. ასევე, რუსეთ-უკრაინას შორის ხარკოვში გამართულ მოლაპარაკებებზე გადაწყდა, რომ უკრაინას, როგორც ურანის საბადოების მესაკუთრეს და რუსეთს, როგორც „მშვიდობიანი ატომის“ ტექნოლოგიების მფლობელს, ექნებათ თანაბარი წილი „თბოგამომყოფი ელემენტების“ (ТВЭЛ) ახალ ქარხანაში, რომელიც უკრაინაში აშენდება. ამას უკრაინისთვის, რომელიც ურანის მდიდარ საბადოებსა და ელექტროენერგიის 45%-ს ფლობს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

რუსული და ამერიკული გლობალური პროექტები

არსებობს „მაგატეს“ ეგიდით ინოვაციური ბირთვულ-ენერგეტიკული ტექნოლოგიების დანერგვაში საერთაშორისო თანამშრომლობის ორი ზესახელმწიფო-გლობალური პროექტი: 2000 წელს რუსეთის ინიციატივით შექმნილი INPRO და 2006 წელს აშშ-ს ინიციატივით შექმნილი GNEP (Global Nuc Energy Partn).

ამრიგად, ატომურ ენერგეტიკაში ერთმანეთის სავარაუდო კონკურენტები იქნებიან ის ამერიკული და ევროპული კომპანიები, რომლებიც ფრანგ და გერმანელ კოლეგებთან რუსული „როსატომის“ მოლაპარაკებების შემდეგ, ბაზარზე დარჩებიან. რაც შეეხება რესურსებს, ამ სფეროში რუსეთისთვის არ არის თავისუფალი საბაზრო ნიშა და მას ჩინეთთან სერიოზული კონკურენცია მოუწევს.

ამასთან, მხედველობაში მისაღებია, რომ ატომური ბაზარი ენერგეტიკის ყველაზე პოლიტიზირებული დარგია. იმისთვის, რომ ქვეყანამ ამ სფეროში ეფექტიანად იმუშაოს, საჭიროა არა მარტო სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებისა და დიპლომატიის გამართული მუშაობაც. ამ თვალსაზრისით, როგორც აშშ-ს მხარდაჭერილი საერთაშორისო პროექტ GNEP-ის მუშაობის არასახარბიელო შედეგები გვიჩვენებს, რუსეთს ევროპის მასშტაბით უკეთესი პოზიციები აქვს.



გოგა ხაჩიძეს მარჯვენა უხმება

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, ნაცმოძრაობის აქტიურმა სახემ და გარემოს დაცვის ექსმინისტრმა გოგა ხაჩიძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქით“ ერთობ საინტერესო განცხადება გაავრცელა. საერთოდ, ბატონი ხაჩიძე სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელია. რაც შეეხება ამ საინტერესო განცხადებას, ხაჩიძე ირწმუნება, რომ მარჯვენა უხმება, რამეთუ პირველ ოქტომბერს ხუთიანი სწორედ ამ ხელით შემოხაზა.

„ოხ, დუმბაძე! შენ რა გითხარი!.. მარჯვენა ხელით შემოვხაზე და მიხმება, მგონი“, — დაწერა გოგა ხაჩიძემ „ფეისბუქში“ და ფოტოც გამოაქვეყნა, რომელზეც მისი დაზიანებული მარჯვენა მკლავი ჩანს.

„ვერსიანიუსი“

„უილიამ შექსპირი“ — ერთდღიანი პროექტი რუსთაველის თეატრში

23 აპრილს მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლის — უილიამ შექსპირის (1564-1616) დაბადებისა და გარდაცვალების დღეს, რუსთაველის თეატრის VI დარბაზში ამერიკელი რეჟისორისა და დრამატურგის — რობერტ ვილსონის „სონეტების“ სრული ვერსიის ჩვენება მოეწყობა. წარმოდგენა აგებულია შექსპირის სონეტებზე. მუსიკის ავტორია რუფუს ვეინვრაითსი („ბელინერ ანსამბლი“, 2009).

აღნიშნული პროექტი ერთღიანია და იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექსპირის შემსწავლელი ცენტრის ინიციატივითა და რუსთაველის თეატრის მხარდაჭერით ხორციელდება. ჩვენება ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ლევან ხეთაგურის შესავალი სიტყვით დაიწყება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სომხურ-რუსული მემორანდუმი ფარულად გაფორმდა

„ზურგში ჩარტყმა შიდაპოლიტიკური დაძაბულობის სარჩულით“, — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას სომხური მედია, რომელიც ევრაზიულ კავშირში რუსულ-სომხურ მემორანდუმს ეხება.

„სანამ სომხეთში მწვავე განხილვები მიმდინარეობს შიდაპოლიტიკურ რეალობასთან დაკავშირებით, იმავე სომხეთში საკმაოდ უხმაუროდ იქნა ხელმოწერილი სომხურ-რუსული მემორანდუმი „ევრაზიულ კავშირთან“ თანამშრომლობაზე. მემორანდუმის თანახმად, სომხეთსა და „ევრაზიული კავშირის“ ეკონომიკური კოლეგიის ორგანოს შორის იგეგმება გარკვეულ ხელშეკრულებებზე მუშაობა ევრაზიული მიმართულებით და ყველაფერი ეს ხდება ძალიან საინტერესო პერიოდში, როცა სომხეთში მწვავე შიდაპოლიტიკური დაძაბულობაა“, — აღნიშნულია სტატიაში.

როგორც გამოცემა მიუთითებს, აღნიშნული ევრაზიული მემორანდუმი ხელმოწერილ იქნა საკმაოდ საინტერესო ვითარებაში, როდესაც რუსეთში გაიუღერა განცხადებამ ფინანსურ მაქინაციებსა და თანხების მითვისებაზე სომხეთის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან. ამ განცხადების ავტორი იყო რუსეთის კორუფციასთან ბრძოლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე.

„ამასთან, ხელმოწერა დაემთხვა პერიოდს, როცა მოხდა დე იურე მთავრობის გადადგომა. ტიგრან სარქისიანმა „ევრაზიულ მემორანდუმს“ ხელი მოაწერა ისე, რომ არ იყო პრემიერ-მინისტრი და მხოლოდ მოვალეობას ასრულებდა“, — აღნიშნავს სომხური გამოცემა.

„ნიუპოსტი“

ნანული სარაჯიშვილი „მზეზე“ გადაცემას წაიყვანს

ნათია ვასაძე
555-98-61-65

საქართველოს დამსახურებული არტისტი, რუსთაველის თეატრის მსახიობი ნანული სარაჯიშვილი პოპულარული 11 წლის ასაკში გახდა — მისი გმირი, მანანა მთელმა საქართველომ შეიყვარა და, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ კინოსა თუ თეატრში უამრავი როლი განასახიერა, ბევრისთვის დღემდე მანანაა. მართალია, ამ პოპულარულ ბავშვობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ წარმოუდგენელია, ნანული სარაჯიშვილს შეხვდე და პირველ როლზე არაფერი ჰკითხო...

— ქალბატონო ნანული, რომ არა მანანას როლი, მსახიობი გახდებოდით?

— ალბათ — არა, რადგან მსახიობობა ჩემი ოცნება არასოდეს ყოფილა. ფილმში გადაღება კი მომეწონა, მაგრამ ამ პროფესიის სირთულე ვიგრძენი და ისიც გავაცნობიერე, ამ რთულ საქმეს რომ შევჭიდებოდი, რამხელა ძალისხმევა, ენერგია დამჭირდებოდა და, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. საერთოდ, უდიდესი პასუხისმგებლობაა, 11 წლის ასაკში ისეთ ადამიანებთან იმუშაო, როგორებიც სესილია თაყაიშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, იპოლიტე ხვიჩია, მედეა ჩახავა, იაშა ტრიპოლსკი და სხვები იყვნენ... ღვთის წყალობაა, ამ ფილმში რომ მოვხვდი და პარტნიორობა ასეთ კორიფეებს გავუწიე.

ფილმს დიდი წარმატება ხვდა — პოპულარული ბავშვი გავხდი, თუმცა როგორც გითხარით, სამსახიობოზე ჩაბარებას არ ვაპირებდი, თანაც მამაჩემი წინააღმდეგი იყო — უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი, მე კი, რადგან ბავშვები ძალიან მიყვარდა, გადავწყვიტე, სწავლა პედაგოგიურზე გამეგრძელებინა.

— სამსახიობო ფაკულტეტზე როგორ მოხვდით?

— „მანანას“ გადაღების შემდეგ, ქალბატონ სესილიასთან მეგობრობას ვაგრძელებდი. ერთხელაც მკითხა, სად აბარებო და რომ ვუპასუხე, პედაგოგიურზე-მეთქი, კატეგორიულად მითხრა, არავითარ შემთხვევაში, შენ სამსახიობოზე უნდა ჩააბაროო. ახლაც მესმის მისი ხმა... ეტყობა, მსახიობობა შინაგანად მეც მინდოდა და ქალბატონი სესილიას სიტყვებმა სტიმული მომცა. იმხანად, თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ივნისში ტარდებოდა, სხვა სასწავლებლებში კი, ცოტა მოგვიანებით — აგვისტოში. ასე რომ, გადავწყვიტე, ბედი ჯერ თეატრალურში მეცადა და თუ ვერ მოვხვდებოდი, მერე სხვა სასწავლებლის გამოცდაზე გავსულიყავი. სამსახიობო ფაკულტეტზე პირველივე წელს ჩავირიცხე. მართალია, ეს მამას ცოტა ეწყინა, მაგრამ მერე, როცა ჩემი საკურსო და სადიპლომო ნამუშევრები ნახა, მოეწონა, მსახიობი რომ გავხდი.

გამიმართლა — არაჩვეულებრივი პედაგოგების ხელში მოვხვდი, როგორებიც მალიკო მრევლიშვილი, ბაბულია ნიკოლაიშვილი, გუგული პატარიძე, აკაკი ხორავა იყვნენ. რომ მკითხოთ, რომელი წლების დაბრუნებას ინატრებო, დაუფიქრებლად გიპასუხებთ, სტუდენტობის წლების-მეთქი.

— ინსტიტუტის დასრულებისთანავე, რუსთაველის თეატრში მოხვდით...

— ეს გაცილებით ადრე მოხდა, მაშინ მეორე კურსზე ვიყავი... სოფიკო ჭიაურელი რუსთაველის თეატრში, სპექტაკლ „ხანუმაში“ თავის ცნობილ ბაღდადურს ასრულებდა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ სოფიკო მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა და ხანუმას ცეკვა მე შემომთავაზეს. მართალი გითხრათ, ძალიან ვინერვიულე, ვფიქრობდი, ეროსი მანჯგალაძის, სალომე ყანჩელის, რამაზ ჩხიკვაძის გვერდით მე როგორ ვიცეკვო, თან სოფიკოს ბაღდადურის შემდეგ-მეთქი, მაგრამ გავრისკე და... გამომივიდა. სხვათა შორის, როცა სოფიკომ ჩემი ცეკვა ნახა, დიდი სიყვარულით მომილოცა და შემაქო. ასე რომ, უკვე მეორე კურსიდან ვიყავი რუსთაველის თეატრის შტატგარეშე მსახიობი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი, შტატში ჩამსვეს და მას შემდეგ, 40 წელია, ამ თეატრში ვარ.

— „მანანას“ შემდეგ არაერთ ფილმში გადაგიღეს, სცენაზეც უამრავი როლი გაქვთ შესრულებული, მაგრამ მაყურებლისთვის მაინც მანანა ხართ...

— თეატრსა თუ კინოში მართლაც ბევრი როლი შევასრულე, მაგრამ „მანანა“ მაყურებელმა განსაკუთრებით შეიყვარა და მიხარია, თუ ბევრისთვის დღემდე ის პატარა მანანა ვარ!

— და მაინც, რომელს ანიჭებთ უპირატესობას — თეატრს თუ კინოს?

— ჩემთვის ორივე ერთნაირად მნიშვნელოვანია, თუმცა კინოსა და ტელევიზიას მეტი ცნობადობა მოაქვს — ხანდახან მსახიობი ფილმში შესრულებულმა ერთმა როლმა შეიძლება უფრო პოპულარული გახადოს, ვიდრე — სცენაზე ნათამაშებმა ასმა როლმა. ჩემს შემთხვევაშიც ასეა.

— ქალბატონო ნანული, შემოქმედებითი პაუზაც ხშირად გქონიათ. ამ დროს რას აკეთებთ ხოლმე?

— ყველა მსახიობს აქვს პაუზა და გამონაკლისი არც მე ვარ. მსახიობის პროფესია ასეთია — რეჟისორებზე ვართ დამოკიდებულნი; რეჟისორი კი ხან აგიყვანს როლზე და ხან — არა. პირადად მე, ასეთ დროს დეპრესიაში რომ არ ჩავვარდე, ძალიან მშველის მეგობრებთან ურთიერთობა, ბუნებაში სეირნობა... ამასობაში, რამე როლიც გამოჩნდება...

— დეპრესიაში რომ არ ჩავარდეთ, ნებისმიერ როლზე თანხმდებით თუ „წუნია“ ხართ?

— „წუნია“ ნამდვილად არ ვარ, თუმცა სიმართლე გითხრათ, იყო რამდენიმე შემოთავაზება, რომელსაც არ დავთანხმდი და ძალიან ვნანობ. ჩემი აზრით, მსახიობმა ყველანაირი როლი უნდა შეასრულოს — მთავარი, მეორეხარისხოვანი თუ ეპიზოდური. ეპიზოდური როლი შეიძლება ისე კარგად ითამაშო, რომ მთავარსაც აჯობოს.

— საყვარელი როლი გაქვთ?

— ყველა როლი ერთნაირად მიყვარს — ჩემთვის დიდი და პატარა როლი არც თეატრში არსებობს და არც — კინოში. თითოეულ როლში ერთნაირად მაქვს შრომა და ნერვიულობა ჩადებული. „ვერის უბნის მელოდიებში“ განსახიერებულ პატარა როლსაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ და „გარიგებაში“ განსახიერებულ „მაროსაც“. ისე, საერთაშორისო ფესტივალზე ქალის საუკეთესო როლის შესრულებისთვის „ოქროს არწივი“ სწორედ „მარომ“ მომაპოვებინა.

— თუმცა ამ ფილმის მეორე ნაწილმა კრიტიკა დაიმსახურა. თქვენ აზრით, პირველი ნაწილი მართლაც უკეთესია?

— დიახ, „გარიგების“ პირველი ნაწილი უკეთესია. მეორე ნაწილი ძალიან მოკლე დროში გადავიღეთ და ალბათ, ხარისხიც, ამიტომაა შედარებით დაბალი, თუმცა ჩემს როლში ორივეგან მაქსიმალური ენერგია ჩავდე.

— ქალბატონო ნანული, არჩევნებამდე, „ქართული ოცნების“ აქციებში მონაწილეობდით... დღევანდელი ხელისუფლება მოგწონთ?

— მხოლოდ სააკაშვილის კი არა, ყველა მთავრობის ოპოზიციაში ვიყავი. შეიძლება, ხმამაღალი გამოსვლებით არ გამოვირჩეოდი, მაგრამ ჩემს აზრს ყოველთვის ვაფიქსირებდი. მსახიობი, პირველ რიგში, მოქალაქეა და რაც ქვეყანაში ხდება, მასაც ეხება. ახალი მთავრობისა და ბიძინა ივანიშვილის დიდი იმედი მაქვს. მჯერა, ეს ადამიანი, ხელისუფლებაში ფულის საკეთებლად არ მოსულა და ჩვენს ქვეყანას, მართლაც, აღორძინებს.

— თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში სიახლეები არის?

— გარდა იმისა, რომ თეატრშიც ვარ დაკავებული და პატარ-პატარა როლები სერიალებშიც მაქვს, მალე ტელეკომპანია „მზეზე“ ახალ გასართობ გადაცემას წავიყვან, რომელსაც „ჭორიკანა ვარსკვლავები“ ერქმევა. მართალია, ტელევიზიაში მუშაობა ჩემთვის უცხო არაა — ადრე ტელედადგმებში ვმონაწილეობდი, მაგრამ გადაცემის წამყვანის ამპლუას პირველად მოვირგებ. ვნახოთ, რა გამოვა, ჩემი მხრიდან მცდელობას არ დავაკლებ...

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე

სულიერი იმპულსების ულევი წყარო

გარეჯი

რით იყო გამორჩეული გარეჯის „მრავალმთის ათორმეტი მონასტერი“, სხვა ასურელი მამების მიერ ჩამოყალიბებული ლავრებიდან? თავდაპირველად ის უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „ათორმეტი“ სიმრავლის საკრალურ-სიმბოლური გამოხატულება უფრო იყო, ვიდრე რეალური ციფრი.

მრავალმთა თეთრსენაკებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით დაახლოებით, 100 კმ ვრცელდებოდა. წარმოგიდგენიათ, რამხელა ტერიტორიაა ეს? აქედან გამომდინარე, მრავალმთა არც შიომღვიმეა და არც ზედაზენი. იგი, თითქოს უფრო კაპადუკიასა და სინას უდაბნოს მოგვაგონებს.

თუ გონებას მოვიკრებთ და ფიქრით, თუნდაც ერთი წუთით, გადავსახლდებით წარსულში, აღმოვაჩენთ, რომ მრავალმთა ის ულევი წყარო იყო, რომელიც მძლავრ სულიერ იმპულსებს აწვდიდა საქართველოს.

ლავრიდან ჩრდილო-დასავლეთით არსებული სამონასტრო კომპლექსებისკენ მივდივართ და თავდაპირველად, **„ნათლისმცემელში“** შევდივართ.

„ნათლისმცემელი“ გარეჯის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი სამონასტრო კომპლექსია. ეს მონასტერი, აკადემიკოს მურავიოვის აზრით, დავით გარეჯელის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში უნდა იყოს აგებული ლუკიანეს ძალისხმევით.

ამ საუკუნის დასაწყისიდან „ნათლისმცემელში“ აქტიური სამონასტრო ცხოვრება დაიწყო. ახლა მონასტრის საძმოში არქიმანდრიტ იოვანე კიკვაძის წიანმძღვრობით რამდენიმე ბერია. ჩვენი სტუმრობისას ადგილზე მამა ნეოფიტე ჯობავა დაგვხვდა. იგი ათ წელზე მეტია, მონასტრის საზღვრებს წამითაც კი არ გასცდენია. თბილი კაცია ნეოფიტე, მაგრამ მეუდაბნოე ბერის ტრადიციას არ ღალატობს და ტელეკამერას სახეს არ უჩვენებს. სანაცვლოდ იმით გვასიამოვნებს, რომ თონეში კვერებს გვიკრავს და მოშიებულებს გვაპურებს.

ნათლისმცემლის კომპლექსის ანსამბლს, პირობითად, ორ ნაწილად მთავარი ეკლესია ჰყოფს. დასავლეთ მონაკვეთში რამდენიმე ქვაბია, რომელთაგან განაპირას სამეფო სენაკებს უწოდებენ. სამეფო სენაკებთან ახლოს ორგანყოფილებიანი მოზრდილი ქვაბია, რომელშიც ერთ-ერთი მცირე დარბაზული ეკლესიაა.

კომპლექსის აღმოსავლეთი მონაკვეთი დასავლეთისგან ბევრით არ განსხვავდება. ერთი ესაა მხოლოდ, რომ, დოდოს რქის მიბაძვით, აღმოსავლეთ ნაპირზე VIII-IX სს-ის გუმბათიანი ეკლესია მდგარა, რომლისგან ამჟამად მხოლოდ აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მკლავების მონახაზებია შემორჩენილი კლდეზე. იგი მხატვრობის კვალს არ ინახავს. სანაცვლოდ, ფრესკათა ფრაგმენტები გვხვდება უფრო აქეთ მდებარე დარბაზულ ეკლესიებში. შემონახულია ის სენაკიც, სადაც სულხან-საბა ორბელიანს „სამოთხის კარი“ და „სნავლანი“ დაუწერია.

კომპლექსის მთავარი ნაგებობა, რა თქმა უნდა, ანსამბლის ცენტრში არსებული ნათლისმცემლის უნიკალური ეკლესიაა. ეს არის საქართველოში ყველაზე დიდი კლდეში ნაკვეთი საყდარი. ტაძარს რომ VI საუკუნის მეორე ნახევარში ჩაყრია საფუძველი, ამას ის სტელაც ადასტურებს, რომელიც კარის წირთხლში იყო ჩადგმული. სტელაზე გამოსახულია ესტატეს ნადირობა, რომლის ქვეშ 6 სტრიქონად ამოკვეთილია ასეთი ასომთავრული წარწერა: **„ესე ჯოვარი მე მარვოუვო ავმართე სალოცველად ჩემდა და ცოლისა და შვილთათვის“.** გიორგი ჩუბინაშვილი, ღრმა ანალიზის საფუძველზე, სტელას VI-VII საუკუნეებით ათარიღებს.

ნათლისმცემლის ეს საყდარი ერთობ უცნაური გეგმარებისაა და მისი ანალოგი სხვაგან არ გვხვდება. **ვიწრო და დაბალი კარით შესული ადამიანი მოულოდნელად უზარმაზარ სივრცეში ხვდება. თვალის პირველი შევლებაც საკმარისია საიმისოდ, რომ შიდა ფორმებით ეს ტაძარი სამნავიანი ბაზილიკის თავისებური ვარიაციაა. 15 მეტრზე მეტი სიგრძის ძალიან ფართო და მაღალ მთავარ დარბაზს ჩრდილოეთიდან თითქმის მთელ გაყოლებაზე სამთაღედით გახსნილი ნავი ეკვრის. ტაძრის სამხრეთი ფრთა ორსართულიანია და ამ ფრთის აღმოსავლეთ მონაკვეთის მეორე სართულზე არსებული სამლოცველო ორი თაღითაა გახსნილი. აქ 8-საფეხურიანი ქვის კიბით შეიძლება მოხვედრა.** სამხრეთის სამლოცველოდან თვალი მთავარი ეკლესიის საკურთხეველშიც აღწევს, სადაც ძველი მხატვრობის ფრაგმენტებია. ფრესკებს სხვა კედლებზეც ვხედავთ. ორსართულიანია სამხრეთი ფრთის დასავლეთი მონაკვეთიც, საიდანაც დიდი სარკმლით მოზრდილი ოთახი იყურება. რჩება შთაბეჭდილება, რომ VI საუკუნის ტაძარი ამხელა არ იყო. იგი IX-X საუკუნეებში უნდა გაფართოვებულიყო და გამაღლებულიყო.

მონასტრის საძმოში შემონახულია გადმოცემა, რომ ტაძარი 57 წელი იკაფებოდა კლდეში ზევიდან ქვევით.

...ნათლისმცემლიდან ჩრდილო-დასავლეთით, მის მეზობლად, შედარებით მცირე, მაგრამ მაინც საინტერესო კომპლექსია, რომელსაც **წამებული** ჰქვია. აქაც რამდენიმე ეკლესია და სენაკია. ჩრდილოეთ მხარეს, წამებულის ცენტრალურ, დარბაზულ ეკლესიაში შემორჩენილია ამაღლების კომპოზიციის ცენტრში, ტახტზე მჯდომი მაცხოვრის ფრესკა.

... **თეთრსენაკებს** ანუ იგივე **მრავალწყაროს** მივადექით. იგი წამებულიდან ჩრდილო-დასავლეთით 8-9 კილომეტრშია. 1995 წელს, უდაბნოს სამეცნიერო ექსპედიციის დროს, ამ კომპლექსის რამდენიმე მივიწყებული პარეხი ხელახლა აღმოაჩინა ლადო მირიანაშვილმა. თეთრსენაკები იმიტომ ერქვა ამ კომპლექსს, რომ მისი სამლოცველოების უმეტესობა შელესილი, მაგრამ მოუხატავია. თავისი გამართლება აქვს მრავალწყაროსაც. საქმე ისაა, რომ მონასტერთან სიახლოვეს არსებულ ხევს სწორედ მრავალწყალი ჰქვია და მასში უდაბნოს ერთადერთი ღელე მოედინება. ამ ღელეთი ახლა ფშატიანხევის შესაყარში მოზრდილი ხელოვნური ტბაა შექმნილი. გარდა ამისა, სამონასტრო ქვაბებიდან დასავლეთით 400-500 მეტრში, ერთ მცირე კორომში, წყაროც გადმოედინება.



თეთრსენაკები: ეკვდერიანი ეკლესია გარედან; ღვთისმშობლის ფრესკა ტოლმკლავა დარბაზულ ეკლესიაში; მცირე გუმბათიანი ეკლესიის ხვრელი და მეორე ასეთივე ეკლესიის გარდამავალ-ცილინდრული გუმბათი

კომპლექსის შემოვლას ამ წყაროდან აღმოსავლეთის მიმართულებით ვიწყებთ. თავდაპირველად, ბილიკიდან ხელმარჯვნივ, ერთ მცირე ბორცვზე, **გალავნის ნაშთი** გვხვდება (დიდი, ფლეთილი ქვის ოთხ მწკრივი). ამ ბორცვიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 300 მეტრში და მაღლა კლდეში, გენო ლიჩელი ერთმა მცირე, მორღვეულმა პარეხმა დააეჭვა და მართალიც აღმოჩნდა. კლდეზე აბობღებულები ვხედავთ, რომ მცირე ბაქანზე მდგარი გენო გაფაციცებით ათვალიერებს მორღვეული პარეხის აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილ წერაქვის უძველეს ნაკვალევს — დაკეპილ კლდეს და მისგან დასავლეთით შემორჩენილ ნალესობით გამოყვანილ სარკმლის მცირე ოვალურ თავსართს. მის ქვეშ 4 თითის სისქის ხვრელია. კიდევ უფრო დასავლეთით კარის კვალია. გენო პატარა ნიჩბით ოვალური ხვრელის გაფართოებას იწყებს. ერთი საათის შემდეგ ხვრელი იმხელა ხდება, რომ ხოხვით შიგნით შევდივართ. გენო ლიჩელს ალღომ არ უმტყუნა — მოულოდნელად **მცირე ჯვარ-გუმბათოვან საყდარში (3,75 X 2,95 მ.) აღმოვჩნდით. გუმბათს გადაბრუნებული ძაბრის ფორმა აქვს და დაახლოებით 1 მეტრი სიმაღლისაა. გუმბათიდან „იატაკამდე“ 3,5 მეტრია. ნალესობა მცირე შეხებაზეც კი ცვივა, (ამიტომ ძალიან ფრთხილად ვმოძრაობთ), მაგრამ მხატვრობის არანაირი ნიშანწყალი არაა. მინიატურულ მკლავებს თაღები აქვს, აბსიდის ჩრდილოეთ კედელში კი სწორკუთხა ნიშის ზედა ნაწილი ჩანს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სარკმლის თავში გათხრილი ხვრელიდან საკურთხეველში ფოფხვით შესულებს აბსიდში ჩახტომა კი არ მოგვიხდა, არამედ მიწის პირის დონეზე აღმოვჩნდით.** თუ კარის კონტურებსაც გავითვალისწინებთ, საყდარს სიმაღლეში სულ მცირე 1,7-2,0 მეტრი აკლია. და აი, აქ იბადება ერთი თავსატეხი: როგორ ამოივსო 2 მეტრი სისქის მიწით კლდის პირზე არსებული ეკლესია, რომლის ჭერსა და კედლებს არანაირი ჩამონაშალი არ აქვს? როგორ მოხდა, რომ თუნდაც გარედან შეღწეული მიწა, იატაკის მსგავსად, ერთ სიბრტყეში მოიფინა?

ნათლისმცემელი: კომპლექსის დასავლეთ მონაკვეთის ბარეხების საერთო ხედი და სულხან-საბას სენაკი

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ანალოგიური სურათი გვხვდება აქ არსებულ **მეორე გუმბათიან ეკლესიაშიც**, სადაც ასევე ფორთხვით შეავღწიეთ. ხვრელში აღმა მივფორთხავდით, რაც მიწის გარედან შეღწევას და სივრცის ამოვსებას თითქმის გამორიცხავს.

ჩნდება ეჭვი, რომ საქმე გვაქვს დაუსრულებელ ეკლესიებთან. როგორც ცნობილია, კლდის ეკლესიები ჭის პრინციპით — ზევიდან ქვევით ითხრებოდა. ჩანს ამ ეკლესიათა მშენებელმა ბერებმა რაღაც მიზეზით მიატოვეს საქმე, კარგა ხნის შემდეგ კი აქ ბერთა ახალი ჯგუფი მოვიდა, რომელიც არსებული სივრცით დაკმაყოფილდა და კედლების შელესვაც დაიწყო.

ზევით მეორე ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია რომ ვახსენე, იგი უფრო აღმოსავლეთითაა და გაცილებით ფართოა. მას უნიკალური და უანალოგო გუმბათი აქვს. იგი სამი სხვადასხვა ზომის ცილინდრული ფორმითაა შექმნილი.

ამ ორი ჯვარ-გუმბათოვანი საყდრის გარდა, კომპლექსში სამი დარბაზული ეკლესიაც გვხვდება. ამათგან ყველაზე დიდში, რომელსაც ჩრდილოეთით სენაკი აქვს, ხოლო სამხრეთით — მორღვეული ეგვტერი, მრავალ გრაფიტს ინახავს. აქ ჩვენ შევხვდებით აქლემების, ირმებისა და ცხენების გამოსახულებებს, დღეების ათვლის სისტემას და ქართული ასომთავრული ანბანის ნიშნებს.

ყველაზე საინტერესოა კომპლექსის აღმოსავლეთ საზღვარზე არსებულ **კლდის მცირე (3,2 X 2,0 მ) ეკლესიაა. როგორც ჩანს, მის შემქმნელს ჯვარ-გუმბათოვანი საყდრის გამოკვეთა დაუწყია, მაგრამ ბოლოს გადაუფიქრებია და გუმბათის ნაცვლად, ჩვეულებრივი კამარა გაუკეთებია.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ მკლავის თაღში ღვთისმშობლის კალთაში მჯდომი ყრმა მაცხოვარი სრულიად წაუშლიათ, შემორჩენილი ფრესკა მაინც ჩვენი კედლის მხატვრობის ერთ-ერთ შედევრად უნდა მივიჩნიოთ.

ავტორის ფოტოები

შვილები ლედი, გიორგი და ტარიელ დელიბაშვილები. რძლები ქეთევან ტაკაშვილი და გიული ქამუშაძე. შვილიშვილები ნათია, თამარ და თათია ქარჩხაძეები; გიორგი, ლაშა, რუსუდან, სალომე და თამთა დელიბაშვილები. ძმები დემურ და ენვერ ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუდმილა (ლუბა) ყურაშვილი

პანაშვიდები: სამშაბათი, ოთხშაბათი (23,24 აპრილი).
გამოსვენება: ხუთშაბათი (25 აპრილი).
მისამართი: გარდაბნის რაიონი. სოფელი ნორიო.

მაია ფურცელაძე და გია ხავთასი სამძიმარს უცხადებს თამარ ქარჩხაძესა და ოთარ ქირიას ბებიის

ლუბა ყურაშვილის

გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ჰოროსკოპი
22 აპრილი

ვერძი — არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვიოთ გეგმებს, მხოლოდ ასე მიაღწევთ წარმატებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმე შეეცდება, სასურველ მიზანზე უარი გათქმევინოთ, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდეთ. შედეგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენს ნებისყოფასა და მოქმედებებზე.

კურო — პროფესიული საქმეები და ფინანსური მდგომარეობა იმდენად დასტაბილურდება, რომ თავადვე დარჩებით გაკვირვებული. მთავარია, გაგრძელოთ საქმიანობა იმავე მიმართულებით. არ არის გამორიცხული, სადამოს საყვარელმა ადამიანმა უწყვეულო სიურპრიზით გაგაოცოთ.

ტყუპები — თქვენი ოჯახური ცხოვრება საახლეს საჭიროებს. მოუწყვეთ სიურპრიზი საყვარელ ადამიანს, გაატარეთ ერთად დაუვიწყარი სადამო და ასე აიცილებთ თავიდან უსიამოვნებას. დღეს ბედი გაძლევთ შანსს, გაამყაროთ ოჯახური და სასიყვარულო კავშირები.

კირჩხიბი — ვარსკვლავები დღეს შესაძლო თავბრუდამხვევ რომანტიკულ შეხვედრას წინასწარმეტყველებენ ადამიანთან, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გაიცანით. მოემზადეთ ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის, შეეცადეთ მოწოდების სიმაღლეზე იყოთ, მაგრამ ქედმაღლობას ნუ გამოიჩენთ.

ლომი — დღე ბევრ საინტერესო მოვლენას გპირდებათ. გაოცებული დარჩებით, იმდენად ბევრი შეხვედრა, ახალი ნაცნობობა და სასიამოვნო საუბარი გელით. შეეცადეთ, არ ჩაერთოთ ხანგრძლივ დისკუსიებში და ზედმეტად ნუ ჩაუღრმავდებით რომელიმე თემას.

ქალწული — დაძაბულობა, რაც ბოლო დღეებში გადაიტანეთ, დღეს დასრულდება. თავს გაცილებით მშვიდად იგრძნობთ და მეგობრებთან დროის გატარებაზეც არ იტყვით უარს.

სასწორი — დადგა დრო, გამოიჩინოთ ინიციატივა და ხელმძღვანელობას დაუმტკიცოთ საკუთარი პროფესიონალიზმი და უნარები, რაც კარიერულ წინსვლაში უდავოდ დაგეხმარებათ.

ღრიანცელი — დღეს ცდუნება საკმაოდ ბევრი იქნება. მეგობრები და ნაცნობები სეჯვო ღონისძიებებზე დაგპატიჟებენ. შეეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ, გაანალიზოთ საკუთარი ქმედება და დაიცვეთ პროფესიული აზრები.

მშვილდოსანი — მშვიდდინებისთვის დღეს მთავარი საპირისპირო სქესთან ურთიერთობა იქნება. ვარსკვლავები გირჩევენ, ყოველდღიურ ფაციფუცსა და რუტინას შეეშვათ და გრძნობებს მიენდოთ.

თხის რქა — თქვენ შესანიშნავად იმუშავეთ, ახლა კი დადგა დრო, დაისვენოთ და სამომავლო გეგმებზე კარგად დაფიქრდეთ. გარემოს შეცვლა აუცილებელია, ასე რომ ცოტა ხნით არსებულ პრობლემებს თუ დაივიწყებთ, ამით არაფერი დაშავდება.

მერწყული — მერწყულებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს აუცილებლად გამოანახონ დრო საყვარელ ადამიანთან შესახვედრად, ეს თქვენს ურთიერთობას ახალ ენერგიას შთაბერავს და შესაძლოა, ამან საპასუხისგებლო ნაბიჯის გადადგმისკენაც გიბიძგოთ.

თევზები — კარგი იქნება, თუ დღეს იმიჯს შეიცვლით. ნაკლები აგრესია გამოიჩინეთ გარშემომყოფების მიმართ, ამით თქვენც დამშვიდდებით და არსებული დაძაბულობაც უკვალოდ გაქრება.

გულკეთილები დიდხანს ცოცხლობენ

აშშ-ს მიჩიგანის უნივერსიტეტის სპეციალისტთა გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ვინც სხვებს გულითადად ეხმარება, უფრო დიდხანს ცხოვრობს. ხანგრძლივმა ექსპერიმენტმა, რომელშიც ერთი ასაკის ადამიანები მონაწილეობდნენ, აჩვენა, რომ ალტრუისტებში, 70 წლის ასაკში ექსპერიმენტის მონაწილეთა 1,6% გარდაიცვალა. ეს მაჩვენებელი კი გულგრილ ადამიანებში — 4,3%-ს შეადგენდა. ამასთან, ითვალისწინებდნენ ასევე სიცოცხლის ხანგრძლივობის სხვა ფაქტორებსაც. გამოკვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ მოტივაცია, რომელიც კეთილ ადამიანებს ამოძრავებს, მათ სტრესისგან იცავს.

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



ხელოვნების ღარმი
ბზიკი ანუ..
სპორტის სახეობა
ცხვრის ჯოგი
ქვეყანა აფრიკაში
მღინარე მერგა ნიაში
მსახიობი ანუ..
ქალის სახელი
მუსიკ. ნოტი
მურული სულელი
ტერი ტორიის დაპყრობა
მუსიკ. ინსტრუმენტი
ნამვის ყუთი
ჯინის ძმაკაცი
ბოსტნეული კულტურა
ფულის ბეჭდვა
ძალღვების ყეფა
ოპტიკური ილუზია
მეორეტრიული ფიგურა
ქაჯი ანუ..
აღამის ცოლი
ქვეს-

საქართ. მღინარე
ტაძარი თბილისში
ერთგვარი ქსოვილი
რძის ნაწარმი
ავადმყოფ. ფარული მავრცელება
ი
ქამათი ანუ..
მუსიკალ. ტერმინი
ჰომე როსის პოემა
შეძახილი ყურმილში
საქართ. რაიონი
ძეხვეულის ფირმა



ალგილი

2	3	8	1	5	4	9	7	6
1	7	6	8	9	3	5	2	4
9	4	5	2	7	6	8	3	1
8	5	2	7	4	9	6	1	3
7	1	4	6	3	8	2	5	9
6	9	3	5	2	1	4	8	7
3	8	1	4	6	2	7	9	5
5	6	9	3	8	7	1	4	2
4	2	7	9	1	5	3	6	8

სფეიდარფი

9	5	6	7	4	3	1	2	8
4	3	8	2	6	1	5	9	7
2	1	7	5	9	8	6	4	3
1	6	9	8	7	4	3	5	2
8	2	5	3	1	9	4	7	6
7	4	3	6	5	2	9	8	1
6	9	4	1	8	7	2	3	5
5	7	2	9	3	6	8	1	4
3	8	1	4	2	5	7	6	9

რთული

5	9	1	6	3	4	8	7	2
3	8	7	1	2	5	9	6	4
2	4	6	9	7	8	1	3	5
8	7	9	5	4	3	6	2	1
6	3	4	8	1	2	7	5	9
1	5	2	7	9	6	4	8	3
4	6	5	3	8	1	2	9	7
9	2	3	4	6	7	5	1	8
7	1	8	2	5	9	3	4	6

ეჯსკეარფი

2	3	6	7	9	4	5	1	8
1	5	9	3	2	8	4	7	6
8	7	4	6	5	1	3	2	9
4	6	5	2	3	9	1	8	7
3	2	1	8	7	6	9	5	4
7	9	8	4	1	5	6	3	2
9	8	3	1	6	2	7	4	5
6	4	7	5	8	3	2	9	1
5	1	2	9	4	7	8	6	3

ნიმგ სავანი
ძმაკაცი ალვანლი
ფანგ ვალის ლიკვიკი
ხის ლოგა
ვანდალ ანუ..
ბალეტ ანუ..
ალეგრა ანუ..
ბალეტ ანუ..
ალეგრა ანუ..
ალეგრა ანუ..
ალეგრა

ჰოროსკოპი
23 აპრილი

ვერძი — არ არის გამორიცხული, მოულოდნელი წინადადება მიიღოთ ან ძველ ბიზნესპარტნიორს შეხვდეთ, დღეს იმ ადამიანების მხარდაჭერასაც იგრძნობთ, ვინც აქამდე თქვენი მოკავშირე არ უოფილა.

კურო — დღეკანდელი საღამო ოჯახურ კავშირს უფრო პარმონიულს გახდის, გადაჭარბებულმა ამბიციურობამ და იმპულსურობამ კი შეიძლება ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმა გამოიწვიოს, რაც ნაკლებსასურველია, ამიტომ კარგი იქნება, თუ ვითარებას ცივი გონებით შეაფასებთ და სიტუაციიდან გამომდინარე იმოქმედებთ.

ტყუპები — ტეუუბებს დღეს უფროსობასთან კამათი ელის. მოერიდეთ მემკვიდრეობის საკითხების განხილვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადიზიანებისა და წყენის გარდა, არაფერს მიიღებთ. დღეს არც სასიყვარულო ურთიერთობებში გელით წარმატება და ძველი წყენაც იჩენს თავს.

კირჩხიბი — არახელსაყრელი დღეა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესახვედრად. ეოველთვის გახსოვდეთ, რომ რაიმე გადწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია სიტუაციის ეურადღებით გაანალიზება. დაგეგმეთ დასვენება, შვებულება ან მოგზაურობა. საყვარელ ადამიანთან დროის გატარება მეტ სიმშვიდეს მოგვგრით.

ლომი — შესაძლოა, დღეს ლომები საკუთარი იღუზიებისა და ოცნებების ტყვეობაში აღმოჩნდნენ, თუმცა ეს ხელს არ შეუშლის დასახული გეგმების განხორციელებაში. კარშემომეოფებთან ურთიერთობაში ბევრ პრობლემას წააწყდებით. თუ კომპრომისზე არ წახვალთ, სიტუაცია უკეიურესობამდე გამწვავდება.

ქალწული — დღეს ემოციური აღშფოთებას იგრძნობთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ სიმშვიდე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს საყვარელ ადამიანთან და საქმიან შეხვედრასაც ნუ დანიშნავთ.

სასწორი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღე სულიერ წონასწორობას პპირდება. საქმეებიც დღეს დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს და პრობლემების უმრავლესობაც მარტივად გვარდება. სასიცოცხლო პოტენციალი ძაღლ დონეზეა, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კი — პარმონიული.

ღრიანკალი — უკვე მოძველებული პრობლემების გადაჭრისთვის რამე საინტერესო ხერხი მოიფიქრეთ. დღეს არ ღირს მოდუნება, რადგან გონებაგახსნილობა მთელი დღის განმავლობაში გესაჭიროებათ. მხოლოდ ძალების კონცენტრაცია შეცვლის სიტუაციას უკეთესობისკენ.

მშვილდოსანი — უსიამოვნო დღეა, რომელიც თქვენგან სიმტკიცეს მოითხოვს. დაწყებულ საქმეს დიდი ძალისხმევა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღება სჭირდება. ასეთი დაძაბულობის მიუხედავად, მაინც შეძლებთ უველა წინააღმდეგობის გადალახვას, რაშიც საქმისადმი არასტანდარტული მიდგომა დაგეხმარებათ.

თხის რქა — დღეს საქმიან შეხვედრებს ნუ დაგეგმავთ და მივლინებაც გადადეთ. თუ არ აჩქარდებით, საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება მოგეცემათ. დღეს ფორტუნა არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების მხარესაა.

მერწყული — მერწყულებს დღეს სამსახურში მეტი სიფრთხილე და ეურადღება ძრთებთ — ოცნებები რეალობას უნდა შეესაბამებოდეს. საპირისპირო სქესთან ურთიერთობაში წარმატებები გელით. დღეს მოსალოდნელია ძველი სასიყვარულო ურთიერთობების განახლება.

თევზები — კარგი დღეა ურთიერთობებისთვის, ცვლილებებისთვის პირად ცხოვრებაში. ბევრი ისეთი ადამიანისგან იგრძნობთ მხარდაჭერას, ვინც ადრე თქვენგან შორს იდგა. არ არის გამორიცხული, სამუშაომ დღეს ჩვეულებრივზე მეტი ეურადღება და ძალისხმევა მოითხოვოს, თუმცა შედეგები დახარჯულ ენერგიას „აანაზღაურებს". ნებისმიერ საქმესთან არასტანდარტული მიდგომა პირად ცხოვრებაში დღესასწაულს გპირდებათ.

ბარში სასმელის ფასი ბირჟის მიხედვით იცვლება

სულაც არ არის აუცილებელი, გამოცდილი ბროკერი იყოთ, რომ ლუდი ან სხვა სასმელი მიირთვათ ნიუ-იორკის ბარში Exchange Bar & Grill. თუმცა, აქ სასმელის ფასი მის მფლობელებზე კი არა, მოთხოვნა-შეთავაზებაზეა დამოკიდებული. მუშაობის პრინციპი მარტივია: მაგალითად, თუ თქვენი საყვარელი სასმელი ბარში პოპულარობით არ სარგებლობს და საერთოდ არ უკვეთავენ, მაშინ გაქვთ შანსი, ის დაბალ ფასად მიირთვათ. გარდა პლაზმური ეკრანებისა და ტყავის სავარძლებისა, დაწესებულებაში ნებისმიერი ბირჟისთვის უცვლელი ატრიბუტი — ტაბლოც დგას, რომელზეც, რეალური დროის რეჟიმში, ალკოჰოლური მენიუს ფასების ცვალებადობა აისახება. ბარის მფლობელები აცხადებენ, რომ ტაბლო მათი სარეკლამო ფანდია და მართლაც, ეს ციმციმა ეკრანი დინამიური მაჩვენებლებით კლიენტების დიდ რაოდენობას იზიდავს.

მეტროში ფეხსაცმელს ურიგებენ

პეკინის მეტროპოლიტენში უფასო გამოსაცვლელი ფეხსაცმელია გათვალისწინებული მგზავრებისთვის, ვინც პიკის საათში სანდლები დაკარგა. ჩინეთის დედაქალაქში ეს მომსახურება მოქალაქეთა ლამის ურიცხვი რაოდენობის საჩივრების საპასუხოდ შემოიღეს, რომლებიც პიკის საათში მგზავრობისას ფეხსაცმლის გარეშე დარჩნენ. ზაფხულის ფეხსაცმელი ჭყლეტაში ადვილად ძვრება ფეხიდან და მისი პოვნა ამდენ ხალხში შეუძლებელია. მგზავრები რომ სამსახურებში ფეხშიშველები არ გამოცხადდნენ, ცოტა ხნის წინ, მეტროპოლიტენის ყველა სადგურზე ფეხსაცმლის გაქირავების პუნქტები გაჩნდა. რეზინის „ტაპკების" არჩევანი დიდი არ არის, მაგრამ გამოუვალ სიტუაციებში აქ ყველა იპოვის შესაფერის ვარიანტს. ყოველდღიურად მიწისქვეშა ტრანსპორტი მსურველებს 200 წყვილ, უნივერსალური ზომის ფეხსაცმელს ვარდისფერ, ცისფერ და ყვითელ ფერებში სთავაზობს. ქოლგებისა და ველოსიპედების გაქირავებისგან განსხვავებით, რაც პეკინის მეტროში დიდი ხანია მოქმედებს, გამოსაცვლელი ფეხსაცმლის მისაღებად არც ფულად შენატანს, არც დოკუმენტებსა და არც პირადობის დამადასტურებელ მონმობებს ითხოვენ.

ძაღლის მოვლის მსურველებს დააფინანსებენ

პატარა იტალიური ქალაქის, ჩივიტა-კასტელანას მერმა ჯანლუკა ანჯელელიმ გადაწყვიტა, რომ უპატრონო ძაღლების თავშესაფარში შენახვა ძალიან ძვირი ჯდება და ორიგინალური იდეით გამოდის: ნებისმიერს, ვინც თავშესაფრიდან ერთ ძაღლს მაინც წაიყვანს სახლში, ყოველდღიურად 1,5 ევროს გადაუხდიან, რაც ერთგვარი მხარდაჭერა იქნება ცხოველის შესანახად, არადა, თავშესაფარში თითოეულ ძაღლზე, ყოველდღიურად 2,5 ევრო იხარჯება. თუკი მსურველები გამოჩნდებიან და ძაღლებს წაიყვანენ, დაზოგილ თანხას ჩივიტა-კასტელანას მუნიციპალიტეტი სოციალურ სფეროს მოახმარს.

„ბედნიერების დიეტა" მოიგონეს

იტალიელმა მეცნიერმა კატანძაროს უნივერსიტეტიდან განსაზღვრა იმ პროდუქტების სია, რაც ადამიანს სიბრაზისა და გაღიზიანებისგან თავის დაღწევაში დაეხმარება. ამ სიაშია შოკოლადი, ხიზილალა, რძე, ყველი, ქათმის, ღორისა და საქონლის ხორცი, ნიგოზი... მკვლევარმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ კარგი განწყობის საფუძველი „სწორ საკვებშია", რომელიც ამინომჟავა ტრიპტოფაბს შეიცავს. ასეთი პროდუქტები, როგორც წესი, ანტიდიეტურია, თუმცა სწავლული ამტკიცებს, რომ ადამიანმა ყოველდღიურად უნდა მიიღოს არანაკლებ 350 გრამი ამ „ოპტიმისტური" პროდუქტებისა. ეს ხელს უწყობს სტრესის აცილებას, ამცირებს აგრესიულობას და ნეგატიური ემოციების მართვის საშუალებას იძლევა. იტალიელი მეცნიერი დარწმუნებულია, რომ „ტრიპტოფანის დიეტა" ისეთ ფსიქოლოგიურ დაავადებებს განკურნავს, როგორიცაა დეპრესია და სუიციდისადმი მიდრეკილება.

თვალის გაწმენდის უჩვეულო ბიზნესი

ჩინეთის პროვინცია სიჩუანში უძველესი ტრადიცია არსებობს — თვალის კაკლის გაწმენდა მჭრელი იარაღით, რომელსაც პარიკმახერები ასრულებენ. ეს საშიში ბიზნესი, რომელმაც რამდენიმე ასწლეული გამოიარა, ახლა ნელ-ნელა ქრება, თუმცა სიჩუანში, მის ცენტრალურ ქალაქ ჩენდუში, ჯერ კიდევ ნახავთ რამდენიმე პარიკმახერს, რომელიც სულ რაღაც 5 იუანად (დაახლოებით 80 ცენტი) თვალის კაკალს გაგიწმენდთ. ერთ-ერთი მათგანი 53 წლის ლიუ დეიუანია, რომელიც მეშვიდე წელია, თავისი მჭრელი დანით, ამ ბიზნესს ემსახურება. როგორც ადგილობრივები ამტკიცებენ, ამ საშიში მეთოდით თვალის გაწმენდა ცხოვრებას უფრო ლამაზ ფერებში დაგანახებთ. ჰოდა, მსურველებიც საკმაოდ არიან — პარიკმახერის თქმით, გარდა მუდმივი კლიენტებისა, რომლებიც მასთან თვეში ერთხელ მიდიან, თვალის გაწმენდის სხვა მსურველიც ბევრია და ხშირად, რიგში დგომაც უწევთ.

სუდოკუმანია

ადვილი

				1		6		
	6		9			3	2	
3	1				5			8
		7				2		
8	5			2			9	6
		4				5		
5			4				1	2
	3	2			1		7	
		1		9				

სტანდარტი

		8			2			5
		6						
2	5					9		
	3				7	5	2	
6			5		8			7
	9	5	4				3	
		2					5	1
						4		
4			6			2		

რთული

	4		3				9	
2	3		1					8
1					9			
				9	3			5
	2						4	
5			6	8				
			8					6
7					5		8	1
	5				7		2	

ექსპერტი

			5	4		2		
	2			1	9	7		
		9			6		8	
7		8	6			3		
6								8
		1			7	6		4
	6		7			4		
		7	1	9			6	
		5		6	2			

აღსარებას ავტომატი იბარებს

ახალი ტექნოლოგიები არა მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ რელიგიაშიც იჭრება. მაგალითად, გერმანიაში მათთვის, ვისაც ეკლესიაში სიარულისა და აღსარების ჩაბარების დრო არ აქვს, სწავლულებმა სპეციალური ავტომატი Pray-O-Mat შექმნეს, რომლის სახელწოდება ინგლისური Pray-dan (ლოცვა) მომდინარეობს. ავტომატი ნებისმიერი ადამიანის ცოდვებს ისმენს და შენდობასაც აძლევს. Pray-O-Mat-ის ავტორი გერმანელი გამომგონებელი ლოვერ შტურმია, რომელმაც ავტომატი ძველი ფოტოკაბინისგან დაამზადა. მისი მეხსიერების ბარათზე 300-მდე ლოცვა თუ ქადაგება 65 ენაზეა ჩაწერილი და ამ სიახლის გამოყენება თითქმის ყველა აღმსარებლობის ადამიანს შეუძლია, ოღონდ ცოდვების მონანიება ფასიანია და 50 ევროცენტი ღირს.

მამაკაცები ქვეყნიდან გარეგნობის გამო გააძევეს

უჩვეულო ინციდენტი მოხდა საუდის არაბეთში — ხელისუფლებამ არაბთა გაერთიანებული საამიროების სამი მოქალაქე, „ზედმეტად მიმზიდველი“ გარეგნობის გამო ქვეყნიდან გააძევა. მამაკაცები დედაქალაქ ერ-რიადში ხალხური კულტურის ფესტივალზე იყვნენ, როცა შარიათის გვარდიის წარმომადგენლებმა დააკავეს. გვარდიელების განცხადებით, დაკავებულები „ზედმეტად ლამაზები“ იყვნენ და შეიძლება ისინი ფესტივალის სტუმარ ქალბატონებს „შეყვარებოდათ“...



ტატუ თვალში გაიკეთა

ბრაზილიელმა მამაკაცმა, 39 წლის როდრიგო ფერნანდო დოს სანტოსმა, რომელსაც სხეულის 70% მოხატული აქვს, გადაწყვიტა, სახიფათო ექსპერიმენტი ჩაეტარებინა და ტატუ თვალებში გაეკეთებინა. საკუთარი თვალის ფერი მაინცდამაინც არ მოსწონდა და თვალის კაკლის თეთრ ნაწილში, შპრიცის მეშვეობით, საღებავი შეიყვანა. ამის გამო ორი-სამი დღის განმავლობაში თავზეხელაღებულ ბრაზილიელს თვალიდან მელნიანი ცრემლი სდიოდა. ოფთალმოლოგები ამ პროცედურის წინააღმდეგნი არიან და ტატუს მოყვარულებს აფრთხილებენ, მსგავსი რამ არ გაიმეორონ. თვალის კაკალში საღებავის ინექციამ, შესაძლოა, ანთება გამოიწვიოს და ადამიანს მხედველობა დააკარგვინოს. არადა, გავრცელებული ინფორმაციით, მსოფლიოში უამრავ ადამიანს მოსწონს თვალში ტატუ.

ღამის გასათევი უსახლკაროებისთვის

გერმანელმა არქიტექტორმა უსახლკაროებისთვის მსოფლიოში ყველაზე პატარა სახლი შექმნა. მისი ფართობი სულ ერთ კვადრატულ მეტრს შეადგენს და იქ ღამის გათევა ერთი დოლარი ღირს. როგორც სიახლის ავტორი აცხადებს, სურს, ასეთი ღამის გასათევები არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში — მუმბაიში, ნიუ-იორკსა და სხვა დიდ ქალაქებში არსებობდეს. სახლს აქვს კარიცა და ფანჯარაც, დგას სკამი, საწოლის მაგივრობას კი მატრასი გაგიწევთ, რომელიც კედელზეა მიმაგრებული. სახლი კიდევ იმითაა უნიკალური, რომ მფლობელს მასთან ერთად მოგზაურობა შეუძლია. ღამის გასათევი ძალიან მსუბუქია და მისი გადაადგილება სირთულეს არ წარმოადგენს, სახლის შეძენა კი მსურველს კომპანია BMW Guggenheim Lab-სგან 300 დოლარი დაუჯდება.

ჩინური კომბოსტო სიმსივნეს ებრძვის

სამხრეთკორეელმა მეცნიერებმა გამოკვლევები ჩაატარეს და ჩინური კომბოსტოს უნიკალურ შემადგენლობაზე გაამახვილეს ყურადღება. ექსპერიმენტისას 25 სახის კომბოსტოს ტესტირება მოხდა, შედეგად კი აღმოჩნდა, რომ ჩინურ კომბოსტოში ანტიკანცეროგენული 14 ტიპის ნივთიერებაა. მათ შორის გლუცოსინოლატეს, რომლის ზემოქმედების შემდეგ, სიმსივნური წარმონაქმნი ნადგურდება. აღსანიშნავია, რომ ერთი გრამი ჩინური კომბოსტო 2,3 მილიგრამ ამ სასწაულმოქმედ ნაერთს შეიცავს.

მძიმე როკი ყვავილებს უხდება



ცნობილი ბრიტანელი მებაღე კრის ბირდშოუ გვირჩევს, ყვავილებს მძიმე როკი „მოვასმენინოთ“, რადგან ეს მათ ზრდას უწყობს ხელს. ბირდშოუ აღნიშნავს, რომ ეს ჰიპოთეზა ექსპერიმენტით შემოწმებული აქვს: გამოკვლევებისას მებაღეებმა ერთი და იგივე მცენარეები დათესეს სამ სხვადასხვა სათბურში. ერთში ყვავილები კლასიკური მუსიკის ქვეშ იზრდებოდნენ, მეორეში — Black Sabbath-ის როკ-მუსიკას რთავდნენ, მესამეში კი — ინგლისელი პოპ-მუსიკოსის, კლიფ რიჩარდის ჰანგებს აჟღერებდნენ. აღმოჩნდა, რომ მძიმე როკის მუსიკაზე გაზრდილი ყვავილების ღეროები, სხვებთან შედარებით, მოკლე იყო, მაგრამ მათი ბუტონები უფრო დიდი და ლამაზი; კლასიკურ მუსიკას, პრაქტიკულად, არავითარი გავლენა არ მოუხდენია, პოპ-მუსიკამ კი, ბირდშოუს თქმით, სათბურში ყველა მცენარე დაღუპა.



ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(ᲣᲐᲙ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.